საქართველოს რესპუბლიკა

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2000 წელი.

№214 (3615)

ფასი 50 თეთრი.

პარლამენტის თავმჯდომარე ხუთდღიანი პროგრამით

დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ჩურკა ვეკუა ჩინეთის სახალხო წარმომადგენლთა კრების მუდმივი თავმჯდომარე ვანიგანთ ჩინეთში მიემგზავრება.

ვანიგანის ხუთდღიანი პროგრამით დაგეგმილია შეხვედრები ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებთან.

ჩვენს ვალდებულებებს ვასრულებთ

პარლამენტის თავმჯდომარემ ჩურკა ვეკუამ გუშინ ნათლისცემა და გაბის საკთხებში საქართველოს პრეზიდენტის პრივილეგირებულ ელჩად ნოე ჭიაბერი.

როგორც პრეზიდენტის წარმომადგენლმა პარლამენტის თავმჯდომარესთან საუბრისას აღნიშნა, თბილისი მას საკმაოდ დიპლომატიურად შეუწყობა შემთხვა და მიცემა საშუალება დარწმუნებულიყო, რომ საქართველო ასრულებს ამ ვალდებულებებს, რომლებიც მას საერთაშორისო პრაქტიკით, კერძოდ, გრანტსახელობის მაღალრანგის, ბატონობილისი-ვოკასის პრაქტიკის განხორციელებასთან შემთხვევაში ადგი. შეხვედრაზე ვანიგანისტეს ამ პრობლემის უსარგებლოებასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს ნათლისმის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანგერია.

ეუთოს განსაკუთრებული რეული

ბუშის შრას ვეკიას ეუთოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლეონე ბოგა მაღლი.

ლეონე ბოგა წლების განმავლობაში საქართველოში ეიროს მისიას ხელმძღვანელობდა და, როგორც თავად ბრძანებდა, მას კარგად იცის საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის თემა.

იხ. №2-2 გვ.

გადიან მორიგი ეშელონი ვაჩიანიდან სექტემბერში გაიგზავნება

ვერიკაიმი ჩვეულებრივი შეარდებული ძალების მესახე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად საქართველოდან ებიგანთ რეზერვი სამხედრო გაქსიკოსთან მეორე ეშელონი გაბიანის ბაზაზე სექტემბერში შეუი დასაკეთრად. - აცნობა პრაიმ-ნიუსს ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების პრესმსახურის ალექსანდრე ლუკაშინმა.

მისი თქმით, შეიარაღების პირველი პარტია – 49 ეროვული საბრძოლო ტექნიკა რუსეთის ორი სახეხსრო ეშელონით უკვე გაიგზავნა ჭაპანდან ნოვოროსიისკსა და ტუფსეში.

პრაიმ-ნიუსი.

პრეზიდენტი „ბედნიერი ვარ, რომ თქვენი გუნდის წევრი გავხდი“

– ამ სიკეთეებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ელჭარ შევარდნაძეს საერთაშორისო ექსპერტმა ენერგომუშეველების საკითხებში, ნათელისის კომპანია „შეერონის“ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა, ამჟამად კი საქართველოს პრეზიდენტის ახალმა სტრატეგიულმა მრჩეველმა ნათელისა და გაბის საერთაშორისო პროექტებში ელჭარ ნოუმ 8 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე.

იხ. №2-2 გვ.

გიხარობენ!

დეკნილ ჩხვრიკეების ოჯახში გოგონაც შეიძინათ

ავსტრალიიდან დეკნილ გარიელ ჩხვრიკიასა და თეა ნიკოლაძეს დიდი სიხარული ეწია – შეეძინათ გოგონა. ეს მათი მეორე შეილია; უფროსი ეკატი ალია ათ წლისაა. თეამ აკილმეკოს ჩაჩავის სახელობის პერინატალური მეცნიერების და სამეანო გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იმშობიარა. მას არ მოკლებია ვინეკოლოგ მაგული ბაქრაძის ყურადღება.

– ვეძებთ შეილებით ჩამოვრა გუდა და მამუკა ამ 4 წლის წინათ ჩვენი პირველი სახარული – ალია, ახლა კი ელენე მას ხელში შეჰყიანა.

ჩხვრიკეების ოჯახი მმადაა ავსტრალიში ბანაბრებულებად, იქით მიუწევთ გუდა – გაღლისა და გყვარებულისაკენ, ჭადაე მათი ეშვილებაც!

რუსა ჩაკვეტაძე,
თბილისის ვიეტ მარგვის სახელობის პუმანიტარულ-ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტი

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის **განკარგულება**

2000 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

ნ. კერატიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს პარლამენტის ნამოსაბის გამოყენებით მაღალი პროფესიონალიზმისათვის, შეცხოველებაში დარგის განვითარებაში შეგანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს რაიონის სოფელ გაორგიწმინდის მეცნიერების საგარეუის სახელმწიფო ვინსტიტუტის დირექტორი **ნოდარ კერატიშვილი** დაჯილდოებულ ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის **განკარგულება**

2000 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

ვ. კილაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში შეგანილი პირადი წვლილისათვის, ახალი გიმის კაპარების შენებლობის პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვაში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი პროგანმაცეული საქმიანობისათვის ბათუმის ვეფხისპაუნი ქარხნის საპრეზის უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის დამსახურებული მუშაკი **ვასილ კილაძის** დაჯილდოებულ ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

ამბავი რომელზეც მინისტრის მოადგილე ზის



მემიტვეს მკითხველება, თუ ერთ საეულისმო გამოსანთქვამს კიდევ ერთხელ მოვიშველიებ, რადგან ცდუნება ამცენად დიდია, რომ ვერ მოვერიე.

ადაოთკლე ერთი დარიბი მეშურნეის შვილი იყო, რომელსაც ვეფხა სიყვილის მეფობა არეკინა, ოყრის ჭირწყლთან ერთად თახის ქითანე დაადგმევინა, ჩემი მეჭურჭლეშეილობა არ დამაეიწყებსო.

სხვა დროს ეს ამბავი მეგონებად გამომყენებია, ახლა ფაქტობრ პარადეიად ვთვლი.

კაცს, რომელმაც ძალიან მოკლე დროში რამდენიმე პასუხისაგებ თანამდებობაზე ყოფნა მოასწრო, ყველგან თავისი საგარეული დაკვეს. სკამს, რომელზეც მანდის ერთ უფროს მეგობარსა და სამეანოდ სავსე ადამიანს უზეკვია, არსად გოუვებს, მოაქვს და მოაქვს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყველანაირი გაეკითა) სხვის სკამზე ჯდომა არ უყვარს, არამედ როგორც კეთილშობილების სიმბოლო, იგი გამუდმებით ახსენებს, რომ ცხოვრებაში ოთხი რამ არის, უმთავრესი და აუცილებელი: კეთილად ჯდომა, კეთილის ქმნა, კეთილად ქცევა და კეთილის ქმნევინება.

ეს კაცი 31 ქრმა ხომ ნარჩევანზეა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა.

იხ. №3-3 გვ.

ადამიანი დროში

სკამი, რომელზეც მინისტრის მოადგილე ზის

მემიტვეს მკითხველება, თუ ერთ საეულისმო გამოთქმას კიდევ ერთხელ მოვიშველიებ, რადგან ცდუნება ამცენად დიდია, რომ ვერ მოვერიე.

ადაოთკლე ერთი დარიბი მეშურნეის შვილი იყო, რომელსაც ვეფხა სიყვილის მეფობა არეკინა, ოყრის ჭირწყლთან ერთად თახის ქითანე დაადგმევინა, ჩემი მეჭურჭლეშეილობა არ დამაეიწყებსო.

სხვა დროს ეს ამბავი მეგონებად გამომყენებია, ახლა ფაქტობრ პარადეიად ვთვლი.

კაცს, რომელმაც ძალიან მოკლე დროში რამდენიმე პასუხისაგებ თანამდებობაზე ყოფნა მოასწრო, ყველგან თავისი საგარეული დაკვეს. სკამს, რომელზეც მანდის ერთ უფროს მეგობარსა და სამეანოდ სავსე ადამიანს უზეკვია, არსად გოუვებს, მოაქვს და მოაქვს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყველანაირი გაეკითა) სხვის სკამზე ჯდომა არ უყვარს, არამედ როგორც კეთილშობილების სიმბოლო, იგი გამუდმებით ახსენებს, რომ ცხოვრებაში ოთხი რამ არის, უმთავრესი და აუცილებელი: კეთილად ჯდომა, კეთილის ქმნა, კეთილად ქცევა და კეთილის ქმნევინება.

ეს კაცი 31 ქრმა ხომ ნარჩევანზეა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნა.

იხ. №3-3 გვ.

დღის კარიკატურა



ვასტანენ ქეთილის ნახატი.

რეფორმა მოსამართლეთა მორიგი საკვალიფიკაციო გამოცდა

მოსამართლეთა მთრიგი საკვალიფიკაციო გამოცდა საქართველოში ორ ეტაპად – 30 სექტემბერსა და 7 ოქტომბერს ჩაატარდება.

როგორც პრაიმ-ნიუს ვევენის პრეზიდენტის პრეს-სამსახურში აცნობეს, ვეკითრდ შეგარნაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას გამოცდის დანიშვნის თაობაზე და დაადგინა ეუსკეთის საბჭოს, 20 სექტემბრამდე უმრუნველყოს მოსამართლის თანამდებობებზე პრეტენდენტებთა საბუთების მიღება.

პრაიმ-ნიუსი.

უკანასკნელ საათს

ბუშის ბენნეთში, აჩხოთ-მარკანის რაიონის სოფელ სამაკითთან მოთარეშეებმა ცეცხლი გაუხსნეს რუ მანგანი ჯარების ეუბოსთანა სახრძალით მანქანას. დაიღუპა 2 მილიეული, დაიჭრა 4.

ბუშის მოსკოვის ცენტრში, აღვილობრივი დროით დაახლოებით 18 საათზე მეტროს სადგურ „პუშკინსკოის“ მიწისქვეშა გადასასვლელში მოხდა ძლიერი აფეთქება. წინასწარი მონაცემებით, ტერორისტად იქას შეეხეგად დაღუპა 7 მოქალაქე, მათ შორის, ერთი ბავშვი. 53 დაჭრილიდან 8 უმძიმეს მდგომარეობაშია.

მეორე ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს პუშკინის მოედანზე, მაგრამ „ბომბიანთან“ ბრძოლით მოეხერხა, მაგრამ „ბომბიანთან“ ბრძოლით მოსახელეს რა პრეზიდენტს. მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი არ გამორიცხავს მეშნერ ვკალ. დეტექტივების მიერიდა პაკრეთრების გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა.

წუნელ ბენნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა უარყო რაიმე სახით მონაწილეობა ამ ტერაქტში.



– ელჩო, ბაეშობაში უფროსებისგან ხშირად მსმენია ჯენტლმენური ომობისშესახებ. რას ითვლისწინებს ასეთნაირი ომობა?

ქ. ბაალმე, თბილისი.

– ანტიტეზი ომობისა საერთაშორისო პრაქტიკაში ოფიციალური ფორმალობის დეუნვილად დაფეხვა მეთორ ხელშეკრულების ნაწილს. მასი დაფეხის შედეგები ჯენტლმენური ომობისა გულისხმობენ, რომ ნაკახრი ეალდებულებანი, „ჯენტლმენურად“, მეცმეული სიტყვის ძალით შესრულება, რის გამოც აღარაა აუცილებელი ვალდებულების წერილობით გაფორმება.

საერთაშორისო სამართლის ანალიტიკური ლიტერატურის მასტეთი ჯენტლმენური ომობისშესახებ მწირეა. მხოლოდ მოკლეუ ვალდებულების აკისრებს.

დაგვირვებით, შეგვიკითხებიან: 33-28-54.

პრეზიდენტი

„ბედნიერი ვარ, რომ თქვენი გუნდის წევრი გავხდი“

(პირველი გვერდიდან)

ედვარდ ჩოუ ქვეყნის პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობისა და განვითარების საერთაშორისო სააგენტოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე და მის საქმიანობას საქართველოში მთლიანად ამერიკის მხარე აფინანსებს.

ახალი მრჩევლის ფუნქციაში შედის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე და მომავალში დაგეგმილ გლობალურ პროექტებში საქართველოს ინტერესების დაცვა და ენერგომატარებლების საკითხებში თავისი ოცწლიანი გამოცდილების ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისათვის გაზიარება. რაც შეეხება ნავთობისა და გაზის საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს, მათ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა მიიღებენ.

საქართველოს პრეზიდენტისა და თავის ახალ რანგში ედვარდ ჩოუს პირველი შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „საუკუნის პროექტად“ წოდებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პერსპექტივებს, რომლის სრულყოფილ და სწრაფ განხორციელებაზე, პრეზიდენტის აზრით, დამოკიდებულია საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ავტორიტეტი. ბაქო-თბილის-ჯეიჰანის პროექტის სათანადო ტემპით რეალიზაცია განსაზღვრავს საქართველოში სამომავლოდ დაგეგმილი საერთაშორისო პროექტების განხორციელების პერსპექტივებსაც,– განაცხადა შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ. – ამიტომაც, აუცილებელია პროექტის გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დაცვა და მათი უთუო შესრულება.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების დაჩქარებას ხელს შეუწყობს თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა ნიუიორკში, რომელიც სექტემბრის დამდეგს გაეროს ათასწლეულის სამიტის ფარგლებში გაიმართება და, რომელიც სავარაუდოდ სტამბოლის ანალოგიური შეხვედრის მსგავსად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პატრონაჟით მოეწყობა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის გარდა, შეხვედრაზე განხილვის თემად იქცა ტრანსკავკასიური გაზსადენის საკითხი. ედვარდ ჩოუ მიზანშეწონილად მიიჩნევს დროთა განმავლობაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკავკასიური გაზსადენის პროექტების ერთმანეთთან ინტეგრირებას.

შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ და ედვარდ ჩოუმ იმსჯელეს ბაქო-სუფსის პროექტის პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობებზე, რომლის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად, საქართველოს პრეზიდენტი, სუფსაში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობას ასახელებს. ედუარდ შევარდნაძე ასევე პერსპექტიულად მიიჩნევს საქართველოში ენერგომემცველების მოპოვების პროექტებს, რომელთა განხორციელებას უკვე შეუდგა მრავალი უცხოური კომპანია.

ამ და ჩვენი ქვეყნისათვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებსა და წინადადებებს ედვარდ ჩოუ უახლოეს მომავალში უფრო კონკრეტულად ჩამოაყალიბებს და მათ საქართველოს პრეზიდენტს ანალოგიურ რეგულარულ შეხვედრებზე წარუდგენს.

– ჩვენ წინ დიდი პროექტების ხორცშესხმა გველოდება და ამ საქმეში თქვენი მხარდაჭერა და გამოცდილება მეტად მნიშვნელოვანი იქნება, – განუცხადა ედუარდ შევარდნაძემ ედვარდ ჩოუს.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია.

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე ეუთოს განსაკუთრებული როლი

(პირველი გვერდიდან)

როგორც ცნობილია, 2001 წლიდან რუმინეთი ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა იქნება, ხოლო ლივიუ ბოტა ამ ორგანიზაციის მუდმივ საბჭოს უხელმძღვანელებს. აქედან გამომდინარე, რეგიონული კონფლიქტები და მათი მოწესრიგების გზები, ლივიუ ბოტას განცხადებით, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. აღინიშნა, რომ ეუთოს მისია როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ზურაბ ჟვანიამ ხაზი გაუსვა, რომ ეუთომ განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ საკითხების საერთაშორისო დონეზე განხილვასა და პოზიციის ჩამოყალიბებაში და გამოთქვა რწმენა, რომ ეს პროცესი კვლავაც აქტიურად გაგრძელდება. შეხვედრაზე განიხილეს ამ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები.

პარლამენტის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.

პროკურატურა

რეზონანსული საქმეები მატულობს

– კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ფაზაში შედის, – თქვა გუშინ პრესკონფერენციაზე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა. – ეს ასახვას პპოვებს კორუფციული ხასიათის მასალების, აგრეთვე, პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობაში, ამ კუთხით სისხლის სამართლის საქმეთა რეზონანსულობაში.

ამჟამად ჩვენი საგამოძიებო ნაწილი იძიებს ინვალიდთა ლიგის, ფირმა „მერას“ და სხვათა საქმეებს. გატაცებულია მილიონობით ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. წინასწარი მონაცემებით, დანაშაულში გარეული არიან თანამდებობის პირებიც.

პანკისის ხეობაში საერთაშორისო წითელი ჯვრის 2 თანამშრომლისა და მათი თბილისელი მძღოლის გატაცებასთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ არის ვერსიები, არიან ეჭვმიტანილები, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ მათზე ვერ ლაპარაკობს. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, ერთობლივად მუშაობენ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა მუშაკები. იმედი არის, რადგან მოსახლეობა თავად აღშფოთებულია და სამართალდამცავებს გვერდით უდგას. როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, – შეიძლება ეს პროვოკაციაც იყოს. ვნახოთ, ყველაფერი მალე უნდა გაირკვეს.

ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა ილაპარაკა იმ სამწუხარო ფაქტზეც, რომელიც მოხდა წალკის რაიონში. ქართველებისა და ბერძნების კონფლიქტის საბაბი გამხდარა ერთ-ერთ კაფეში ორი ჩასახლებული პირის წაქეიფება და გაუგებრობა ფულის გადახდის დროს. ამ პატარა ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა 70-80 შეიარაღებული კაცის თავდასხმა ქართველ მოსახლეობაზე. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს მოხდა ეთნიკურ საფუძველზე. ბერძნებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ამ ვერსიასაც ვერ გამოვრიცხავთ, გამოძიება ამითაც დაინტერესდება, – დასძინა გენერალურმა პროკურორმა.

– რა ბედი ეწია იმ კოლეგიას, რომელიც ხე-ტყის უკანონო ჭრას ეხებოდა და ამ ერთი თვის წინათ გადაიდო? – ჟურნალისტთა ამ კითხვაზე ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა ასე უპასუხა: – კოლეგია სულ მალე გაიმართება. ჩვენ მაშინ არ დავეთანხმნენ ციფრობრივ მონაცემებში. საკითხი უფრო ღრმად შევისწავლეთ და თავად ნახავთ, რომ ჩვენი შემტევი პოზიციები არ შენელებულა!

ბონდო გულიაშვილი.

გამოხმაურებიან

ყველაფერს პროკურატურა დააზუსტებს

„საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 5 აგვისტოს №210-ში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „მილიონები თაღლითური ფირმისათვის“. სტატიაში საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან მიმართებაში გაპარულია რამდენიმე სერიოზული უზუსტობა, კერძოდ:

1. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (შემდგომში ელექტრობაზარი) ჩამოყალიბდა სექტორში მიმდინარე რეფორმების შედეგად, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა (მუხლი 22 და 23) და ამ კანონის ამოქმედების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 13 ივნისის №370 ბრძანებულების საფუძველზე. მის შექმნაში და ამჟამად მისი ფუნქციონირების სრულყოფაში უშუალოდ მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ მსოფლიო ბანკის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, სხვა დონორების ექსპერტები. ელექტრობაზრის ფუნქციონირების დაწყების ვადაც სწორედ ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად უსაფუძვლო და უხერხულია ამ თარიღის დაკავშირება შპს „მერას“ ან ნებისმიერი სხვა ფირმის რეგისტრაციის თარიღთან.

2. ელექტრობაზრისათვის ბოლო დრომდე საერთოდ არაფერი იყო ცნობილი შპს „ენგურჰესსა“ და შპს „მერას“ შორის ა.წ. 15 თებერვალს გაფორმებული კონტრაქტის თაობაზე. და, ცხადია, არც რაიმე თანხის გადაცემის მოთხოვნის უფლებაზე.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2000 წლის 31 მარტს განხორციელებულ გადარიცხვასთან (300 ათასი ლარი) დაკავშირებით ელექტრობაზრის წერილი ითვალისწინებდა შპს „ენგურჰესის“ თხოვნას მისთვის აღნიშნული თანხის გამოყოფის შესახებ. ამის შემდგომ თანხების მიზნობრივი წარმართვა სცილდება ელექტრობაზრის კომპეტენციას.

4. ელექტრობაზრის ა.წ. 24 თებერვლის წერილი, რომელიც მოხსენებულია სტატიაში როგორც ზემოაღნიშნული გადარიცხვის საფუძველი, ნამდვილად ყალბი აღმოჩნდა და სწორედ ელექტრობაზრისა და სახაზინო სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით მოხდა მისი გამოვლენა და მისი ამოქმედების თავიდან აცილება. ვიმეორებთ, ასეთი წერილი ელექტრობაზარს არ გაუგზავნია.

5. სტატიაში აღნიშნულია, თითქოს ხაზინიდან ა.წ. 15 და 31 მაისს განხორციელებული გადარიცხვების (შპს „მერაზე“, „საფოსტო ბანკში“, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში) საფუძველია ელექტრობაზრის ა.წ. 15 მაისის წერილი, რაც ყოვლად გაუგებარია. ელექტრობაზარი მოცემული წერილებით შპს „ენგურჰესის“ მოთხოვნის საფუძველზე, ითხოვდა სახაზინო სამსახურს შესაძლებლობის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია შპს „ენგურჰესისათვის“ და, ბუნებრივია, არავითარი კავშირი ამ წერილს შპს „მერასთან“ არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ ხაზინა გამონახავდა საშუალებას და გამოყოფდა შპს „ენგურჰესისათვის“ ფინანსებს, ამ უკანასკნელთა განმკარგველი სწორედ შპს „ენგურჰესი“ გახდებოდა და ამ თანხებთან უკვე არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონოდა ელექტრობაზარს.

6. მართალია, ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ის ნაწილი, რომლის ანაზღაურება ხორციელდება ცენტრალიზებულად, ძირითადად, ელექტროენერგეტიკული სექტორის კომპანიების საბიუჯეტო ვალდებულებების (დამატებითი ღირებულების გადასახადი, საბაჟო და სხვა გადასახადები) დაფარვას ხმარდება, მაგრამ, ეს იძულებითი ნაბიჯია და ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანაში მოხდება მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების სრული გადახდა, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდანაც) და ენერგეტიკული კომპანიები შეძლებენ გადასახადების გადახდას.

ივერი შალამბერიძე,
კავშირი (ასოციაცია) „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ გენერალური დირექტორი.

რედაქციისაგან: სტატია „მილიონები თაღლითური ფირმისათვის“ დაწერილია საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული მასალების საფუძველზე. ჯერჯერობით მიმდინარეობს გამოძიება და პირველადს მასალებში თუ რამ უზუსტობაა, მას ისევ პროკურატურა დააზუსტებს. სხვათა შორის, 8 აგვისტოს გამართულ პრესკონფერენციაზე, ეს საქმე გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა შეაფასა, როგორც კორუფციული ხასიათის, რეზონანსული, პერსპექტიული საქმე ბიუჯეტიდან მილიონების დატაცების შესახებ. კარგი იქნებოდა, თუ ბატონი ივერი შალამბერიძე თავის გამოხმაურებაში ამ დატაცებაზეც იტყოდა ორიოდ სიტყვას და მხოლოდ ასეთი „სერიოზული“ უზუსტობებით არ შემოიფარგლებოდა.

ეროვნული თანხმობის კომისიაში

რაზე შეთანხმდებიან 17 აგვისტოს?

პარლამენტის ეროვნული თანხმობის კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე, ამავე კომისიის წევრები, პარლამენტარები ელდარ შენგელაია და კოტე კემულარია თვლიან, რომ კომისიაში დაგროვილი საკითხების რაიმე ერთი თარგით გადაჭრა ძნელია და ყველაფერ ამას დრო სჭირდება, თუმცა ბოლო დღეებში მიღწეულ შეთანხმებას ისინი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ.

როგორც ვიცით, ზვიადისტების ერთ-ერთი მოთხოვნაა თანხმობის კომისიაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, კერძოდ, ნუგზარ საჯაია ჩართულიყო, დაკმაყოფილდა. კომისიის მუშაობაში უშიშროების საბჭოდან, ასევე ჩაერთვებიან რუსუდან ბერიძე და ჯემალ გახოკიძე. საჭიროებისამებრ კომისიასთან ითანამშრომლებენ ჯამლეთ ბაბილაშვილი, ლადო ჭანტურია, ჯონი ხეცურიანი, შესაძლოა განათლების მინისტრი ალეკო კარტოზიაც.

ამ დღეებში უშიშროების მდივნის კაბინეტში ერთი ასეთი შეხვედრა უკვე შედგა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თანხმობის კომისიის როგორც საპარლამენტო ფრთის წარმომადგენლები, ასევე, „არასაპარლამენტო“ ზვიადისტები.

გუშინ პრესკონფერენციაზე ვასილ მაღლაფერიძემ, ელდარ შენგელაიამ და კოტე კემულარიამ სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრეს.

ზვიადისტური ფრთა ეროვნული შერიგების კომისიისაგან ზესტაფონის ოპერაციის დროს დაკავშირებული სამი ადამიანის გათავისუფლებას დაჟინებით მოითხოვს. გაათავისუფლებენ თუ არა მათ, ეს შესაძლოა 17 აგვისტოს გაირკვეს – თანხმობის კომისიის მორიგ სამუშაო შეხვედრაზე მოწვეული იქნება გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი. ამ და სხვა კითხვებზე პასუხს, ალბათ, იგი გასცემს. რაც შეეხება თანხმობის კომისიას, მათ კომპეტენციაში არ შედის ვინმეს გათავისუფლება, მაგრამ როგორც აღნიშნეს, შესაძლებლობის ფარგლებში ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა პრობლემები გადაიჭრას. მათი მოთხოვნით, 48 პატიმრის საქმე გადასახედად კომისიას გადაეცემა. ამ საქმეებს კომისიის წევრი, იურისტი კოტე კემულარია უშუალოდ გაეცნობა.

ჩვენი სურვილია ყველაფერი ისე მოგვარდეს, რომ მალე თანხმობის კომისია საჭირო არც იქნეს. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი, ეს არის სახელმწიფოს, პრეზიდენტის ნება, – აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ.

მზია გელენავა.

გუშინ

თბილისში ჩამოვიდა ლეშეკ ბალცეროვიჩი

8 აგვისტოს, თბილისში ჩამოვიდა ლეშეკ ბალცეროვიჩი – საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სავარაუდო მრჩეველი ეკონომიკის დარგში. ბალცეროვიჩის ახლანდელ ვიზიტს წინ უსწრებდა ვარშავის CASE ინსტიტუტის წარმომადგენლების, დოქტორ ევა ბალცეროვიჩისა და ჯერზი მილერის მოსამზადებელი ვიზიტი, რომელიც ივლისის დამლევს გაიმართა.

1989–1991 წლებში ბალცეროვიჩი იყო პოლონეთის ვიცე–პრემიერი და ფინანსთა მინისტრი. სწორედ მან განახორციელა სწრაფი ტრანსფორმაციისა და სტაბილიზაციის გეგმა, რომელიც „ბალცეროვიჩის გეგმის“ სახელით არის ცნობილი. 1992 წლიდან ბალცეროვიჩი კითხულობდა ლექციებს ვარშავის ეკონომიკის სკოლაში, 1995 წლიდან კი სათავეში უდგას პოლონეთის წამყვან პოლიტიკურ პარტიას „მშვიდობის ერთობა“.

საქინფორმი.

ადამიანი დროში

სკამი, რომელზეც მინისტრის მოადგილე ზის

(პირველი გვერდიდან)

კობა ნარჩემაშვილმა 1993 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სტაჟიორ გამომძიებლად წყალტუბოს რაიონის პროკურატურაში დაიწყო მუშაობა. მალე უფროსი გამომძიებელი გახდა, ხოლო 1995 წლიდან გენერალურ პროკურატურაში გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელია. ამ პერიოდში იგი არაერთ გახმაურებულ და საკმაოდ მძიმე საქმეების გამოძიებაში მონაწილეობდა, საიდანაც სულ მალე ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში გადაჰყავთ სახელმწიფო მრჩევლად სამართალდაცვით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურში. ოთხი თვის შემდეგ იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილედ ინიშნება, ორი წლის შემდეგ კი კვლავ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატშია სამართალდაცვით ორგანოებთან ურთიეროთბის სამსახურის უფროსად. წლეულს, აპრილში, კობა ნარჩემაშვილი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ ინიშნება. სამი თვის შემდეგ კი იგი კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილედ ბრუნდება.

ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

როგორ უყურებს ახალგაზრდა იურისტი პასუხსაგებ თანამდებობაზე ხელმძღვანელის ხანმოკლე ვადით ყოფნას?

არასასურველად, რადგან მიაჩნია, არასტაბილურობა ხელს არ უწყობს გამართულ მუშაობას.

ცხოვრება კი სავსეა მოულოდნელობებით, და ერთ დღესაც სულ სხვა მიზნისკენ მიმავალ კობა ნარჩემაშვილს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ ამწესებენ.

მოულოდნელობაც ამას ჰქვია, იგი, ერთხელაც რომ არ გაუფიქრია, იმ დარგის ხელმძღვანელი ხდება.

– მეთქვა უარი მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება უკვე სახელმწიფო მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს მიღებული ჰქონდა, უბრალოდ, უტაქტობა იქნებოდა. მართალია, უარის თქმის მრავალი მოტივი მქონდა, რომელთა შორის უმთავრესი იყო ის, რომ მე საბაჟო საქმის არაპროფესიონალი ვიყავი, მაგრამ მაინც არ გავჯიუტებულვარ. თუნდაც იმიტომ, რომ როცა ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენლებმა ნდობა გამომიცხადეს, მიიჩნიეს, რომ ჩემი გარკვეული უნარ-ჩვევებითა და სამართლებრივი გამოცდილებით, შემეძლო იქ არსებული სიტუაციის შეცვლა, უარის თქმა ნამდვილად არ იქნებოდა. და იმის მიუხედავად, რომ იქ მუშაობის არავითარი პიროვნული სურვილი არ მქონდა, ჩემდამი გამოცხადებულმა ნდობამ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა გამიჩინა და სწორედ ამ ნდობამ დამაძლევინა არაპროფესიონალიზმით გამოწვეული ყველა ხარვეზი და სიძნელე.

კობა ნარჩემაშვილი მთელი გულმოდგინებით შეუდგა მუშაობას. იგი ცდილობდა ამ სფეროშიც გამხდარიყო პროფესიონალი და მოკლე დროში ხელშესახები პრაქტიკული შედეგებისთვისაც მიეღწია, აქედან ასე უეცრად წასვლაზე კი ნამდვილად არ მიფიქრიაო, ამბობს თუმცა იმას, რომ ჰქონდა სურვილი თავისი პროფილით ემუშავა, არ მალავს. მას ძალიან, ძალიან უყვარს თავისი საქმე.

და მაშინ, როდესაც საბაჟოს ახალმა ხელმძღვანელმა იგრძნო, რომ გამართულად შეეძლო გაძღოლოდა საქმეს, პრობლემებიც შემცირდა და წინსვლაც აშკარა გახდა (ეს ბოლო ორ თვეში შესრულებულმა გეგმამაც დაადასტურა, რომელიც სუმბურული კი არა, მიზანმიმართული მუშაობის შედეგი იყო და კობა ნარჩემაშვილი დარწმუნებულია, თუ მუშაობა იმავე მეთოდითა და ხარისხით გაგრძელდება, სერიოზული შედეგები თანდათან მოიმატებს), იგი გამოძიებაში გადაჰყავთ. უფრო ზუსტად, კობა ნარჩემაშვილი როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, კურატორობას გაუწევს ამავე სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოსა და იურიდიულ სამსახურს.

შეეძლო თუ არა მას, აბსოლუტურად შეეცვალა ფსიქოლოგიური გარემო საბაჟოზე?

დარწმუნებულია, რომ ბევრი რამის შეცვლას შესძლებდა. თუნდაც საქმისადმი თავისი ნებელობითი დამოკიდებულებით.

– თანამშრომლები ხელმძღვანელის ნებისმიერი საკითხისადმი დამოკიდებულებას, მის ნებას გულდასმით აკვირდებიან, როცა ხედავენ, ეს ნება გადაცდომილებისადმი შეურიგებელია, იძულებული ხდებიან ან გარდაიქმნან, ან დატოვონ იქაურობა. მართალია, მომხვეჭელობისა თუ კორუფციის აღმოფხვრას მარტო ეს არ შველის, დროც მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ჯერჯერობით, მისი საგძრნობლად შემცირება და გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოფხვრა სავსებით შესაძლებელია, – ასე სჯერა საბაჟოს ყოფილ ხელმძღვანელს, რომელსაც საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ყბადაღებულ ნათქვამს შევახსენებ: თითქოს მას საგადასახადო შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი უშლიდა მუშაობაში ხელს...

– არასოდეს, არსად, მსგავსი რამ არ განმიცხადებია. უბრალოდ, ჩემი პრინციპული პოზიცია გამოვხატე: მას შემდეგ, რაც საბაჟოს უფლებამოსილება შეიკვეცა, კერძოდ, იქ განხორციელებული ცვლილებების გამო საბაჟოში აღარ იყო ოპერატიული, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის, სადაზვერვო საინფორმაციო სამსახურები და მოკვლევის სამმართველო (ისინი ფინანსურ საგანგებო ლეგიონს დაექვემდებარა), რომლებიც მე შედარებით უკეთ ვიცოდი და მისი ეფექტიანი გამოყენება შემეძლო, ჩავთვალე, რომ ჩემი ადგილი იქ აღარ იყო. მაჭავარიანთან კი პიროვნულად გასაყოფი არაფერი მაქვს, ერთმანეთთან შესანიშნავი დამოკიდებულება გვაქვს.

კობა ნარჩემაშვილს მიაჩნია, რომ ნებისმიერ თანამდებობის პირს უნდა შესწევდეს უნარი და ძალა განჭვრიტოს, შეძლებს თუ არა არსებულ ვითარებაში უფლება-მოვალეობებით საქმის გაკეთებას. იმის გამო, რომ გეკავოს ხელმძღვანელის პოსტი, მოატყუო სახელმწიფოს მეთაური, მინისტრი, საზოგადოება, უბრალოდ უზნეობაა. ის, რომ ასეთი ცვლილებებით საბაჟოში გაჭირდებოდა მუშაობა, ეს საბაჟოს ყოფილი ხელმძღვანელის მტკიცე პოზიციაა და ამის ხმამაღლა თქმაც თავის მოვალეობად მიიჩნია.

როგორ გრძნობთ თავს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბრუნებული ახალგაზრდა იურისტი?

უწინარეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობითა და ნდობით არის დამუხტული. იცის, გამოძიება უაღრესად რთული და პასუხსაგები უბანია იურისპრუდენციაში. მით უფრო, როცა ქვეყანაში არსებული საქმეების 87 პროცენტს მისი საკურატორო – საგამოძიებო დეპარტამენტი – იძიებს. თუ ამას გამოსაძიებელ საქმისადმი იმ განსაკუთრებულ მიდგომასაც დავუმატებთ, ჩვენი არსებული მდგომარეობა რომ მოითხოვს, პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე ასკეცდება.

კორუფციამ, სახელმწიფო ქონების გატაცების დონემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ამის უამრავი ფაქტი დღეს ხელისგულზე დევს და სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს. ზოზინის, გაჭიანურებისა და მიფუჩეჩების დრო აღარ არის, ყველა საქმე სასამართლოში უნდა წარიმართოს, დასჯის პრინციპმა უნდა იმუშაოს. კაცმა უნდა იცოდეს, რომ მას დანაშაულებრივი ქმედობისათვის დასჯიან. ეს კი შეუქცევადი პროცესი უნდა იყოს, – ასეთია კობა ნარჩემაშვილის პრინციპული პოზიცია და ამბობს, როგორც კურატორი და პროფესიონალი გამომძიებელი იგი ამ საქმეში მნიშვნელოვან მონაწილეობას მიიღებს... მტკიცედ სჯერა იმ ხალხის, ვისაც ამ საქმეში უნდა ენდოს და დაეყრდნოს, ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის პროფესიონალ გამომძიებელთა, დიდი პოტენციალია. მინისტრთან შეთანხმებით, სტრუქტურულ რეორგანიზაციასაც აპირებს კურატორი და არც იმას მალავს, რომ ამ ჩანაფიქრში მინისტრისგან მწვანე შუქი აქვს ანთებული. ამასთანავე, აუცილებლობად მიიჩნევს საკანონმდებლო ბაზის არა კოსმეტიკურ, არამედ სერიოზულ ცვლილებებს, რათა კეთილსინდისიერ გამომძიებელს მუშაობის მაქსიმალური საშუალება მიეცეს.

– ისე არ უნდა იყოს, რომ სახელისგან თავის დაძვრენის ყველანაირი საშუალება ჰქონდეს დამნაშავეს, გამომძიებელს კი არანაირი, რომ პასუხი აგებინოს მას, – აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და მიაჩნია, რომ საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომაა საჭირო, რაც რამდენიმე კანონში ცვლილებას მოითხოვს.

– მინდა, რომ გამომძიებელი, როგორც პროცესუალური ფიგურა, იყოს ღირსეული, მიმაჩნია და მზად ვარ დავასაბუთო, რომ დღეს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გამომძიებელი უკვე აღარ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. თუკი ვინმეს პრეტენზია აქვს, რომ ზოგიერთი გამომძიებელი, ადამიანის უფლებებს არღვევს, ხომ არ შეიძლება მთელი კორპუსი ერთი საზომით შევაფასოთ?

მოდით, მოვიყვანოთ პროფესიონალი, კეთილსინდისიერი გამომძიებლები და გაბედულად გავთავისუფლდეთ იმათგან, ვინც დარღვევებშია შემჩნეული. მაგრამ ასე ხელაღებით და უაპელაციოდ ვიძახოთ, რომ გამომძიებელი არის ადამიანის უფლებების შემლახავი, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. – ამბობს კობა ნარჩემაშვილი, რომელსაც ამ რამდენიმე დღეში მოსმენილი საქმეების საფუძველზე, დიდი იმედი აქვს, რომ საზოგადოება მალე გაიგებს იმათ სახელებს, ვინც მოქალაქეთა თუ სახელმწიფოს ჯიბეში ჩაყო ხელი და თავხედური მომხვეჭელობით შეეცადა გამდიდრებას.

– ეს იქნება შეუქცევადი პროცესი. მალე ყველა დარწმუნდება იმაში, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი და დამნაშავეობასთან ბრძოლის გულწრფელი ნება.

კობა ნარჩემაშვილი ირწმუნება, რომ საქმეთა გამოძიების დროს მაქსიმალურად გამოირიცხება სუბიექტური ფაქტორი. რაც შეეხება ობიექტურს, როგორიც არის საპროცესო ვადები, ექსპერტიზა, დაუფინანსებლობა, ამას, სამწუხაროდ, მართალია, მხოლოდ ისინი ვერ მოერევიან, მაგრამ შესაძლებლობის ზღვარზე მუშაობას კი შეეცდებიან.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

გვალვა

ნახირი თუ გაჩანაგდა, მოსახლეობა ულუკმაპუროდ დარჩება

საკვების უქონლობის გამო თუ ნახირი გაჩანაგდა, ეს მოსახლეობის ულუკმაპუროდ დატოვებას ნიშნავს. წლევანდელი ზაფხული კი ხალხს სწორედ ამას უქადის, განსაკუთრებით იქ, სადაც სარწყავი სისტემების ნაკლებობაა. თუმცა რაც არის, ზედმიწევნით ზუსტად და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

1987 წლის ზამთარში სტიქიური კატასტროფები მოხდა დასავლეთ საქართველოში. როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად სვანეთი დაზარალდა. ხელისუფლებამ საზღვრისპირა რაიონებში, ზოგან ძველ ნასოფლარებშიც კი და ზოგანაც ახალ ადგილებში, ლენტეხიდან და მესტიიდან ჩამოყვანილი ოჯახები ჩაასახლა. ერთ-ერთი გარდაბნის რაიონის სოფელი ლემშვენიერა, ანუ ძველი ჯანდარაა, ახლა ამ საკრებულოში ჩამოსახლებული 630 ოჯახია რეგისტრირებული.

ხელისუფლებამ სოფლის წყლით უზრუნველყოფის შემდეგ დაიწყო ქარსაცავი ზოლების გაშენება, რასაც ნასვენი მიწების ათვისება და ულაბნოსა და პოლიგონის გაცოცხლება მოჰყვა. ძველ ჯანდარაში, როგორც მაშინ ამბობდნენ, საბჭოთა კავშირში სიდიდით მესამე მსხვილფეხა საქონლის სასუქებელი კომპლექსი აშენდა, მოეწყო უზარმაზარი საწარმოო ბაზა ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი მექანიზირებული ფერმებით, სარწყავი სისტემებით, წყალსაქაჩი სადგურებით. ყველა ფერმა უზრუნველყოფილი იყო სასმელი წყლით. მისი მიმდებარე ფართობები შეუფერხებლად ირწყვებოდა. მთლიანად 7996 ჰა, მიწის ფონდი ერიცხებოდათ, აქედან 4444 ჰა სახნავ-სარწყავი ფართობები იყო. სოფელში არსებობდა მანქანა-ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმდიდრესი ბაზა, რომელიც 400 ერთეულს აერთიანებდა, ფერმებში სასუქებელი მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 25 ათასიდან 35 ათასამდე მერყეობდა, მაგრამ დღეისათვის უმდიდრესი მეურნეობიდან ქვა-ქვაზეც არ დარჩა, არც შენობა-ნაგებობები, მცირე გამონაკლისის გარდა, არც სარწყავი და სხვა წყალმომარაგების სისტემები, სოფელს სასმელი წყალიც კი არ აქვს. წელს ძლივს ეღირსათ წყალი საკარმიდამო საბოსტნე ნაკვეთების მოსარწყავად, ეს რომ არა, მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებოდა მთლიანად სოფლის მოსახლეობა. მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ეს პრობლემა გადაწყვიტა. თვით სოფლის თავკაცებმა ივარგეს. წყალთა მეურნეობის დეპარტამენტმა და მათმა სამსახურებმა დიდი თანადგომა გაუწიეს. ახლა სასმელი წყლის პრობლემაა გადასაწყვეტი. შემდეგ შეიძლება იმაზე ფიქრი, სოფელი გადარჩება თუ არა, რადგან სოფელი, რომელსაც მეცხოველეობა ასულდგმულებს, ნახირის მოსპობის საშიშროების წინაშე დგება, უთიოდ აქ ხალხი ვერც ძროხას იყოლიებს და ვერც თავს ირჩენს.

ხელისუფლების სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთი უგერგილო მუშაკის თვაწლინ, უფრო გულახდილი და სამართლიანი ვიქნები თუ ვიტყვი, მათი ხელშეწყობითა და მითითებით განიავდა სახალხო დოვლათის ის აუწონავი და ფასდაუდებელი საწყაო, რომელიც, ალბათ, მრავალ თაობას მოემსახურებოდა. დღესაც თურქეთის ხელისუფლების ნაჩუქარი დიზელის საწვავიც კი აქაურმა მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმა თუ მიიღო.

ახლა ქვეყნის მმართველობა აღიარებს გვალვის გამო კატასტროფას. ეს საკითხი ლემშვენიერაში უფრო ადრე დადგა. სულ მოსარწყავია 3500-დან 4000 ჰექტარამდე ფართობი, რასაც ხელს უშლის თვით წყლის მეპატრონე, წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ექსპლოატაციის სამმართველო, უფროსის ზურაბ ქაჯაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ამბობს, ვინაიდან ხელისუფლებას არა აქვს საშუალება დააფინანსოს წყლის ექსპლოატაცია, ამიტომ მოსახლეობამ გადაიხადოსო. საკითხავია, თუ წყალს არ მიიღებს მოსახლეობა, რატომ უნდა გადაიხადოს? ახლა გარდაბნის რაიონის მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის, მათ შორის უპირველესად ლემშვენიერას გადარჩენის ერთადერთი გზა წყლის რესურსების სრულყოფილი და სამართლიანი განაწილებაა, რაშიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უფრო ენერგიულად უნდა ჩაერთონ.

სოფელ ლემშვენიერას მოსახლეობა დახმარებას ითხოვს.

პირიმზე გვარლიანი,
„სრ" შტატგარეშე კორესპონდენტი.

გუშინ

საქმიანობა დროებით შეაჩერეს

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თბილისის წარმომადგენლობამ დროებით შეაჩერა თავისი საქმიანობა პანკისის ხეობაში. ეს ჟურნალისტებს 8 აგვისტოს აცნობეს ამ წარმომადგენლობაში. ჰუმანური დახმარების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ პანკისის ხეობაში 5 აგვისტოს მოიტაცეს მისიის სამი თანამშრომელი, რომელთა ბედი დღემდე გაურკვეველია.

საერთაშორისო წითელ ჯვარს არა აქვს ახალი ინფორმაცია თავისი მოტაცებული თანამშრომლების შესახებ; რომელთა შორის არიან საქართველოს მოქალაქე იური დარჩიევი, საფრანგეთის მოქალაქე სოფი პროკოფიევი და იტალიის მოქალაქე ნატალი ზულინო. წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების იმედი აქვთ, რომლებიც მესამე დღე-ღამეა ინტენსიურად ეძებენ მოტაცებულებს.

საინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2000 წელი.

ჩვენი პუბლიკაციის კვალზე

აპრილის დასაწყისში, როცა ჟინვალის კომპლექსურ ჰიდროკვანძში შექმნილ რთულ ვითარებაზე ვწერდით („ამ პრობლემის მიყურისძირება დანაშაულია“), რედაქცია იმედოვნებდა, რომ ამ ფრიად საგანგაშო ფაქტების გაცნობისთანავე გამოგვეხმაურებოდნენ ენერგეტიკის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროები, ქალაქის მერია, მაგრამ ჩანს, ეს ფრიად პატივსაცემი უწყებები უფრო საშური საქმით იყვნენ დაკავებული და დღემდე ვერც ჩვენთვის და ვერც ჰიდროკვანძისათვის ვერ მოიცალეს. ამ წერილზე თბილისის მერიის დუმილმა უფრო დაგვაფიქრა, რადგან ჟინვალის წყალსაცავი დედაქალაქის წყალმომარაგების თვალსაზრისით, გაცილებით მნიშვნელოვანი ნაგებობაა, ვიდრე თავად ჰიდროელექტროსადგური, რადგან საქართველოს მთლიან ენერგოსისტემაში ჟინვალჰესის ხვედრითი წილი 5 პროცენტს არ აღემატება. მას დედაქალაქისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან წყალმომარაგება მთლიანად ამ წყალსაცავზეა დამოკიდებული. არაგვის წყალი ჟინვალის ჰიდროსადგურიდან ბოდორნის წყალსატევში ჩაედინება, იქიდან კი ღრმაღელის სატუმბი სადგურებით მთელ ქალაქში ნაწილდება. ჟინვალიდან წყლით თბილისის ზღვასთან ერთად, ნატახტრისა და ბულაჩაურის წყალმეურნეობაც მარაგდება. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ „თბილწყალკანალის“ თითქმის ყველა ობიექტი წყალსაცავიდან ჟინვალჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას მოიხმარს და მას ამ მხრივ პრობლემები არ აქვს.

სერიოზულად შეარყევდა, ქვეყანას სოლიდურ ფინანსურ ზარალსაც მიაყენებდა. შპს „ჟინერმა“ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან დავა „ჟინვალჰესის“ იჯარის გაუქმებასთან დაკავშირებით სასამართლოს ყველა ინსტანციაში მოიგო და ობიექტის მართვის სამართლებრივი სტატუსი შეინარჩუნა, მაგრამ გვირაბისა და ჰიდროკომპლექსის რეაბილიტაციის საქმე მოუგვარებელი დარჩა. არადა, ვითარება, როგორც ვთქვი, დღითიდღე მძიმდება და თუ დროზე არ მოიძებნა გამოსავალი, ეს დავიდარაბა უთუოდ სავალალოდ დამთავრდება.

ფაქტობრივად, არაგვის მთლიანი შემონადენი რეგულირდება, რის გამოც, თბილისს საჭირო რაოდენობის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა აღარ აქვს. 1995 წლიდან დღემდე ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი აქვს 11 მილიონი ლარი, ხოლო საიჯარო ქირის მოცულობა 10 მილიონს უახლოვდება.

თქვენ წარმოიდგინეთ, სახელმწიფოს რომ გამოეჩინა კეთილი ნება და სურვილი, დახმარებოდა „ჟინერს“ (დროებით მაინც დაეტოვებინა თუნდაც ის თანხა, რომელსაც სახელმწიფოსვე უხდის) ან მისთვის გა-



თუ არ ვუშველეთ, ჟინვალჰესი საკუთარ წყალსაცავში ჩაიხრჩობა

ჟინვალის ჰიდროკომპლექსი უნიკალური არქიტექტურული ნაგებობაცაა, რომელიც 520 მილიონ კუბმეტრ წყალს იტევს. აქედან სასარგებლოა 370 მილიონი კუბმეტრი. საერთოდ კი, არაგვი წელიწადში 1,7 მილიარდ კუბმეტრ წყალს ატარებს. მის 30 პროცენტს წყალსაცავი არეგულირებს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, არაგვი ისეთი მდინარეა, ან დაგანგრევს, ან აგაშენებსო. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივად მდინარის ჩამონადენის მოცულობა წლის განმავლობაში წამში 11 კუბმეტრიდან 800 კუბმეტრამდე შეიძლება მერყეობდეს. თბილისს დღეს, მაგალითად, საშუალოდ, წამში 40 კუბმეტრი წყალი უნდა მიეწოდებოდეს, რეალურად კი იღებს 35 კუბმეტრს. მდინარის დებეტი ამჟამად 30 კუბმეტრსაც ვერ აღწევს, თუმცა, კი არის პერიოდები, როცა მდინარის ჩამონადენი წამში 11 კუბმეტრამდე ეცემა. ეს ძირითადად ზამთრის პერიოდში, და რომ არა ეს ჰიდროკომპლექსი, თბილისის შეუფერხებელი წყალმომარაგება წარმოუდგენელი იქნებოდა. საერთოდ, კი უნდა აღინიშნოს, რომ იმდენ სასმელ წყალს, რაც თბილისს მიეწოდება, მოსკოვიც არ ხარჯავს. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან ეს წყალი უფასო სულაც არ გახლავთ და ეს მილიონობით კუბური მეტრები საკმაოდ მსუყე ლუკმად გამოიყურება და შესაბამის ინტერესსაც აღძრავს.

ჟინვალის ჰიდროკომპლექსის აგება ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში დაიგეგმა, რადგან თბილისის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად მისი წყალმომარაგების პრობლემაც სულ უფრო მწვავედ იჩენდა თავს, თბილისის წყალსაცავი (ზღვა) კი ასეთ დატვირთვას ბუნებრივია, ვეღარ გაუძლებდა. გადაწყდა არაგვის წყლის გამოყენება. კომუნისტებს წყალსაცავის აგების თაობაზე დებატები არ გაუმართავთ. შეიქმნა პროექტი და სულ რამდენიმე წელიწადში ჰიდროკომპლექსი ჰიდროელექტროსადგურითა და სხვა საჭირო ნაგებობებით დაჩქარებული ტემპით აიგო. მართალია, ამ ნაჩქარეობის შედეგს ჰიდროკვანძი დღეს იმკის, მაგრამ მაინც დიდი საქმე გაკეთდა – თბილისს წყლის პრობლემა მოეხსნა. კომპლექსმა 1985 წელს დაიწყო მუშაობა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჰიდროელექტროსადგურის მთავარი წყალგამტარი გვირაბის ჩანგრევის გამო სამანქანო ნაწილში მოულოდნელად წყალი შემოვარდა, დაძირვა დაიწყო და (ჰიდროელექტროსადგურის სამანქანო ნაწილი, სადაც ტურბინები და გენერატორებია დამონტაჟებული, მიწის ქვეშ 70-80 მეტრ სიღრმეზეა განთავსებული) რამდენიმე თვით სადგური გაჩერდა. ეს სწორედ ის გვირაბია, რომლითაც წყალი ბოდორნის წყალსატევში ჩაედინება.

საჭირო გახდა დაზიანებულ გვირაბში ახალი გვირაბის ჩაშენება. თუ მას ადრე წამში 115 კუბმეტრი წყლის გატარება შეეძლო, ახლა მისი გამტარუნარიანობა 60-70 კუბმეტრამდე შემცირდა. გვირაბის ნგრევა ამით არ დასრულებულა, მოძრავი ქანებისა და არცთუ ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გამო გვირაბის ფსკერი ერთ მონაკვეთზე 80 სანტიმეტრით ამოიბურცა. ახლახან დათვალიერების შემდეგ, ახალი, არანაკლებ საშიში დაზიანებაც აღმოჩნდა – გასასვლელიდან 700 მეტრში წყალს 10-15 მეტრის სიგრძეზე მთლიანად გამორეცხილი აქვს საყრდენები, გვირაბი ჰაერშია ჩამოკიდებული და როდის ჩამოინგრევა, ღმერთმა იცის. ამ გვირაბის დანგრევა რამდენიმე თვით მაინც თბილისის წყალმომარაგების შეწყვეტას ნიშნავს. ეს კი რა შედეგსაც გამოიღებს, მგონი, კომენტარი არ სჭირდება.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, 1997 წელს ირანელებმა გამოთქვეს სურვილი ჟინვალის ჰიდროკომპლექსის სარეაბილიტაციოდ საჭირო კრედიტის გამოყოფის თაობაზე, მაგრამ მაშინ სახელმწიფომ არ მოინდომა, გარანტია არ გასცა და პროექტი ვერ განხორციელდა, არადა, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 მარტის განკარგულება ამ საკითხის საბოლოოდ მოგვარებას ისახავდა მიზნად, მაგრამ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის განკარგულება არ შეასრულა.

შპს „ჟინერმა“, რომელსაც 1994 წლიდან იჯარით აქვს აღებული ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური, გამოსავლის ძიება დაიწყო. იმავე, 1997 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა უცხოელ მეწარმეთა ჯგუფი.

სხვათა შორის, ეს იყო კერძო ორგანიზაციათა პირველი უცხოური ჯგუფი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის ინვესტირებით დაინტერესდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფის საქმიანობას საქართველოს პრეზიდენტი ყოველმხრივ უჭერდა მხარს.

ჟინვალის განვითარების ჯგუფმა „ჟინერთან“ ერთად სრულად შეისწავლა ჰიდროკომპლექსის ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც 60 მილიონი დოლარის ინვესტიციასა და კომპლექსის (წყალგამტარი გვირაბის ჩათვლით) მთლიანად რეაბილიტაციასა და რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად. პროექტი მთავრობას წარედგინა. მაშინ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ჟინვალის განვითარების ჯგუფის საქმიანობა ზედმიწევნით ზუსტად შეაფასა, რაც სრულად აისახა 1999 წლის 17 იანვრის განკარგულებაში. ამ განკარგულების თანახმად ჟინვალის განვითარების ჯგუფთან 25-წლიანი საკონცესიო და 25-წლიანი საიჯარო ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო. საქმის გამარტივებისა და დაჩქარების მიზნით ქვეყნის პრეზიდენტის 1999 წლის 15 თებერვლის განკარგულებით, ჟინვალის ჰიდროკომპლექსი „თბილწყალკანალთან“ ერთად დედაქალაქის მერიას დაექვემდებარა. ამავე განკარგულებით, თბილისის მერიას ჟინვალის წყალგამტარი გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაწყებად გადაუდებელი ზომები უნდა მიეღო. საქმის დაჩქარებისა და პრეზიდენტის განკარგულების შესრულების ნაცვლად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ იმ პერიოდში მოამზადა დოკუმენტი ჟინვალჰესის ტენდერზე გაყიდვისა და „ჟინერთან“ საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. ჟინვალის განვითარების ჯგუფს კი, პრეზიდენტის მოწონებული პროექტით, ჰიდროკომპლექსის აღდგენითი სამუშაოების წარმართვაზე უარი უთხრეს იმ მოტივით, თითქოს იგი არ ეთანხმებოდა მსოფლიო ბანკის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

მსოფლიო ბანკი ჯგუფის საქმიანობას ადრეც იცნობდა, მაგრამ ბანკს მანამდე რაიმე განსხვავებული მოსაზრება არ გამოუთქვამს. ჟინვალის განვითარების ჯგუფმა კი საქართველოს მთავრობას მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სერიოზული პრეტენზია წაუყენა: „ვწუხვართ, – ვკითხულობთ წერილში, – რომ არ გვრჩება სხვა გზა, სხვა გამოსავალი და იძულებული ვართ ჩვენი უფლებები ნებისმიერი კანონიერი გზით დავიცვათ, მათ შორის სხვადასხვა საერთაშორისო იურიდიულ ფორუმებზე“.

ამ საკითხის საერთაშორისო დონეზე განხილვა, იმის გარდა, რომ საქართველოს საინვესტიციო ავტორიტეტს

საერთოდ, კი, მართლაც საინტერესოა, რა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს „ჟინერთან“ სადავო? საქმის არსში თუ ჩავიხედავთ, პირიქით, მადლობა უნდა უთხრას და ხელი შეუწყოს, რომ უკეთ მოუაროს ამ მეურნეობას.

„ჟინვალჰესის“ აგრეგატების გარდა, „ჟინერი“ შეძლებისდაგვარად წყალსაცავსაც უვლის, რომელიც ნახევარ მილიონ ლარზე მეტი უჯდება, იგი წელიწადში მხოლოდ დაკვირვებისა და გაზომვების ჩასატარებლად სამეცნიერო ცენტრებს 150-200 ათას ლარს მაინც უხდის. სასმელ წყალსაც უფასოდ აწვდის დედაქალაქს და წყალსატუმბი თუ სხვა აგრეგატებისათვის საჭირო ელექტროენერგიასაც, რასაც ჟინვალჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის 60 პროცენტი ხმარდება. „თბილწყალკანალსა“ და დუშეთის ენერგოკომპანიას მისთვის დღემდე 6 მილიონი ლარი არ გადაუხდიათ.

1994 წლიდან მას შემდეგ, რაც ჰესი აიღო იჯარით, „ჟინერმა“ შეძლო ოთხივე აგრეგატის აღდგენა. თითოეული მათგანის რემონტი 70-80 ათასი დოლარი უჯდება. ათი მეტრით აამაღლა და 120 მილიონი კუბმეტრით გაზარდა წყალსაცავის მოცულობა. დღეს

ყიდული ელექტროენერგიის საფასური გადაეხადათ, დღეს ჟინვალის ჰიდროკომპლექსს არც გვირაბის პრობლემა ექნებოდა და თავად ჰიდროკომპლექსიც უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა.

საინტერესოა, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული უცხოელი ინვესტორი, რომელიც სამართავად აიღებს ჟინვალის ჰიდროკომპლექსს, უფასოდ მიაწვდის წყალსა და ელექტროენერგიას „თბილწყალკანალსა“ და დედაქალაქს, ან უკეთესად შეასრულებს იმ საქმეს, რასაც „ჟინერი“ აკეთებს?

პირველ წერილში, როგორც მაშინ „ჟინერის“ გენერალური დირექტორი აღნიშნავდა, „პრეზიდენტის მრავალგზის მხარდაჭერის მიუხედავად, არ ვართ დარწმუნებული, რომ კომპლექსის რეაბილიტაციის განსახორციელებლად ინვესტორების მოზიდვაში კვლავ ხელს არ შეგვიშლიანო“, სამწუხაროდ, მართლდება. ჟინვალის განვითარების ჯგუფთან, რომელმაც საერთაშორისო სასამართლოს ძალით მოისურვა ამ დავის გადაწყვეტა, კვლავ განახლდა მოლაპარაკება. პარლამენტში ამ საკითხზე საგანგებოდ საკომიტეტო მოსმენაც კი გაიმართა, მაგრამ ისევ დაიწყო ვაჭრობა, კვლავ გამოჩნდა მსოფლიო ბანკი, ისევ წამოიწია ჟინვალის ტენდერზე გატანის საკითხმა. როგორც ჩანს, დაინტერესებული მხარე, რომელსაც ჟინვალის ჰიდროკომპლექსის ბედი საერთოდ არ აწუხებს, პროცესს კვლავ აჭიანურებს.

ეს საკმაოდ მიმზიდველი ეკონომიკური თუ სხვა თვალსაზრისით მეტად რენტაბელური და მომგებიანი ობიექტი, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია, საკმაოდ მსუქან ლუკმად გამოიყურება. როგორ ფიქრობთ, მილიონნახევრიანი ქალაქის წყლით მომარაგება, მის სათბობად, პურით თუ სხვა პროდუქტებით მომარაგებაზე ნაკლებად სარფიანია?!. ვიდრე გაირკვევა, ვის დარჩება ჟინვალის ჰიდროკომპლექსი, რომელი კლანი ჩაიგდებს ხელში, ამასობაში საქმე ფუჭდება, და რეალური საშიშროება იქმნება, რომ დედაქალაქი ამ პაპანაქებაში უწყლოდ დარჩეს. თბილისის მერიამ ბოლოს და ბოლოს სეფესიტყვა უნდა თქვას, თავის ქონების გადასარჩენად საქმეში ჩაერიოს და იგი დედაქალაქის სასიკეთოდ გადაჭრას, თორემ მერე გადაბრუნებული ურმის წამოყენებას დიდი ენერგია და თავები შეეწირება.

შოთა მაჭარაშვილი.

ენერგეტიკა

შემოდგომაზე ყველაფერი გაირკვევა?!

საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროგენერაციის სექტორში მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები მომავალი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის, თუმცა არასრული მასშტაბით, მხოლოდ ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე და თბილსრესის მეცხრე, მეათე ენერგობლოკებში. როგორც შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია - 2000-ის“ გენერალურმა დირექტორმა ბორის კოჟორიძემ განაცხადა, – „ეს-ი-ეს გარდაბანი“ ამ სამუშაოებს აწარმოებს ძირითადად ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ქართული ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტისაგან მიღებული ფულადი თანხებით. მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი აზრით, თუ დროულად არ გადაიხდიან ელექტროენერგიის საფასურს, რომლის უზრუნველყოფაც ევალება საქართველოს ელექტროენერგობაზარს, თბილსრესის მეცხრე და მეათე ენერგობლოკები მაინც გაჩერდება.

– თუ გავითვალისწინებთ, – თქვა ბორის კოჟორიძემ, – რომ საქართველოს ელექტროენერგობაზრის ხელმძღვანელობა, პრაქტიკულად, თავს ვერ ართმევს ქვეყნის ელექტროგანმანაწილებელ კომპანიათაგან ფულად შემოსულობათა მობილიზაციის ვალდებულებებს, შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ წლეულს შემოდგომაზე და 2001 წლის ზამთარში თბილსრესი – საქართველოს ერთადერთი საბაზისო ელექტროსადგური ვერ იმუშავებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ სადგურის მოქმედ მესამე, მეოთხე და მერვე ბლოკებში დღემდე არ დაწყებულა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები, სათბობი კი, რომელიც თბილსრესს სჭირდება, დღემდე არ შემოუტანია.

რაც შეეხება ჟინვალჰესისა და ხრამჰეს–1 და ხრამჰეს –2 წყლის რესურსებს, ბორის კოჟორიძის თქმით, ისინი ახლანდელი მოხმარების გათვალისწინებით ელექტროსადგურებს მხოლოდ ლეკემბრამდე ამუშავებენ, შემდეგ კი წყალსაცავებში მწვავე დეფიციტის გამო გაჩერდებიან.

თენგიზ ჩხიკვაძე.

ეკოპოლიცია

შევუნარჩუნოთ შთამომავლობას ღვთით ნაბოძები ბუნება

ეკოლოგიური პრობლემები დღეს ყველა ქვეყანას აწუხებს, მით უფრო ჩვენ, რომლებიც ახალი ცხოვრების შენებას აგერ ახლახანს შევუდექით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, უამრავი სატკივარი და თავსატეხი აქვს თბილისის ეკოლოგიის პოლიციას, რომელსაც, როგორც ამ სამსახურის უფროსმა გოგი კეთილაძემ გვითხრა, ევალება დედაქალაქის ტერიტორიაზე ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში დანაშაულის, სხვა სამართალდარღვევების პროფილაქტიკა, გამოვლენა და აღკვეთა, მწვანე ნარგავების უკანონო ჭრისა და დაზიანების, გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების, შხამქიმიკატებით საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე უკანონო ნადირობისა და თევზჭერის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებისა და გავრცელების აღკვეთა და სხვა.

— ბატონო გოგი, ეკოლოგიის პოლიციის ფუნქციები და უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით, მართლაც ბევრ სფეროს მოიცავს. რა კეთდება პრაქტიკულად ამ უფლება-მოვალეობათა შესასრულებლად?

— ეწყობა სისტემატიური შემოვლები დედაქალაქის სკვერებსა და პარკებში, მდინარეებსა და წყალსატევებზე, სადაც უამრავი კანონსაწინააღმდეგო დარღვევებია, მარტო წლეულს შეიდ თვეში მწვანე ნარგავების უკანონო ჭრისა და დაზიანების ფაქტზე მხილებულია 116 სამართალდამრღვევი, რომელთაც სახელმწიფოს 12289,5 ლარი ზარალი მიაყენეს. ბევრი დაჯარიმდა, ბევრზეც მოკვლეული მასალები რეაგირებისათვის სასამართლოებს გადაეგზავნა.

ასევე ვებრძვით ბრაკონიერებს. თევზჭერის წესების დარღვევაში მხილებულია 121 პიროვნება, აქედან 4 ბრაკონიერის მიმართ, რომლებიც თევზს იჭერდნენ დენის აპარატით და გამოუსწორებელ ზიანს აყენებდნენ წყლის ბინადართ, აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

— დედაქალაქი ლამის წალეკოს სტიქიურად მოდებულმა გარევაჭრობამ, რომლის დროსაც დარღვეულია ყოველგვარი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ამასთან, მასობრივად იყიდება ვადაგასული, არასერტიფიცირებული პროდუქცია. ასეთ შემთხვევაში რა ზომებს იღებს ეკოლოგიის პოლიცია?

— ბაზარს თითქოს არ ეტყობა, რომ ზომებს ვინმე იღებს, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ფაქტი სახეზეა — რეალიზაციიდან ამოღებული და განადგურებულია კუსტარულად შებოლილი და დამარილებული 6912 ცალი თევზის პროდუქტი, საკვებად უვარგისი 600 კილოგრამი საქონლის ხორცი, 49 ყუთი ვადაგასული შოკოლადის ნაწარმი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მრავალი სხვა პროდუქტი.

აღნიშნული ღონისძიებების ეფექტიანობა გაიზრდებოდა, ხელთ რომ არ გვქონდეს სუსტი საკანონმდებლო ბაზა, რაც გამოიხატება დაბალ საჯარიმო სანქციებში, რომელიც მოსახლეობაში ქმნის დაუსჯელობის სინდრომს.

— ბატონო გოგი, სამომხმარებლო ბაზარი სავსეა ფალსიფიცირებული პროდუქციით. ნუთუ ამას ვერავინ ხედავს?

— ვხედავთ და ვებრძვით კიდეც. ამ მხრივ ჩვენი საქმიანობა რომ უფრო ეფექტიანი იყოს, მჭიდრო კონტაქტი გვაქვს დამყარებული ისეთ მომიჯნავე ორგანიზაციებთან, როგორიცაა თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის, კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურები და სხვა. სწორედ მათთან ერთობლივად შემუშავებული გეგმის წყალობით შევძელით ფალსიფიცირებული, არასტანდარტული, არასერტიფიცირებული, ვადაგასული პროდუქციის რეალიზაციის ფაქტზე გვემხილებინა 77 სამართალდამრღვევი, რომელთაგან 15 პირის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მასალები გადაგზავნილია თბილისის პროკურატურაში. ეს უკანასკნელნი ის ხელმძღვანელი პირები არიან, რომელნიც თავიანთ კუთვნილ საამქროებში აწარმოებდნენ ფალსიფიცირებულ, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმას და რეალიზაციას.

— არის თუ არა შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ორგანიზაციას ამის გამო მუშაობა ეკრძალება?

— ჩვენი სამსახური ატარებს პასპორტიზაციას იმ საწარმოებისას, რომელთაც თავიანთი ქმედებით შეუძლიათ ზიანი მიაყენონ დედაქალაქის ეკოლოგიას და მათ მიმართ ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს. საქმიანობა შეუჩერდა, მაგალითად, ჰიგიენური სერტიფიკატისა და გარემოს დაცვითი ნებართვის გარეშე მომუშავე 109 კვებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტს, რომელთა ხელმძღვანელების მიმართ განხორციელდა ადმინისტრაციული სანქციები. მოკვლეული მასალები გადაეგზავნა შესაბამისი რაიონების სასამართლოებს.

ამასთან, დედაქალაქის რიგ რაიონებში აღიკვეთა მოსახლეობის კუთვნილ ბაღ-ბოსტნების ფეკალური წყლით მორწყვის ფაქტები. ეს მეტად მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული „მეთოდით“ მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტი შეიძლება სარეალიზაციო ქსელში მოხვდეს და მოსახლეობის მასობრივი მოწამვლა გამოიწვიოს. ხორციელდება, აგრეთვე, დედაქალაქის ღია ტიპის ნაგავსაყრელებზე ცოცხალი პირუტყვის გამოკვების ამკრძალავი ღონისძიებები.

ალმკვეთი ღონისძიებების პარალელურად, დედაქალაქის გამწვანების მიზნით ჩვენმა სამსახურმა დარგო ასობით ძირი ნარგავი, შემოაკავა ახალდაქორწინებულთა პარკის ტერიტორია, რათა მწვანე ნარგავები დაზიანებისგან დაიცვას.

განხორციელებულმა პროფილაქტიკურმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკოლოგიურ დანაშაულობათა თავიდან აცილებას. ამასთან, მოსახლეობაში ეკოდანაშაულთა არსის განმარტების მიზნით, მჭიდრო კონტაქტი გვაქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რომელთა ხელშეწყობით მოსახლეობას პერიოდულად მიეწოდება ინფორმაციები დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას, ზრდის მათ პასუხისმგებლობას, რათა უფრო აქტიურად დაიცვან ჩვენი ქალაქი, შეუნარჩუნონ შთამომავლობას ნაბოძები ბუნება.

ესაუბრა
ზურაბ ვადაჭკორია.

სიტუაცია

ფული მომუშავე კი არა, გაჩერებული სალარო-აპარატებიდან კეთდება

გესიამოვნება, როცა ჩაიხედავ სტატისტიკის „დღიურებში“ და დაინახავ, რომ იგი სულ უფრო ღრმად იხედება საბაზრო ეკონომიკის ნიუანსებში. ერთმა ასეთმა ნიუანსმა (ვაჭრობაში ფარული ეკონომიკის წილი არსებული შეფასებებით 70 პროცენტს აღწევს, მრეწველობაში — 40 პროცენტს. მეწარმეთა მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს (45,8 პროცენტი) უწევს არაოფიციალური გადასახადების გადახდა. სავაჭრო საწარმოებში ასეთთა წილი 65 პროცენტს აღწევს) მაგალითად, მე როგორც ჟურნალისტი, ჩამაფიქრა და ამ წერილის დაწერისაკენ მიბიძგა.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ აქ დასახელებულ ციფრებზე რაიმეს ვიტყოდე, მინდა გავიხსენო ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევის პრობლემას მიძღვნილი ამასწინანდელი თათბირი სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც კიდევ ერთხელ წამოტივტივდა იმ სავაჭრო და მომსახურების ობიექტების საკითხი, რომლებიც სალარო-აპარატებს არ ამუშავებენ და ამ გზით ბიუჯეტს სოლიდურ თანხებს უმალავენ.

შექმნილ სიტუაციას პრეზიდენტმა მწვავე შეფასება მისცა. კერძოდ, თქვა, რომ კანცელარიაში ყოველთვის არ კონტროლდება, როგორ სრულდება გადასახადებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებით მიღებული ბრძანებულებანი და გადაწყვეტილებანი. თუ კონტროლდება, აღნიშნა მან, მაშ კვლავ რატომ წამოიჭრა სალარო-აპარატების საკითხი? კარგად მახსოვს, ჩვენ ამ რამდენიმე წლის წინათ დავიწყეთ მუშაობა ამ საკითხზე, მაგრამ შემდეგ ყველას დაგვავიწყდა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, უკონტროლობა, ამასთან, უნდა შევისწავლოთ რამდენიმე ქალაქში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა და მთავრობის სხდომაზე განვიხილოთო.

ეჭვი არ მეპარება, რადგან პრეზიდენტმა თქვა, საგადასახადო სამსახურის „მამები“ დაფაცურდებიან, სალარო-აპარატებს ერთხელ კიდევ „შეუტევენ“ (ამჯერად უკვე მერამდენედ, ვერ გეტყვით), საკითხსაც მოამზადებენ და განიხილავენ კიდეც, მაგრამ გაუგებარია თვით მათი პოზიცია — დღემდე რას ელოდებოდნენ? თუ ის შეძლეს, რომ ყველა სავაჭრო და მომსახურების ობიექტს სალარო-აპარატები შეაძენინეს და დაადგმევინეს, რატომ მათი მუშაობა ველარ უზრუნველყვეს? ისეთი რა მღრღნელები შეესივნენ მაღაზია-რესტორნებს და კაფე-ბარებს, რომ სალარო-აპარატები ერთიანად გადაჭამეს?

გადახედეთ ზემოთ დასახელებულ ციფრებს და ერთი შეხედვით გაუგებარი პოზიცია სრულიად ნათელი და გასაგები გახდება. ამ მონაცემების მიხედვით, ვაჭრობაში ფარული ეკონომიკის წილი სხვა სფეროებთან შედარებით ყველაზე მაღალია (70 პროცენტი), ამასთან, მისი მუშაკები არაოფიციალურად ყველაზე მეტ გადასახადს იხდიან. ამის შემხედვარე, მოდი და ნუ იფიქრებ, რომ ამ სფეროში მართლაც მღრღნელების მთელი ლაშქარი დაბუდებულა.

მღრღნელებს თავი დავანებოთ და იმ ადამიანებზე ვილაპარაკოთ, ვინც ამ უბანზე პასუხისმგებელნი არიან. ჩემთვის, მაგალითად, გაუგებარია რას აკეთებენ რაიონულ საგადასახადო ინსპექციებში მომუშავე ის ინსპექტორები, რომლებსაც უშუალოდ ამ პრობლემის მოგვარება ევალებათ? თუ „გაყინული“ სალარო-აპარატების მიხედვით ვიმსჯელებთ — არაფერი. რადგან არაფერს აკეთებენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ გაჩერებული სალაროები უფრო აძლევთ ხელს, ვიდრე მომუშავენი. „ალიბი“, გასაგებია — ჯიბის ფული მომუშავე კი არა, გაჩერებული სალარო-აპარატებისგან კეთდება!

სცენარი, თუ როგორ კეთდება ფული, ცნობილია: სალარო-აპარატები, როგორც წესი, უნდა მუშაობდეს. თუ არ მუშაობს, ინსპექტორს შეუძლია ობიექტი 300 ლარით დააჯარიმოს ბიუჯეტის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, ინსპექტორი, რომელსაც მიზერული ხელფასი აქვს, უფრო თავის სასარგებლოდ ირჯება — აიღებს საჯარიმო თანხის მესამედს, თვითონაც მოგებული დარჩება და ობიექტის ხელმძღვანელიც. არსებობს მეორე ვარიანტიც — ყოველთვიური ბეგარა. როგორც ამბობენ, ეს უფრო პრაქტიკულია. ინსპექტორი უჭკუო ხომ არ არის, ყოველდღე იწანწალოს, დაჯდება და თვის ბოლოს გარანტირებულ შემოსავალს დაელოდება (რა თქმა უნდა, ეს თანხა მარტო მისი არ არის).

— ბიუჯეტი?

ის თავის წილს მიიღებს, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც ეკუთვნის, არამედ იმდენს, რამდენსაც გადაუგდებენ.

სალარო-აპარატები რომ მუშაობდნენ და შემოსავლებს ზუსტად აღრიცხავდნენ?

მაშინ ბიუჯეტი თავის წილს სრულად მიიღებდა, მაგრამ ახლა მღრღნელები დარჩებოდნენ მშიერები.

ჰოდა, „წონასწორობა“ რომ არ დაარღვიონ, გარიგებით მუშაობენ — ამდენი — მე, ამდენი — შენ, ამდენი — ბიუჯეტს.

ამიტომაც, თავად ესენი ვითომ იცავენ წონასწორობას, მაგრამ გაუწონასწორებელი (დეფიციტური) რჩება თავად ბიუჯეტი, რომლის შესრულების სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და ცნობიერება ქვეყანაში ერთობ დაქვეითებულია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა გავესაუბრე სავაჭრო ობიექტების მუშაკებს, რომლებიც (ამუშავებენ სალარო-აპარატებს თუ არ ამუშავებენ) ამ საკითხში ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან.

დედაქალაქის ცენტრალურ უბანში (ვერა) მდებარე სუპერმარკეტ „ბაბილონში“, მაგალითად, სადაც გახსნიდან დღემდე „უწყვეტი სტაჟით“ მუშაობენ სალარო-აპარატები (რაც გამონაკლისია), როცა ვკითხე, რატომ ესენიც უმაღლესობას არ ბაძავენ და სალაროებს არ აჩერებენ, ასეთი პასუხი გამცეს:

— ჩვენ გვირჩევნია ზუსტი აღრიცხვა გვქონდეს, ვიცოდეთ, რა შემოსავალი და გასავალი გვაქვს, სხვაგვარად შეიძლება უამრავ გაუგებრობას წავაწყდეთ.

— მაინც რას?

— შეიძლება, მაგალითად, მოლარემ მოგვატყუოს და დავზარალდეთ. სალარო-აპარატების მეშვეობით ყველაფერს შესანიშნავად ვაკონტროლებთ. გარდა ამისა, ჩვენს მაღაზიაში ხშირად უცხოელებიც ვაჭრობენ, რომლებიც ქვითარს გვთხოვენ. აპარატები რომ არ მუშაობდეს, ქვითარს როგორ მივცემთ?

მოველოდი მეტყოდნენ, რომ სალარო-აპარატებს უპირველესად ქვეყნისა და ბიუჯეტის ინტერესების დაცვის მიზნით ამუშავებენ, მაგრამ არა — მსგავსი არაფერი უთქვამთ. მათ პირველ პლანზე საკუთარი ინტერესები დააყენეს. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ არის ცუდი. როცა ობიექტზე აღრიცხვა მოწესრიგებულია, იქ მუშაკთა ინტერესებიც დაცულია და სახელმწიფოსიც.

აი იქ კი, სადაც აღურიცხაობა ბატონობს (ასეთი ობიექტები კი უთვალავია), სახელმწიფოც ზარალდება და მეწარმეც. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში, სადაც თავიანთი შემოსავლების დიდ ნაწილს, როგორც უკვე ვთქვით, მოხელეების მოსაქრთამად იყენებენ.

ეს ყველაფერი პირუთვნელად იწერება და ქვეყნდება პრესაში, რომელსაც არა მგონია, არ კითხულობდნენ თავად მოქრთამული მოხელეები, მაგრამ პირმოკუმულნი რომ არიან, ეს რით უნდა ავხსნათ? ამას ამოხსნის, ალბათ, დაწყებული რეფორმა და მუშაკთა ატესტაცია, რაზეც საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო დიდ იმედებს ამყარებს. თუმცა, არა მგონია, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ტესტებით გამოცდამ „რევოლუციური როლი“ შეასრულოს, რამდენადაც სალარო-აპარატების ამუშავებას მოხელეთა ზნეობრივი ატესტაცია უფრო ეგების, ვიდრე პროფესიონალური. ასეთი ატესტაცია კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ასე რომ, მარტო ატესტაციის იმედად ვერ ვიქნებით. ალბათ, უფრო უპრიანია, შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სისტემურად გარდაქმნის ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას. არ შეიძლება წარმატებას ველოდეთ იმ ქვეყანაში, სადაც მეწარმეთა დაახლოებით ორი მესამედისთვის გადასახდების (ოფიციალური და არაოფიციალური) საერთო დონე შემოსავლების მესამედზე, ხოლო ნახევარზე მეტისთვის 40 პროცენტზე მეტია. ასეთ პირობებში მეწარმე ყოველთვის შეეცდება დამალოს რეალური შემოსავლები, გაერიგდეს მოხელეს, რათა მისივე წყალობით და არა სახელმწიფოს რეალური მხარდაჭერით, როგორმე თავი გაიტანოს.

მოკლედ, მეწარმემ უნდა იმუშაოს და იცხოვროს. თუ მას საგადასახადო პოლიტიკა ამის პირობებს შეუქმნის, აღარ შეეცდება ათასგვარ ხრიკებს მიმართოს, შეიძლება საკუთარი გარჯით თავეც ირჩინოს და სახელმწიფოს წილსაც გვერდი არ აუაროს.

ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2000 წელი.

ვუბარუნდებით დაბეჭდილს

დატუსული ბავშვივით კუთხეში როდემდე უნდა ვიდგე?

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲐᲓᲘ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲐᲓᲘ

პრეზიდენტმა სასტუმრო კაკახეთში მერგებარეთა რიგ შეკრიბა, ამის შესახებ გამეორდა „საქართველოს რესპუბლიკა“. ჯერ კიდევ 1999 წლის 7 აპრილს („ბერის ქარხნები არ გაწერებულან“) და 13 აგვისტოს („რა ვშველის პურის ბიზნესს“), ამერეთე, 2000 წლის 16 თებერვალს („ბოლშევიკების ამყოფი ჩაგვეხახა“) ნომრებში წერდა. პუბლიკაციებში გამოთქმული იყო დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და ზოგიერთი რეკომენდაციაც. ამ დღეს, რომ შეიძლება მარადიული ეწოდოთ, ერთ ქარხანაც ვერ იმუშავებდა ორ ა. შ.

ამ საკითხზე წერილები კვლავაც დაიბეჭდა. მაგრამ ჩვენი პუბლიკაციები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... ნუთუ დღად პაატეციშვილი აღმასრულებელი და საკანონმდებლო წარმომადგენლები „საქართველოს რესპუბლიკას“ არ ეთანხლებიან? თუ ეს ასე არ არის, აქნებ ახსნან მაინც, რა ხდება, რაკიც ასეა, რომ ამ ორ ხელობას ერთად ვერ ითავსებენ ერთი ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინზბურგი „სობესედნიკის" წინააღმდეგ

ნებისმიერი კაცი გაოგნდება, მკითხველისადმი მიძღვნილ საგაზეთო წერილში ჩამონტაჟებული საკუთარი სურათი რომ აღმოაჩინოს. სწორედ ასე მოუვიდა რუსეთის ტელევიზიის აკადემიის აკადემიკოსს, განთქმულ მუსიკალურ ტელერეჟისორს ევგენი გინზბურგს, რომელსაც ახლა განზრახული აქვს, სასამართლოში დაიცვას თავისი ოჯახის სახელი და ღირსება.

საქმე ის არის, რომ ყოველკვირეულმა „სობესედნიკმა" გამოაცხო სტატია თემაზე: ცოლშეილიანი მამაკაცების ურთიერთობა პუტანებთან, ხოლო პირველი უძველესი პროფესიის წარმომადგენლებისადმი მამაკაცთა

პრეტენზიების ილუსტრაციად შეარჩია ცნობილი რეჟისორისა და მისი მეუღლის ტელეჟურნალისტ ნარა შირალიევას ფოტოსურათი.

– თავის დროზე ჩვენ დაუცველნი ვიყავით საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ახლა უმწეონი ვართ ჟურნალისტთა უტიფრობისა და არაპროფესიონალიზმის წინაშე, – თქვა რეჟისორმა.

ადვოკატმა ბარშჩევსკიმ განაცხადა, რომ ეს არის ქრესტომათიული მაგალითი იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოდან და ტიპიური უცილობელი შემთხვევა, როდესაც თამამად შეგიძლია, შეიტანო სასამართლოში სახელისა და ღირსების დაცვის უცილობელი სარჩელი.

ადვოკატის თქმით, თუ ყოველკვირეული თავისი ნებით არ მოიხდის ბოდიშს და არ გადაიხდის კომპენსაციას მორალური ზიანისათვის, მაშინ იგი სთხოვს სასამართლოს, აანაზღაურებინოს „სობესედნიკს" მატერიალური ზარალი ისეთი ოდენობით, რომ გაზეთი გაკოტრდეს.

აცრა — დედის მუცელში

სასკაჩევანის უნივერსიტეტის კანადელმა მკვლევარებმა შეიმუშავეს ჯერ არდაბადებული ბავშვის ვაქცინირების ორიგინალური მეთოდიკა. მეცნიერთა აზრით, რომელთა კვლევის ანგარიში გამოქვეყნდა **Nature Medicine**-ს აგვისტოს ნომერში, ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ იმ ინფექციების განვითარება, რომლებიც ბავშვს შეიძლება, დედისაგან დაბადებისთანავე შეეყაროს.

ექსპერიმენტის დროს მკვლევარები უცრიდნენ ნაყოფის განვითარების სტადიაში მყოფ ბატკანს. ისინი უწვრილესი ნემსით ხვრეტდნენ ნაყოფის ირგვლივ პერანგს და შეჰყავდათ ჰერპესის ვირუსის **დნმ** მომავალი ბატკნის ბაგის ქსოვილში. ამის შემდეგ **დნმ** აღმოაჩინეს იმუნური სისტემის უჯრედებმა და მას გაუჩნდა იმუნური პასუხი. ყველა ახალშობილი ბატკანი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო და ნორმალური წონა ჰქონდა.

მკვლევართა აზრით, ასეთი ვაქცინაცია დაიცავს ბავშვებს საშიში ინფექციებისაგან, რომლებიც მათ შეიძლება შეეყაროს მშობიარობის პროცესში ან მას შემდეგ. მაგალითად, ძუძუს ჭამის დროს. მათ რიცხვს განეკუთვნება შიდსი, ჰერპესი, ბ – ჰეპატიტი, სტრეპტოკოკი და ქლამიდია. ეს ინფექციები დიდ საშიშროებას წარმოადგენენ: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებებით, ამ დაავადებებისაგან მსოფლიოში ყოველწლიურად იღუპება ერთ წლამდე ასაკის 8 მილიონი ბავშვი.

რა თქმა უნდა, ამგვარ პროცედურასთან სდევს მომეტებული საშიშროებაც. დღესდღეობით საკმაოდ გავრცელებული ანალიზის – ამნიოცენტეზის დროს, როდესაც ასევე ხდება ნაყოფისირგვლივი პერანგის გახვრეტა, შეიმჩნევა გართულებების ერთი პროცენტი, მათ შორის, ხელოვნური აბორტი, ასე რომ, ვაქცინაციის დადებითს ასპექტებს სავსებით შეიძლება გადასწონოს რისკმა.

Microsciense კომპანიის საკვლევი განყოფილების ხელმძღვანელის რობ ჰელდმანის აზრით, რომელიც ახლა სტრეპტოკოკის საწინააღმდეგო ვაქცინას ამუშავებს, მეტ წილ შემთხვევებში საკმარისია ბავშვის დედის აცრა. ამ დროს მის ორგანიზმში საჭირო რაოდენობის ანტისხეულები ხვდება. ახალ ვაქცინას წელსვე გამოცდიან.

ინტელიგენტებზე სტანდარტს აწესებენ

ამ რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ დაამტკიცეს სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკის მოდერნიზაციის დარგში მოქმედების 2000-2001 წლის სამოქმედო გეგმა.

თავდაპირველად, დაგეგმილია გამოცხადდეს კონკურსი სახელმწიფო და კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის სპეციალისტთა მომზადების სახელმწიფო შეკვეთის მისაღებად. ბოლო დრომდე ამას უძლვებოდნენ მხოლოდ უდიდესი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. გარდა ამისა, ახლა ხელისუფალთ სურთ, გადავიდნენ უმაღლესი სკოლის დაფინანსების საკონტაქტო სისტემაზე. მთავრობას განზრახული აქვს, აგრეთვე, გააერთიანოს პროფესიული სასწავლებლები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, და ამრიგად შექმნას მსხვილი საუნივერსიტეტო კომპლექსები, რაც ხელს შეუწყობს განათლებაზე საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიან ხარჯვას.

სახელმწიფო სტიპენდია ახლა გაიცემა „ადრესულად" – ანუ მიეცემა მხოლოდ გაჭირვებულ სტუდენტებს, იმავდროულად, გადაწყვეტილია შემოღებულ იქნეს ერთიანი სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდა უკლებლივ ყველა უმაღლეს სასწავლებელში – ანუ თავისებური ცოდნის სტანდარტი. მართალია, ჯერჯერობით ექსპერიმენტულად, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე ამ სიახლეს კანონით დაამკვიდრებენ.

საფრანგეთმა აღიარა, რომ რუსეთმა გადაურიცხა 50 მილიონი დოლარი ეგრეთ წოდებული „სამეფო" ფასიანი ქაღალდების ვალის დაფარვის ანგარიშში. ამრიგად, ვალის თანხა, რომელიც 1996 წელს შეათანხმეს რუსეთის პრემიერმა ვიქტორ ჩერნომირდინმა და მისმა ფრანგმა კოლეგამ ლიონელ ჟოსპენმა, მთლიანად დაიფარა.

„სამეფო" ვალის საკითხი არაერთგზის აღუძრავთ საფრანგეთში საზოგადოებებს, რომლებიც „რუსული" ქაღალდების მფლობელებსა და მათს მთამომავლებს აერთიანებენ. ცდილობდა რა შეეპირებინა ქვეყნის შემდგომი დაკრედიტება ეკონომიკის კრიზისამდელი აღმავლობის მომენტში, რუსეთის მთავრობა დათანხმდა, რომ დაუბრუნდებოდა ამ თითქმის საუკუნოვანი ხანდაზმულობის თემას.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკურმა მთავრობამ უარი თქვა, გაესტუმრებინა ვალი მეფისა და დროებითი მთავრობის ობლიგაციების, ისევე, როგორც რუსეთის კომპანიების აქციების მფლობელებისათვის.

ვალის პირველი ნაწილის გასტუმრებას ინგლისელებისათვის, პოლიტიკური მოსაზრებებით, და „ნიკოლოზ მეორის პირადი ოქროს" სანაცვლოდ დათანხმდა მიხეილ გორბაჩოვი. სესხის დავალიანების გასტუმრება ხდებოდა ნომინალის ერთი მეასედის ანგარიშით.

ძველი ობლიგაციებისა და აქციების მფლობელნი საფრანგეთში მეტნი იყვნენ, ვიდრე ბრიტანეთში, და მათ ინტერესებს წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ოციან წლებში შექმნილი საზოგადოებანი. მათი აზრი არ ემთხვევა მთავრობისას ვალის შეფასებაში. რუსეთის მიერ შეთავაზებული 400 მილიონი დოლარი, ფინანსისტთა შეფასებით, საერთო თანხის სულ ორი პროცენტია ინფლაციის გათვალისწინებით, მაგრამ ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია. ახლა კი ვალიც გასტუმრებულია.

იმ ქვეყნებიდან, სადაც „სამეფო" ქაღალდების მფლობელები გაერთიანებით არიან წარმოდგენილნი, რჩება ბელგია. ჯერჯერობით იქ მხოლოდ ახლა იქმ-

ნება ყველა იმათგანის რეესტრი, ვისაც შეუძლია, განაცხადოს კომპენსაციის პრეტენზია. ეს სამუშაო 4 სექტემბერს დასრულდება და სია მოსკოვს გადაეცემა.

სინჰუა იუწყება

ჩინეთის განათლების სამინისტროს სანქციით პეკინში ოფიციალურად გაიხსნა ჩინური მედიცინის ახალი უნივერსიტეტი. იგი დაარსდა პეკინის ჩინური მედიცინის ინსტიტუტისა და ნემსის ჩხვლეტის და მოწვის ინსტიტუტის შექმნის შედეგად.

* * *

როგორც ჩინეთის დაგეგმვისა და განვითარების საქმეთა კომიტეტი იუწყება, წლეულს ჩინეთის მთავრობამ ქვეყნის ცენტრალური და დასავლეთი რაიონების გეგმიანი შობადობის უწყებებს გამოუყო 200 მილიონამდე იუანი მოძრავი ავტოტექნიკით აღჭურვის მიზნით, რათა ადგილობრივ მცხოვრებთ უკეთესი მომსახურეობა გაუწიონ ბავშვების გეგმიანი გაჩენის დარგში.

* * *

მარშან ჩინეთის ლუდის მრეწველობის პროდუქციამ 21 მილიონი ტონა შეადგინა. შერჩევითი შემოწმების შედეგები ცხადყოფენ, რომ პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად განუხრელად უმჯობესდება ლუდის ხარისხი.

გერმანელმა ძალოვანებმა ომი გამოაცხადეს

ახალი ათასწლეულის მოლოდინში ხალხს სულ უფრო ერევა ჭკუა, განსაკუთრებით, ნაირნაირ ექსტრემისტებს. ეს შეიმჩნევა გერმანიაშიც, სადაც მემარჯვენე რადიკალები მკვლელობებზე გადავიდნენ. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ პაულ შპიგელმა განაცხადა: მემარჯვენე ექსტრემისტებმა შეიძლება ითქვას, აიწყვიტეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: „ყოველდღიურად გვესმის, რომ თავს ესხმიან უცხოელებს, ყოველკვირეულად – რომ ბილწავენ ებრაელთა სასაფლაოებს".

უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მოთმინება აუვსო ყველაზე მაღალი რანგის გერმანელ ხელისუფალთ, გახდა აფეთქება დიუსელდორფის ვაგზალში. აფეთქების შედეგად დაშავდა ათი კაცი, რომელთაგან 6 ებრაელი იყო. არ დაინდეს არც ორსული ქალი, რომელსაც მუცელი მოემალა.

ერთი სიტყვით, ექსტრემისტებმა ყველა აიმხედრეს. სწორედ ამიტომ, იუსტიციის მინისტრი ჰერტა დოიბლერ-გმელინი გამოვიდა ტელემიმართვით და განაცხადა: „ყოველმა გერმანელმა უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა და გაილაშქროს ექსტრემისტების წინააღმდეგ".

რა თქმა უნდა, თითოეული გერმანელის გალაშქრება ექსტრემიზმის წინააღმდეგ მაცდუნებელი საქმეა. ქვეყანაში იზრდება იმ კავშირებისა და გაერთიანებების რიცხვი, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ებრძვიან მემარჯვენე იდეებს. ძირითადად ისინი მისდევენ აგიტაციას და პედაგოგიკას. მაისში შეიქმნა კიდევ ერთი – „დემოკრატიისა და ტოლერანტობის მომხრეთა კავშირი – ექსტრემიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ". ეს რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ დემოკრატიული მოწოდებებით ვერაფერს შეაგონებ უტვინო კრეტინებს, აქ ძალისმიერი მეთოდებია საჭირო, წერს **„ვესტი.რუ"**, და განაგრძობს:

სწორედ ამიტომ გაიმართა მინისტრთა კაბინეტისა და ფედერალური მხარეების ძალოვან უწყებათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა. გადაწყდა, კანონიერი მეთოდების საფუძველზე შავი დღე აყარონ ექსტრემისტებს. ამისათვის მსოფლიო ქსელში გამოირთვება ყველა გერმანული საიტი, რომლებიც ნაციზმისა და მემარჯვენე რადიკალიზმისაკენ მოუწოდებენ. შეიქმნება მონაცემების ბანკი, რომელშიც შეიტანენ პირებს, ვისაც ჩადენილი აქვს დანაშაულობანი ეროვნულ ნიადაგზე. გაძლიერდება, აგრეთვე ებრაულ დაწესებულებათა დაცვა.

ძალოვანებს განზრახული აქვთ მეტი სიმკაცრე გამოიჩინონ იმ ლეგალური თუ არალეგალური ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ ემიგრანტებს. ხოლო ბავარიის მხარის შინაგან საქმეთა მინისტრმა იუტერ ბექშტაინმა მოუწოდა, აიკრძალოს ულტრამემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. როგორც იგი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, „პოლიტიკური თავისუფლება სულაც არ ნიშნავს, რომ შეიძლება შეურიგდე ნეონაცისტურ აზროვნებასა და ძალადობას".

მაგრამ ნუთუ ისე საშიშია ნაცისტური ემმაკი, როგორც მას გერმანული მასმედია წარმოსახავს? როგორც სტატისტიკის მონაცემებიდან ჩანს, ნამდვილად საშიშია. მემარჯვენე ექსტრემისტული და ნეონაცისტური პარტიებისა და ორგანიზაციების წევრთა რიცხვი შეადგენს თითქმის 52 ათას კაცს. მათ შორის არის 9 ათასი „მოიერიშე", რომლებიც ნებისმიერ მომენტში მზად არიან, ნებისმიერ კაცს თავში ჩასცხონ რკინის მილის ნაჭერი, ან დანა გაუყარონ მუცელში. მათი საქმიანობის შედეგად გასულ წელს აღიძრა 10 ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. აქედან – თითქმის ათასი უცხოელებზე, ემიგრანტებზე, ებრაელებზე ძალადობის ფაქტის გამო, რაც 5 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშანწინ.

რაც შეეხება ამ მოვლენის დინამიკას, როგორც კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების მოხსენებიდან ჩანს, მემარჯვენე ექსტრემისტებს სულ უფრო ხშირად ართმევენ იარაღს. და ისინი სულ უფრო აგრესიული ხდებიან. ახლა მათთვის აღარ არის საკმარისი მარშით სიარული და „ჰაი ჰიტლერ!"-ის ღრიალი, ებრაელებისა და საერთოდ, უცხოტომელების ლანძღვა. ახლა ისინი ცეცხლს უკიდებენ სინაგოგებს, ბილწავენ სასაფლაოებს, ჯაჭვებით სცემენ ადამიანებს, ხოლო დრო და დრო ისვრიან კიდეც.

რაც შეეხება გეოგრაფიას, მემარჯვენე რადიკალები ძირითადად თავმოყრილი არიან აღმოსავლეთ გერმანიაში, სადაც გურ მოსახლეობის მხოლოდ მეხუთედი ცხოვრობს. სხვათა შორის, აქ ემიგრანტები ცოტანი არიან, მაგრამ – რადიკალებმა მთლად აიწყვიტეს. გასაგებია, რომ უპირატესად მათს უმრავლესობას შეადგენენ წვევამდელი ასაკის ჭაბუკები. ნაცისტებსა და ნაირნაირ თავგადაპარსულებს ხშირად აკავებენ. როგორც წესი, მაშინ, როდესაც ისინი მარშით მიდიან ქუჩაში,

ანდა თავს იყრიან თავიანთი საყვარელი ჯგუფების კონცერტებზე, რომელთა სიმღერების ტექსტი საკმაოდ ერთფეროვანია: მოკალი ებრაელი, მოკალი არაბი და ა. შ. განსაკუთრებით დიდი ნადავლი ჰქონდა წელს პოლიციას აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ აპოლდაში, სადაც შეიპყრეს ორასზე მეტი თავგადაპარსული და ჩამოართვეს იარაღი (ძირითადად ცივი), სიმბოლიკა, პროპაგანდისტული ლიტერატურა.

მაგრამ დაჭერის შემდეგ მათ სულ მალე უშვებენ და თავიანთ გარემოში ექსტრემისტები იღგამენ „წამებულის" გვირგვინს: პოლიციური ძალადობის მსხვერპლნი ვართო! ამიტომ მთელმა რიგმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გამოთქვეს იდეა, გაამკაცრონ ანტინაცისტური კანონმდებლობა. მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, და როგორც ბროდსკი წერდა: რას იზამ, ახალგაზრდობას ვერც დააჩრჩობ და ვერც მოკლავ. მაგრამ გარკვეულ ფარგლებში უნდა იყოს ჩასმული ნებისმიერი სოციალური მოვლენა, თუმცა ეს არ არის იოლი საქმე, წერს დასასრულ ინტერნეტგაზეთის გუშინდელი ნომერი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.

ᲐᲡᲐᲣᲮᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲜᲢᲔᲑᲡ

„ᲠᲘᲩᲛᲝᲜᲓ ᲕᲐᲚᲔᲖ ᲐᲠ ᲐᲔᲪᲒᲔᲡ მაშინ, თუ ადა გამოწერეს ხედრებელ დღით, ზუსტად ისევე გაკეცილა და ცრუგაკა, თუ ისინი სამართალთან მოსიჯრებას ან გადასული“. არკერ შოკენსაუერის უს სიტყვები გამახსენდა, წლეულს, 18 მარტს, გამეი „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№73) გამოქვეყნებული პროფესორ კობა ბენდიანიშვილის ნაკვალევი ანალიზის წერილში „საკანონმდებლო ორგანოსა და ადმინისტრაციის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ“. როგორც ფაქტიან, მან „მიწასთან გაასწორა“ ჩემი ნაწილი „საქართველოს უმაღლესი ეკონომიკა“ (VIII კლასის დამხმარე სახელმძღვანელო), რომელიც 1999 წელს ოცრიგიანად გამოსცა „ლეგატმა“.

სამართალ ეთხრათ, პასუხის გაცემა არ მიმეღია იმ ადამიანისგან, რომელიც „ხელად ბრმად“ აღნიშნავდა და 224-ეკონომიკურ დღეს ფრიმაგან. ეკონომიკური ანგარიშგებულ წიგნში ერთი ცოცხლ დღესთანე ეერაფერ შენიშნა, ვერ გაიხარა თუნდაც სახელმძღვანელის შემეხონი გაეწყინა და პოლიტიკოსები მეტრესთან.

მართალია, ვთქვა ხარაჩაჟაით 13-ჩაჩერნიანი საშეკიერო თუ თანამედროვის აღმნიშვნელი გატეხები არ გამრშნია, მაგრამ არანაკლებად ვამაყობ პრაქტიკოსი პედაგოგობა თუ მეთოდისტის სახელად ზოგჯერ. მკითხველს აქვე ვამცნობ გულით, რომ ვარ ავტორ ქალაქის 1996 წლის საკეთილო მხარეულებელი, მთაწმინდის რაიონის მეთაურობა-ორგანიზატორი ეკონომიკის, საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური ცენტრის ის ფილიალის ექსპერტთა ჯგუფის წევრი და, რაც ყველაზე მეტად შეამაყებს, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის ერთადერთი ლაურეატი (1997 წ.) საქართველოს მასწავლებელთა ასოციაციის ეკონომიკის ფილიალის მიერ. ვამბობ ამას იმისთვის, რომ ვინმე ჩვენ მიერ „ბუხარიანი ეკონომიკის სხვათა კეთილსა ზედა“, თუნდაც, ხშირად მას მიერ მოწონებული ნაშრომისათვის („ლეგატ ქართველი ეკონომიკოსი“) მიმეცადა მეთოდ აღნიშნული პრემია.

ვალერიანელ ბიძასთან მეთოდკაბინეტის სახელმძღვანელო, რომელშიც ხშირად ვიყავი ხოლმე, რუკების, ფიზიკისა და ხელოვნების ატლასებისა. ხანდისხან კი, სახელმძღვანელოთა შექმნის ყველა ეტაპი ნება მომეთმო, მეცნიერების მონაპოვრები და ხალხური ბრძნება. მეგონა, ეკონომიკაც ეგრეთვეა სახელმძღვანელის შექმნა ნართულებელნი, ხოლო ვიმოეწერეთ ლიტერატურის და ავტორების მოუხსენებლობა ამ ეთილებაში მკრეხელობად არ ითვლება. სულ ხშირად შეეხეროვათ დოქტორის მიერ სხვათა ნაშრომებიდან ციტირებისა ხანგრძლივი გადაწერა ბიბლიოგრაფიის მეშვეობით კომპიუტერის მეშვეობით. პატივიც მქონდეს კი მითხრა ვინმემ, რომ მწერალისა ჩემი მოწოდება არაა, სამწუხაროდ, გარემოება მაიძულებს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვთქვა შემდეგი.

რამდენიმე ბიჯალითი იქნები წერილებს, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ცოდნის ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

გეოგრაფიის ცოდნა მარტო მდინარეთა სიგრძის ცოდნა როდია,

ანუ არაფერი მომიპარავს, უნდა გამომეყენებინა და გაგოვიყვანე გამორჩენილ გეოგრაფთა ნააზრევი

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ჩვენებური ხასიათ ვიცოცხ ვეწინააღმდეგებით, ბაგინო პროფესიონო, „ეკონომიკული ობიექტი ძველ საქართველოში“ (ობილისი, „მეცნიერება“, 1996): „თუმცა ჯერ ეროვნული ეკონომიკური მეცნიერება, თანამედროვე ტერმინი არ არსებობდა, მას აღწერთან ხასიათი ქონდა და სახელმწიფო ინტერესების უმეტესობასთან“ (გვ. 3).

ნათელა
ქანაგანელი-ყანჩაველი,
თბილისის 170-ე საშუალო სკოლის
გეოგრაფიის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ნეტა ვისთვის სურს კოტე ჭრელაშვილს მუზეუმისთვის გამოყოფილი შენობა?

რა აღელვებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრს? გადაწყვეტილება ქაღალდზე რატომ რჩება? არის კი ხელწამოსაკრავი კულტურის წარსულისა და მომავლის გადამრჩენელი მუზეუმის ბედი?

– „...ჯერ კიდევ 1969 წელს აკადემიკოსმა ილია ვეკუამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომპლექსური კომისია დააარსა. მას ამოცანად მთის მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების მეცნიერული შესწავლა დაუსახა. კომისია უნიკალურია თავისი შემადგენლობით. მასში გაერთიანებულია მთის რეგიონებიდან გამოსული მეცნიერები, რომელსაც სათავეში აკადემიკოსი თენგიზ ონიანი უდგას. ვხედავთ, როგორ მიემალა ბარს მთის მოსახლეობა. იკარგება და დავიწყებას ეძლევა საუკუნეების განმავლობაში მთაში შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები; განსაკუთრებული მდგომარეობაა თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ამიტომ, მთის კომისიამ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან მოქმედებს, ჯერ კიდევ როდის გადაწყვიტა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება. მუზეუმი პერსპექტივაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს უნდა მომსახურებოდა. კომისიამ სათანადო მუშაობაც ჩაატარა და ზემო ალვანში შენობაც მიიღო, მაგრამ შემდეგ... ადგილობრივმა ხელისუფლებამ შენობა აუქციონზე გაყიდა (?!) შემდგომი ორგანოების მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება კი ქაღალდზე დარჩა.

მეცნიერებათა აკადემიასთან მოქმედმა მთიანეთის კომისიამ ფარხმალი არ დაყარა და დიდი ბრძოლის შემდეგ კანონიერი პროცედურული გზით ახალი შენობა მიიღო, რასაც ნათლად ადასტურებს ქონების მართვის სამინისტროს უკანასკნელი გადაწყვეტილებაც მისი მინისტრის მიხეილ უკლებას ხელმოწერით.

მოხდა პარადოქსი, ახმეტის რაიონის სასამართლომ ახლახან შენობას ყადაღა დაადო და ისევე, როგორც ადრე, შენობის აუქციონზე გაყიდვას ლამობს (!), რადგან ქონების მიღება-ჩაბარების აქტს არ ადგენს რაიონის ქონების მართვის სამმართველოს უფროსი ლუხუმ შეთეკაური. მთის კომისიაში ვერ გაუგიათ, სად არის ძაღლის თავი დამარხული; არადა, შემდგომმა ორგანოებმა თბილისში და ახმეტაშიც, ყველამ ერთხმად დოკუმენტურად დაამტკიცეს აღნიშნული შენობის ნაწილის (ამჯერად უკვე მეორის) გადაცემა, რასაც მეცნიერებათა აკადემია ითხოვდა და მას ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა კიდეც ის.

წუხს და ყველა დოკუმენტს იშველიებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრი, ამ კუთხის შვილი, პროფესორი კოტე ჭრელაშვილი, რომელმაც გვიჩვენა და მოგვაწოდა ახმეტის რაიონის ზემო ალვანში ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის შენობის გამოყოფა-გადაცემის შესახებ მიღებული არაერთი დოკუმენტი. ბატონი კოტე ზემოალვანელია და იქაურების დიდი გულშემატკივარი. ის, ზემო ალვანში მუზეუმის გახსნის, მისთვის შენობის გადაცემის თაობაზე ყველაზე ხელშესახებ დოკუმენტად ჯერ კიდევ ახმეტის გამგეობის მიერ 1998 წლის 16 იანვრის დადგენილებას მიიჩნევს, რომელსაც ხელს აწერს რაიონის მაშინდელი გამგებელი იოსებ მეჭურჭლიშვილი; გამგებელი მეცნიერებათა აკადემიას ჯერ კიდევ 1997 წლის დეკემბერში ოფიციალურად აცნობებდა, რომ: „1993 წლის 26 აგვისტოს ახმეტის რაიონის საკრებულოს გამგეობის № 295 გადაწყვეტილებით რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუნიციპალური საწარმოს „ივერიას“ ბალანსზე მყოფი ზემო ალვანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის შენობა ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა ზემო ალვანის საკრებულოს გამგეობას ეთნოგრაფიული მუზეუმის გასახსნელად“.

მაშინვე დამდგარა დღის წესრიგში ამ შენობის მოსაწესრიგებლად საჭირო თანხის გამოყოფის აუცილებლობა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებიდან ოთხ წელიწაზე მეტი გავიდა. ახმეტის გამგეობამ ზემო ალვანის გამგეობასთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. მაგრამ თანხის გამოყოფის ვერანაირი წყარო ვერ გამოინახა. არადა, კოტე ჭრელაშვილმა ირწმუნა, რომ მართლაც გამოიყო ამ გადაწყვეტილებით, ზემო ალვანის საჯიშე მეურნეობის კანტორის შენობის მეორე სართულზე მუზეუმისათვის 180 კვ. მეტრი ფართი, რომელიც სრულიად საკმარისი იყო მუზეუმისათვის. კარფანჯრებს რკინის ზღუდეები გაუკეთდა და იქაურობა ექსპონატების გამოფენასღა ელოდა.

ახმეტის მაშინდელი გამგებელი იოსებ მეჭურჭლიშვილი მეცნიერებათა აკადემიას იმასაც აცნობებდა, რომ ზემო ალვანის პირველი საშუალო სკოლის მიერ მოპოვებული ექსპონატები საკმარისი იყო ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის. ის კვლავაც შეივსებოდა ახალი მასალებით და ყოველივეს ვერც დაიტევდა სკოლის კედლები. აუცილებელი იყო ახალ შენობაში მისი გადანაცვლება. ზემო ალვანის სასკოლო მუზეუმი თავის დროზე მოინახულეს კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა გია არსენიშვილმა, მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმა. მათ მართებულად ჩათვალეს გამგებლის იოსებ მეჭურჭლიშვილის მიერ თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილება.

საქმე ადგილიდან მაინც ვერ დაიძრა. ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის ადრე გამოყოფილი შენობა დღითი დღე ნადგურდებოდა, სჭირდებოდა პატრონი. უნდა მომხდარიყო მისი პრივატიზება.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 7 მაისის დადგენილების „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ საპრივატიზებოდ დამტკიცებული ობიექტების ნუსხიდან 1997 წლისათვის ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საფუძველზე იჯარა-გამოსყიდვის უფლების გაცემის მიზნით საპრივატიზებო ნუსხიდან ამოღებული იქნა ზემო ალვანის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, მაშინ ამაზე თანხმობა ზემო ალვანის გამგეობასაც განუცხადებია და შენობა სახელმწიფო ქონების მართვის ახმეტის რაიონული განყოფილების სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის განცხადებების განმხილველ კომისიისათვის გადაუცია. კომისიას ობიექტი საპრივატიზაციოდ მოუმზადებია და მისი ფართობის ღირებულებაც 4062,55 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში განუსაზღვრავს. ამის შემდეგ გაცემულა ნებართვა იჯარით შემდგომი გამოსყიდვის უფლებაზე. ყველა დოკუმენტი, ხელთ აქვს კოტე ჭრელაშვილს და არ შეიძლება მას არ თანაუგრძნო, ის კი წუხს ქაღალდზე გადატანილი გადაწყვეტილების პრაქტიკულად შესრულება რომ ჭირს (ესენია არაერთი ბრძანება სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროსი, კახეთის სამეცნიერო ცენტრის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და ა. შ.). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კახეთის სამეცნიერო ცენტრი თანახმა იყო თავის ბალანსზე აეყვანა ზემო ალვანში არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის განკუთვნილი შენობა. მისი დაცვის ფინანსურ მხარესაც თავის თავზე იღებდა აკადემიის მთიანეთის კომისია.

ჩვენმა გაზეთმა ზემო ალვანელთა ამ სატკივარზე ჯერ კიდევ 1997 წელს ამოიღო ხმა. მაშინ სამი შეკითხვა მიეცა კიდეც ზემო ალვანის საკრებულოს თავმჯდომარეს შალვა იუკურიძეს, დაადგებოდა თუ არა საშველი ამ საქმეს, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა...

ახმეტის რაიონი საქართველოს უნიკალური კუთხეა. აქ ძირძველი ქართველური ტომები სახლობენ – კახელები, თუშები, ფშაველები და ხევსურები, ასევე, ქისტები და ოსები. საუკუნეების განმავლობაში მათი თანაცხოვრება ერთმანეთს გადაენასკვა და თავიანთი ცხოვრება თვითმყოფადი კულტურით, წეს-ჩვეულებებით გაამდიდრეს და გაამრავალფეროვნეს.

კოტე ჭრელაშვილს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორსა და მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრს, რომელმაც ზემო ალვანში ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება ითავა და წლების განმავლობაში არ მიუტოვებია კიდეც ეს საქმე, ხომ უნდა მიეეხმაროთ? თითქოს ყველა უჭერს მხარს. საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ის კი არ ჰყრის ფარ-ხმალს და ვის არ მიმართავს დახმარებისათვის. უსაბუთებს კიდეც ყველას, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმი არა მარტო თუშ-ფშავ-ხევსურეთის კულტურის მეტად ორიგინალურ და თვითმყოფად, ეგზოტიკურ წარსულს წარმოაჩენდა, არამედ მოსაზღვრე ხალხთა (ჩეჩნეთის, დაღესტნის) ისტორიულ წარსულსაც საქართველოსთან ურთიერთობის ფონზე. ამის საშუალებას მეცნიერს ისიც აძლევს, რომ მას საამისო საარქივო მასალაც გააჩნია, ოღონდ ყოველივე ამის ერთ დაწესებულებაში თავმოყრაა აუცილებელი. როგორც ჭრელაშვილი გვამცნობს, შალვა იუკურიძემ არც ერთი ორგანოს გადაწყვეტილება არ მიიღო მხედველობაში და ახმეტის საკრებულოს გვერდის ავლით მუზეუმისათვის განკუთვნილი შენობა გაასხვისა. მისი მტკიცებით, არც პირველი შენობის აუქციონზე გაყიდვის უფლება ჰქონდათ, შემდეგ ბრძოლით მიიღეს ახალი შენობა, მისი მიღების პროცედურამაც კანონიერი გზა გაიარა, რასაც ქონების მართვის სამინისტროც ადასტურებს, მაგრამ ახლახან რაიონის სასამართლომ შენობას ყადაღა დაადო და... კვლავ გართულდა საქმე... ვერა და ვერ მოგვარდა ეს საკითხი ადგილზე. ამ საქმით დაინტერესებულებმა დახმარებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებში, სოროსის ფონდშიც ეძებეს თანადგომა... ეს ხომ ეროვნული საქმეა, რატომ გაჭირდა ასე ამ საქმის მოგვარება? შენობის მეორე სართული ხომ დღემდე მეცნიერებათა აკადემიის ბალანსზეა. კოტე ჭრელაშვილი გვარწმუნებს, რომ ადგილზე, ზემო ალვანელი ახალგაზრდებიც მოუელიან მუზეუმს, ოღონდ კი დაადგეს საშველი. ახმეტის სასამართლომ ყადაღა რომ დაადო შენობას, ხომ უნდა გასცნობოდა ჯერ კიდევ რაიონის გამგებლის, იოსებ მეჭურჭლიშვილის მიერ როდის გამოტანილ სათანადო დადგენილებას? კითხულობს მეცნიერი და კვლავ ყველას არწმუნებს (დოკუმენტაციით), რომ შენობა მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილებაა.

...თუშეთი სასაზღვრო ზონაა. მისი კულტურულ-ისტორიული ფასეულობების დაცვის სურვილი მხარეაჭერის ღირსია, არა და, დაეკარგება მთიელ ხალხს თავისი ისტორია. მუზეუმი ხომ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მიზანია წარსულის ძეგლების დაცვა, შეგროვება, შესწავლა და გამოფენა. საქართველო მართლაც მდიდარია სამხარეთმცოდნეო პროფილის მუზეუმებით. სიძველეთა დაცვის ტრადიცია კი უძველესი დროიდან მოგვდგამს, ნუ დავკარგავთ ამ ტრადიციას. პროფესორ კოტე ჭრელაშვილს უნდა დაეხმაროს ყველა, ვინც ქვეყნისა და თავისი კუთხის პატრიოტობაზე დებს თავს, მაგრამ არა სიტყვით, არამედ საქმით. კანონმა უნდა იკანონოს, და ეს საკითხი ახმეტაშივე უნდა მოგვარდეს... ეროვნულ საქმეს ნუ გადაეღობება წინ ისეთი მოქმედება, რაც ამ ერთ საზღვრისპირა სოფელში ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნის ირგვლივ ხდება. შენობა ფული ღირს, რა ფული მიგიტაცია და რა მისი ღირებულების შენობა: დავუტოვოთ ზემო ალვანელ მოსახლეობას თავისი საზრუნავი.

ალბათ, მართალია პროფესორი კოტე ჭრელაშვილი და მისი გუნდი, („გუნდი“ ახლა მოდაშია), ასე თავგამოდებით რომ იბრძვის თავის კუთხეში ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფუძნებისათვის და უნებლიეთ თუ შეგნებულად ნუ შევუშლით ხელს. მას მუზეუმისათვის გამოყოფილი შენობა დანიშნულებისამებრ სურს გადასცეს და მეტი არაფერი, რათა თავის მშობლიურ მთასა და მთიანეთს საკუთარი ისტორია შემოუნახოს – ის ხომ წარსულია, დღევანდელობაა და მომავლისათვისაა გათვლილი.

ნათელა ფაილოძე.

ხელოვნება

როცა ასეთი სიყვარულია

ადამიანის უდიდესი ბედნიერება საკუთარი პროფესიით გატაცება და მისთვის თავგანწირვაა, რისი მოწმეც მეცნიერის გიორგი ადეიშვილის ცხოვრებისა, ყველა სიხარულისა თუ ტკივილის მონაწილე მისი მეუღლე გახლდათ, ისინი შინ და სამსახურშიც ერთად იყვნენ. ამ წიგნის ავტორიც გიორგი ადეიშვილის მეუღლე ქალბატონი როზეტა ასათიანია. წიგნი ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურულ ნაწარმოებს მიეკუთვნება. ადრე ასეთი წიგნების ავტორები მამაკაცები იყვნენ და თავის თავზე თვითონ წერდნენ. მათი მეუღლეები ასეთ საქმეს იშვიათად კიდებდნენ ხელს. ეს კი მოამზადა და გამოსცა მეცნიერის მეუღლემ როზეტა ასათიანმა. მან ყველაზე უკეთ უწყოდა როგორი იყო ის, როგორც მეცნიერი, როგორც კათედრის გამგე, როგორც მეუღლე, როგორც მშობელი და სხვა... წიგნის **„გიორგი ადეიშვილი. ცხოვრება, მოღვაწეობა, მოგონებების“** – ავტორი წინათქმიდან გვამცნობს, რომ მიუხედავად იმისა, მან ბევრი რამ იცოდა მეუღლის შესახებ, მაინც მოკრძალებით მოეკიდა ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებას.

წიგნის წაკითხვა აუღელვებლად შეუძლებელია. თუნდაც ასეთი ფაქტი, ავტორი იგონებს: „ენით აუწერელია ის თავდადება, ყურადღება და ერთგულება, რაც გოგიმ ჩემი ავადმყოფობის დროს გამოიჩინა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას დღეს, რომ ცოცხალი და შრომისუნარიანი ვარ, ეს მისი დამსახურებაა, მონოგრაფიები უნდა დაიწეროს პაატა გუგუშვილზე, ვასილ ჩანტლაძეზე, იოსებ ბაჯაძეზე, ირაკლი მიქელაძეზე, ვალერიან მელქაძეზე, გივი ჭანუყვაძეზე, არჩილ ფანცხავაზე, სერგი და შოთა ბერაძეებზე, გიორგი ბასილაიაზე და სხვებზე, ისინი უნდა გაიცნონ მომავალმა თაობებმა.

გიორგი ადეიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებისათვის, პირად საარქივო მასალებთან ერთად, ავტორმა გამოიყენა მის შესახებ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, შეარჩია მისი ისეთი ნაშრომები, სადაც მეცნიერულ მრწამსთან ერთად ნათლად ჩანს ავტორის საზოგადოებრივი და ეროვნული პოზიცია.

თავად ბატონ გიორგის როზეტა ასათიანი ნიჭიერ ქალად მიაჩნდა. არავისზე არის დამოკიდებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც ჰყავს ასპირანტები და ორი მეცნიერებათა აკადემიის – საქართველოს ეკონომიკური და ნიუიორკის აკადემიის წევრია, მეცნიერებაში მეუღლის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვება და დროის მოთხოვნის შესაბამისად ანვითარებს მას.

წიგნი წარმოადგინეს კონფერენციაზე, რომელიც გიორგი ადეიშვილის გარდაცვალებიდან წლის თავზე გაიმართა, აქვე შევიტყვეთ, რომ გიორგი ადეიშვილის სახელის უკვდავსაყოფად, ვანის რაიონის, მშობლიური სოფლის ყუმურის სკოლას მისი სახელი მიეკუთვნა, ხოლო მისმა მეუღლემ განაცხადა, რომ ამ სკოლის შეფობას კისრულობს.

წიგნი, რომელიც ქართული ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფესორ გიორგი ადეიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, პირადი საარქივო და დოკუმენტური მასალების, აგრეთვე, კოლეგების, მეგობრებისა და აღზრდილების მოგონებების საფუძველზეა შექმნილი. აღწერილია ის საინტერესო და რთული გზა, რომელიც ღირსეულად განვლო გიორგი ადეიშვილმა.

წიგნი საგამომცემლო ფირმა „სიახლემ“ გამოსცა და ფართო მკითხველისათვის არის განკუთვნილი.

გიორგი ადეიშვილი ერთი წლის წინათ გარდაიცვალა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრამ თავის პირველ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება მრავალი წლის განმავლობაში ამ კათედრის გამგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის გამოცემის შესახებ. ეს უნდა ეკისრა ეს მისია, თუ არა გიორგი ადეიშვილის ცხოვრების თანამგზავრს 40 წლის განმავლობაში, მის მეუღლეს, მეგობარსა და ამავე კათედრის წევრს. წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მეცნიერის კოლეგების, მეგობრების, მისი ყოფილი ასპირანტებისა და აღზრდილების მოგონებებს.

ნიკო ხატიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2000 წელი.

პროფესიონალები

საბედნიეროდ, ბატონ ზურაბ თურმანიძისათვის, როგორც პაციენტს, არასოდეს მიმიმართავს. დასანანი კია, რომ ესოდენ უშუალოსა და გულისხმიერს, მეტად საინტერესო ადამიანს აქამდე არ ვიცნობდი.

სარედაქციო ფოსტაში ყოველთვის გამოერეოდა ხოლმე და ახლაც მოდის მოქალაქეთა მადლიერებით აღსავსე წერილები ხალხური მკურნალების მიმართ. მათ შორის, არაერთხელ ყოფილა ასეთი ბარათების ადრესატი ცნობილი მესალბუნე და დასტაქარი, თბილისის №1 კლინიკის ზოგადი ქირურგიის განყოფილების გამგე პროფესორი ზურაბ თურმანიძე.

ამ ბოლო წლებში ხალხური მედიცინის რამდენი ლამის მინავლებული ტრადიცია აღორძინდა, რამდენი კიდევ უფრო განივრცო და გაძლიერდა. „თურმანიძეთა საიდუმლო" კი მეთერთმეტე საუკუნიდან მოდის და დღემდე „ბრწყინვალება" არ დაუკარგავს. მან საუკუნეები გამოიარა და რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ხალხური მედიცინის ტრადიციულ ოჯახებს თავიანთი წამლების დამზადების ოფიციალური უფლება მიეცათ, ზურაბ თურმანიძემ აწ განსვენებულ ქეთევან თურმანიძის ოჯახთან ერთად დააფუძნა შპს „თურმანიძე", რომელიც ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი კომპონენტებით ქარხნული წესით ორი სახის „თურმანიძის მალამოს" უშვებს: ინფიცირებული ჭრილობებისათვის ყვითელ ყუთებში და დამწვრობისათვის – ლურჯ ყუთებში (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამლებისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზია 1998 წ. №000169, №000170).

– ბატონო ზურაბ, თქვენ კოსტავას 75-ში ცხოვრობთ, მაგრამ, როგორც ვიცი, თურმანიძეთა კიდევ რამდენიმე ოჯახია თბილისში, რომლებიც მალამოს ამზადებენ.

– არიან, მაგრამ ჩვენი და იმათი რეცეპტები სრულიად განსხვავებულია. ეს მაშინ გამოჩნდა, როცა ერთხელ საგანგებოდ შევიკრიბეთ და რეცეპტები შევადარეთ, რა თქმა უნდა, იმათში ქეთევან თურმანიძეს არ ვგულისხმობ, რომელიც, სამწუხაროდ, შარშან გარდაიცვალა. ჩვენ მალაქია თურმანიძის შთამომავლები ვართ, მალაქია პაპა იყო ჩემი, ქეთევანი – მალაქიას ძმის შვილი. მალაქია თურმანიძე ჩირქოვანი ჭრილობებისა და დამწვრობისათვის უებარი მალამოების მომზადების საიდუმლოს ფლობდა. ტრადიციისამებრ, მან ეს საიდუმლო ბიძაჩემს, გიორგის გადასცა, რომელიც თურმანიძეთაგან პირველი დიპლომიანი ექიმი იყო, იგი ერთხანს ლენინგრადში პროფესორ იუსტინე ჯანელიძის კლინიკაში მსახურობდა, სადაც თურმანიძის მალამო აპრობაციას გადიოდა და საუცხოო სამკურნალო თვისებების გამო დიდი მოწონება დაიმსახურა. შემდეგ თბილისში ალადაშვილის სახელობის ქალაქის №2 საავადმყოფოში დაბრუნდა (ახლანდელი ჩვენი №1 კლინიკა) პროფესორ იოსელიანთან, სადაც მანამდე ქირურგად მუშაობდა.

– პაპათქვენ მალაქიას რომ არ ჰქონდა დიპლომი?

– ჰქონდა, 1929 წელს, მოსკოვში ცნობილ ფიოდოროვს მიუცია, როცა თავის კლინიკაში დაუბარებია და მალაქიას ავადმყოფები დაავადებათა მიხედვით გამოურჩევია, კიბოთი დაავადებულთა გარდა, თავისი სალბუნით სხვა დანარჩენების განკურნების იმედი მიუცია, თან თავისი საქმის საუცხოო ცოდნა გამოუმჟღავნებია. ფიოდოროვი გაოცებულა და მისთვის ექიმის დიპლომი უბოძებია.

– მართლაც საამაყო წინაპრები გყოლიათ.

– და არა მარტო მამის მხრიდან. მეორე პაპა ფილიპე ჭელიძე საქვეყნოდ ცნობილი მეღვინე გახლდათ. რომანოვების დინასტიის 300 წლისთავთან დაკავშირებით გამოსულ წიგნში, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი ადამიანები შეუყვანიათ, მათ მორის, 8 ქართველთან ერთად ფილიპე ჭელიძეც ყოფილა.

– ბატონო ზურაბ, თურმანიძეთა მალამოს ცხოველმყოფელობას ჯუზეპე გარიბალდის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და კიდევ ბევრი ცნობილი ადამიანის განკურნებას უკავშირებენ.

– ოთხი წლისა ვიყავი, როცა მალაქია გარდაიცვალა, დანარჩენი ამბად გამიგონია.

– თუ გახსოვთ ბიძათქვენ გიორგის მიერ მოხდენილი რაიმე „სასწაული"?

– დიახ, ეს მართლაც სასწაულს ჰგავდა. 1962 წლის მაისში თბილისში გამართულ მეგობრულ ტურნირში მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა გუნდი. მათს ერთ მოთამაშეს, სლავეკ ლევიშს უცნაური დაავადება შეეყარა. ძალიან მძიმედ იყო. მაღალი სიცხეები ჰქონდა, კანზე წყლით სავსე ბუშტუკები უჩნდებოდა, მერე მთელ სხეულზე კანი უმაძღებოდა, უნეკროზდებოდა და ნაფლეთ-ნაფლეთ სძვრებოდა. იგი ინფექციურ საავადმყოფოში იწვა, ვერც ადგილობრივმა და ვერც უცხოეთიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა ექიმებმა მოუხერხეს რამე. ერთ კონსილიუმზე თერაპევტებმა და დერმატოლოგებმა ბიძაჩემი, გიორგი მიიწვიეს. მან მეც წამიყვანა. ავადმყოფი გასინჯა, მას „სტივენ ჯონსონის" დაავადება დამართნოდა. ყოფილ საბჭოთა კავშირში ამ დაავადების ხუთი შემთხვევა იყო დაფიქსირებული, აქედან ოთხი სიკვდილით დამთავრდაო, ამბობდნენ ექიმები. გიორგიმ ბევრი ზეითუნის ზეთი მოითხოვა, სხვა ყველაფერი მაქვსო. იმან ავადმყოფს პროცედურები ჩაუტარა, ხალხი გაოცდა, სლავეკი, რომელიც მანამდე საკუთარმა ცოლმაც კი ვერ იცნო, სამი კვირის შემდეგ ფეხზე წამოდგა, დღესაც ცოცხალია და ვახსოვართ. ბიძაჩემს ცნობილი ადამიანები: მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იწვევდნენ თავისთან და მეც ყველგან თან დავყავდი. უნდოდა, რომ ექიმი გამოვსულიყავი.

– და სურვილი შეუსრულეთ, არა?

– არა.

– ?!

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევედი, გეოლოგობა მინდოდა. სამი კურსიც ვისწავლე, მაგრამ... ბიძაჩემმა არ დამაყენა. მას შვილი არ ჰყავდა, დიდი ამაგი დამდო, შვილივით მზრდიდა და ტრადიციის გამგრძელებლადაც მე ვეგულებოდი. ამიტომ დაჟინებით მთხოვდა სამედიცინოზე გადადიო.

– ასე ადვილი იყო სამედიცინოზე გადასვლა?

– რას ბრძანებთ, ამისათვის მან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე შეაწუხა. მანაც გაუგო და... სამედიცინო ინსტიტუტში პირველ კურსზე უგამოცდოდ დამსვეს.

– „გზიდან გადახვევის" გამო როდისმე ხომ არ გინანიათ?

– პირიქით, სწავლა რომ დავიწყე, მივხვდი მედიცინა იყო ჩემი საქმე.

– რახან ინსტიტუტში ასე ითლად „მოეწყვეთ", მისი დამთავრების შემდეგ სამსახურის შოვნაც აღარ გაგიჭირდებოდათ.

– მაშინ უნიკალური სამკურნალო ხალხური მეთოდები და საშუალებები კანონგარეშე იყო გამოცხადებული. მერე, გვიან მიხვდნენ, რომ ყველაფრის უარყოფა არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ „თურმანიძის მალამო"-ს გამოყენების აუცილებლობაზე იმ ხანად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს 1966 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება არსებობდა, სწორედ თურმანიძეობისა და მალაქიას შთამომავლობის გამო, არსადაც არ მიღებდნენ (იმ დროს ბიძაჩემი უკვე პენსიაზე იყო). ერთხანს ჭიათურაში, შემდეგ რუსთავში ქირურგად ვმუშაობდი.

– №1 კლინიკაში როგორ მოხვდით?

– მაშინ ჯერ ქალაქის ისევ №2 საავადმყოფო იყო. ქართული ქირურგიის კორიფესთან პროფესორ მიხეილ ჩაჩავასთან მივედი და დახმარება ვთხოვე. 1974 წელი იყო, როგორც მოგახსენებთ, ჯერ ისევ იდევნებოდა ხალხური მედიცინა. მან კი ნახევარ განაკვეთზე მორიგე ექიმად ამიყვანა და საავადმყოფოში ჩვენი მალამოს გამოყენების უფლება მომცა. და იქიდან მოყოლებული, წარმატებით ვიყენებთ, როგორც დამწვრობის, ასევე ჩირქოვანი, ძნელად შეხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ. მეც დავმკვიდრდი და ახლა უკვე გამგე ვარ.

მესალბუნე

– ზურაბი ჩინებული დასტაქარია, 16 წელიწადია, რაც განყოფილებას უძღვება, სიტყვა ჩამოართვა კლინიკის ქირურგიის კათედრის პროფესორმა **გურამ მგალობლიშვილმა** – იგი პიროვნული თვისებებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულია და ნიადაგ თანამშრომელთა და პაციენტების პატივისცემას იმკის. ზურაბი 1996 წლიდან ევროპის ხალხური მედიცინის და ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების საერთაშორისო კომისიის წევრია იუნესკოს ხაზით. იგი პრაქტიკული მუშაობის გარდა, მეცნიერული შრომების ავტორია, ამასთან, სამხედრო ქირურგიასთან თურმანიძეთა გვარის ისტორიული კავშირის გამო, იგი საქართველოს ახლადშექმნილ სამხედრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად მიიწვიეს. მისი სალბუნი და მარჯვენა ერთნაირად „ჭრის".

– ბატონო ზურაბ, თქვენზე ამბობენ, თავადაც იმედიანსა და საიმედოს, იუმორით აღსავსეს, სამსახურში, ახლობლებთან თუ მეგობრებში, ყველგან სიცოცხლე და ხალისი შეაქვსო.

– რაღას არ მაბრალებენ (იცინის).

– ხელმოკლეობის გამო ხალხს საავადმყოფოში დაწოლა და მკურნალობა უჭირს, თქვენთან როგორ არის საქმე?

– ავადმყოფები ცოტა გვყავს, მაგრამ ქირურგია ისეთი სფეროა, პაციენტები შედარებით არიან.

– თუ უპოვარი ვინმე მოიყვანეს და მას სასწრაფო ოპერაცია სჭირდება, როგორ მოიქცევით?

– ასეთი მოგვსვლია და არა ერთი. უკან არც ერთი არ გაგვიბრუნებია. ჩვენ, უწინარესად, ადამიანები ვართ, თანაც ექიმები. ამას წინათ მაწანწალა (მამაკაცი) მოგვიყვანეს, დანით იყო დაჭრილი. ოპერაცია გავუკეთეთ, ვუმკურნალეთ, ვაჭმევდით, მუნიც მოვურჩინეთ. ბოლოს განსაცმლითაც შევმოსეთ და ისე გავისტუმრეთ.

– ბატონო ზურაბ, გავიგე თქვენი ვაჟი გიორგიც ნიჭიერი ქირურგია და თქვენთან ქირურგ-ორდინატორად მუშაობს, დისერტაციაც ლამის დასრულებულია და საგვარეულო საქმესაც თქვენთან ერთად განაგრძობს.

– იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილია, კარგი ბიჭია.

– გიორგი ვილას გადასცემს საიდუმლოს გასაღებს?

– თუ გნებავთ, ჩემს შვილიშვილს 8 წლის ზურიკოს გაგაცნობთ. აბა ერთი ჰკითხეთ, ვინ უნდა გამოვიდეს!

– ჩვენს მკითხველებს რას უსურვებთ?

– მშვიდობას, საქართველოს გაძლიერებას და ერთ რამეს ვურჩევ: საუკუნოვანი თურმანიძის მალამო შველოდა წინაპრებს, გიშველით თქვენც.

ბელა დურგლიშვილი.

სჯობს სახელისა მოხვეჭა

ღმერთმა გვიმრავლოს ნიჭიერნი!



ზოგიერთი ქვეყანა დიდი დიასპორით ამაყობს, მისი თანადგომით იწონებს თავს. ჩვენ დიდი დიასპორა არა გვყავს, მაგრამ არიან ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის სფეროებში მოღვაწეობენ.

ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ერთი ქართველი წარმოგიდგინოთ, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობს და მას ლამის მთელი მსოფლიო იცნობს. ეს გახლავთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კანცეროგენეზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ბლოხინის სახელობის ონკოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით ზარიძე**. მისთანანი ჩვენს მეოხად, თანამდგომად გვეგულებიან. საბედნიეროდ, ისინი ბევრნი არიან, და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არა მარტო მეცნიერები, არამედ სხვა დარგების წარმომადგენლებიც.

როგორც ცნობილია, ონკოლოგიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამჟამად, კიბოს პირველადი პრევენციისათვის (პროფილაქტიკისათვის) ხდება ადამიანის გარემოს დაცვა: ქიმიური და რადიაქტიული კანცეროგენული ნივთიერებებისა და ბიოლოგიური აგენტებით, ვირუსებითა და ბაქტერიებით დაბინძურებისგან, რითაც ცდილობენ მიაღწიონ მოსახლეობაზე კანცეროგენური აგენტების ზემოქმედების რეგლამენტირებას, კიბოს პრევენციას და შესაბამისად, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას.

კიბოს წინააღმდეგ ყველა მიმართულებით ბრძოლას კი მხოლოდ უმაღლესი დონის სწავლული და სპეციალისტი შეძლებს, რაც მოითხოვს ბრწყინვალე ცოდნას იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ სიმსივნური პროცესების განვითარებას და სხვ.

ბატონი დავით ზარიძე იმთავითვე ონკოეპიდემიოლოგიის პრობლემებით დაინტერესდა, რაც შემდგომ თავის პრიორიტეტულ მიმართულებებად დაისახა. კერძოდ: ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებაში გარემო ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა; კვების როლი ადამიანის კიბოს განვითარების ეტიოლოგიაში; ვირუსებისა და სხვა არაინფექციური ფაქტორების როლი სიმსივნის ეტიოლოგიაში; თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების შემუშავება ადამიანზე გარემოს კანცეროგენული ფაქტორების მოქმედების შესაფასებლად, კიბოს პროფილაქტიკის მეთოდების შემუშავება, ავთვისებიანი სიმსივნეების ავადობისა და სიკვდილიანობის რეგიონული და ეთნიკური თავისებურებების შესწავლა.

აკადემიკოსი დავით ზარიძე თბილისელია, მხცოვანი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ზარიძის ღირსეული შვილი. მის მიღწევებს მეცნიერებაში წინ დაძაბული შრომა უძღოდა. დიდხანს მუშაობდა საზღვარგარეთ, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც დარგის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა. მისი შრომები, კვლევა-ძიება, საყოველთაო აღიარებას იმსახურებდა. ამ აღიარების გამო მიიწვია იგი აკადემიკოსმა ნ. ბლოხინმა რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ონკოცენტრში კანცეროგენეზის ინსტიტუტის დირექტორად, სადაც წარმოჩნდა კიდეც მისი ბრწყინვალე ნიჭი და შესაძლებლობები.

დავით ზარიძე წლეულს აირჩიეს რუსეთის სამედიცინო აკადემიის წევრად. იგი არის ონკოლოგიური კვლევის დარგში ევროპული ასოციაციის, კიბოს შემსწავლელი საერთაშორისო სტიპენდიალური კომიტეტის სააგენტოს, კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კავშირისა და სხვა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მან მეცნიერებაში დაუღალავი შრომით დაიმსახურა საპატიო მოღვაწის სტატუსი. იგი არის სხვადასხვა ცნობილი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი. და, რაც მთავარია, მან რუსეთში შექმნა მთელი სკოლა კიბოს პროფილაქტიკასა და ეპიდემიოლოგიაში, რაც საფუძველს ქმნის ავადობისა და სიკვდილიანობის შესამცირებლად. მისი შრომა, კვლევა-ძიება აისახა 4 მონოგრაფიასა და მრავალ სამეცნიერო შრომაში. ბატონ დავით ზარიძეს ბევრი მეგობარი ჰყავს საქართველოში, ურთიერთობა აქვს აქაურ კოლეგებთან. მოსკოვშიც მუდამ მზად არის თანადგომისათვის.

– დავით ზარიძეს ჯერ კიდევ მისი სტუდენტობიდან ვიცნობ, – ბრძანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სამეცნიერო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა **ლადო ბახუტაშვილმა**, – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში იგი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სტუდენტი იყო. მაშინ ინფექციურ სნეულებათა კათედრის ახალგაზრდა პროფესორი გახლდით. სწავლის პერიოდში ნიჭიერებით განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ დავით ზარიძე და ზაირა ქადაგიძე. ისინი ჩინებულად სწავლობდნენ და ყველაფერი მეცნიერულ დონეზე აინტერესებდათ: მეც ვაწვდიდი უახლეს ლიტერატურას მოლეკულურ ვირუსოლოგიაში, იმუნოლოგიაში და ონკოლოგიაში, ვცდილობდი მათთვის მეცნიერება შემეყვარებინა. სტუდენტობის ამხანაგები ახლაც ერთად მუშაობენ. ისინი დღეს დიდი მეცნიერები არიან. ქალბატონი ზაირა ონკოიმუნოლოგიის განხრით წავიდა, პროფესორია და ამჟამად მოსკოვში ონკოლოგიის ინსტიტუტის იმუნოლოგიის განყოფილებას განაგებს და მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრია. ამჟამად ისინი გვერდიგვერდ შრომობენ და იღწვიან. ორივეს თავისი ადგილი უჭირავს მედიცინის მეცნიერების განვითარებაში. აკადემიკოსი დავით ზარიძე კიბოს დასამარცხებლად სიახლეთა ძიებაშია, თავის უპირველეს საქმეს ემსახურება მეცნიერი.

ბელა ლომთაძე.

რწმენა

„ბალღო, ეგ არის შენი სამშობლო...“

1. „თუ რომ ღმერთი მოისურვებს, ყველა საქმე აღსრულდების...“

ეს სტრიქონები ერთი ცნობილი ხალხური ლექსის – „რაც რომ ღმერთსა არა სწადის, არა საქმე არ იქნების“ პერიფრაზია. ამის ჭეშმარიტებაში ერთხელ უკვე დავრწმუნდი, როცა ჩვენმა „პაზიკმა“ ღრუბლების საუფლოში შერგო თავი. ეს რომ არა, მთელი აყლაღიდებით – კარვით, სარჩო-საბადებლით, საბან-გობანით ფეხით მოგვიწევდა ციცაბო ფერდობებზე ფხოკიალი.

გვარით, ჯიშით და ჯილაგით ფშაველ ზეზვა გოგოლაურს მამა-პაპათა სალოცავებმა უხმეს. ჩვენც – პაატა მღებრიშვილი, ლერი სისაური და ამ სტრიქონების ავტორიც გვიახლა – გოგოლაურთის წმინდა გიორგის ხატს ზეზვას მეუღლის, ქალბატონ ნონას გამოჯანმრთელება უნდა შევთხოვოთ...

უთავგადასავლოდ გავიარეთ ჟინვალი, სადაც ლურჯად მოსარკულ წყალსაცავში „ერთ სისხლ და ერთ ხორც“ ერთდებიან ფშავისა და ხევსურეთის ორი არაგვი. გვერდი ავუქციეთ ვაჟას ჩარგალს და შუაფხოს მივატანეთ. გზაგასაყართან ავტოინსპექტორები ჩრდილს შეფარებოდნენ. „სალოცავში მიდივარ სამი კაცით“ – გადასძახა ზეზვამ. ეს სიტყვები ნამდვილად მაგიურია, რადგან ავტოინსპექტორები არც საბუთსა გვთხოვენ და არც „ეშმაკის მოციქულს“, ხელს გვიწევენ და ალალი ღიმილით გვემშვიდობებიან. ჩვენი ავტობუსის სიხალვათეს შუაფხოში წერტილი დაუსვა გოგოლაურთამში მომავალმა თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა ვალიკო მგელაშვილის მეთაურობით. „შუაფხოდან ლაშარისკენ ავტობუსების მიმოსვლა აკრძალულია“, – გვამცნობს წარწერა, მაგრამ ახლა ამ გაფრთხილებას ძალა არა აქვს... ბედად, იმ თხუთმეტ მოგზაურში ლევებთან მორკინალ კოპალას სალოცავის ხევისბერი ბეწინა ზურაბაშვილიც ერია – ღმერთმა ჩვენს ჩანაფიქრს ჯვარი დასწერა: უბეწინოდ კოპალას ხატში ვერც ქადას გავჭრიდით და ვერც სანთელს ავანთებდით. ხევისბერმა დაწვრილებით გამოგვკითხა, ვის სახელზე ვირჯებოდით და გამჩენს ნონა გოგოლაურის გამოჯანმრთელება შესთხოვა. წყნარად იწვოდა კელაპტარი და ვგრძნობდით, როგორ გადმოდიოდა ჩვენში ღვთის მადლი...

მერე აღმართ-დაღმართში ისევ მიბღუოდა მოუღლელი „პაზიკი“ და მოტორის გრიალში მთანთქავდა ბეწინა ზურაბაშვილის ნაუბარს დაცარიელებულ ფშავზე, კარგამოჯარულ სახლებზე, მიტოვებულ ხატ-სალოცავებზე.

– „მანქანა გზაში უნდა დავტოვოთ, გოგოლაურთაში ფეხით ავიდეთ“, ამბობს ზეზვა. „მერე, ვინმემ რომ იმამაძაღლოს?“ „ხატის ძალა ისეთია, ეხლა გზაზე ოქროს ზოდიც რომ დაღო, ხელს არავინ ახლებს“. ასე სჯერა ზეზვა გოგოლაურს, თვითონაც მთის ანკარა წყაროსავით სუფთა გულის კაცს. მივაღწიეთ არაგვზე გადებულ რკინის ხიდს. აქედან ლაშარის გორამდე ორიოდე კილომეტრი იქნება.

მაგრამ ჩვენ ხელმარცხნივ უნდა გადავუხვიოთ და გოგოლაურთის ციცაბოებს შევეჭიდოთ. ზეზვას ახლა მხარზე ანგელოზი შეაჯდა, გინდა თუ არა, წოწკოლაურის ეზო-კარამდე ჩემი მანქანით უნდა ავიდეო. თქვა და ჰქმნა კიდეც. მართლა დიდი ხელოვნების დემონსტრირება დასჭირდა, რათა „პაზიკს“ მკვეთრი მოსახვევებიც დაეძლია და ციცაბო აღმართებიც. წოწკოლაურის „სამეფოდან“ გოგოლაურთამდე კილომეტრნახევრიანი საცალფეხო ბილიკი მიდის. დავემშვიდობეთ ბეწინა ზურაბაშვილს – ნათესავი უნდა მოეინახულო და ხატში მერე ამოვალო. მაგრამ ვერ ამოვიდა – იმ ნათესავის ძაღლს დაუკბენია...

პაველ წოწკოლაური აქაური კაცია, ოღონდ წლების განმავლობაში ახმეტაში ცხოვრობდა. საკობიანოში მშვენიერი სახლიც სდგმია. ქვეყანა რომ აირია, კარ-მიდამო ბიძაშვილს ჩააბარა, მოჰკიდა ხელი ცოლშვილს და მთას, მამა-პაპათა კერას მიაშურა. ფინური სახლი დადგა, ცხვარ-ძროხა მოაშრაველა, ფუტკარი გაიჩინა, დათესა კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ლობიო, მწვანილი...ზამთარ-ზაფხულს აქ არიან მეუღლე ნატო, შვილები – თენგიზი, ვახტანგი, ვასილი, ნინო და ნანა. იცოცხლეთ, დიდებული სანახაობა იშლება მათი ეზო-კარიდან – დაბლა, სიპებზე, თავპირისმტვრევით გარბის აქაფებული არაგვი, გაღმა ფერდობზე კი ორიოდე მოსახლე მოჩანს. მაგრამ, არცთუ სასიამოვნოა პაველ წოწკოლაურის ნაუბარი. ეს არის ტკივილით გაჯერებული ამბავი ჭიჩოსა და ბინდაურთის თითოკომლიან სოფლებზე. ასეთი სოფლები დღეს ფშავში ბევრია. „ამას წინათ ჭიჩოს თავიდან ორასამდე ცხვარი გარეკეს – ქურდობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ცხენი ვერ მიყოლიებია, მოპარვისა შეშინია. ვერც თავს დავიცავ რითიმე, ერთი სანადირო თოფი მქონდა და ისიც პოლიციამ ჩამომართვა, – შემოგვჩივის პაველ.

– რატომ ჩამოგართვა? – აღშფოთებას ვერ მალავს ზეზვა. მასპინძელი პასუხისაგან თავს იკავებს, მაგრამ ეჭვი გვღრღნის: განგებ ხომ არ ხდება ეს, რათა უიარაღო მთიელმა უკეთურთაგან თავი ვერ დაიცვას, ხოლო... პოლიციამ თავისი წილი მიიღოს? იქნებ ვცოდავდე, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, მე, ჩემდათავად, ამ ფაქტს სხვა ახსნა ვერ მოვუძებნე...

დავლოცეთ პაველ წოწკოლაური, მეტი სიჯიუტე ვუსურვეთ, ჩვენი „პაზიკი“ ჩავაბარეთ, წამოვიკიდეთ ბარგი-ბარხანა და შევუდექით საცალფეხო ბილიკს. ზემოდან უკვე გვესმის იმათი ხმა, ვინც ასვლა და დაბინავება დაგვასწრო. გული ყელში გვებჯინება, კინკრიხოში მთის მწველი მზე გვაჭერს. სადაც არის, დავეცემით, მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა ზემოთ, ხატ-სალოცავისკენ გვეწევა. ზეზვა გვამხნევებს, ნუ გეშინიათ, გოგოლაურთის წმინდა გიორგი შეგვეწევაო...

შეგვეწია...

2. „განთიადისას ქიუხში შურთხმა დარეკა ზარიო...“

საოცარია პირდაპირ – აქ ალპიური ზონაა, გოგოლაურთის ხატ-სალოცავი კი საუკუნოვანი კოპიტის ტევრში ჩაფლულა. რა ძალამ შთაბერა სიცოცხლე ამ სიმაღლეზე? თითოეული ხის ძირში ნიშია და ყველას თავ-თავისი პატრონი ჰყავს – გოგოლაურები, თურმანაულები, მგელიაშვილები, ბალიაურები... ისინი დღეს-ხვალ, ხევისბერის დამწყალობნების მერე მივლენ ნიშთან, ქადას გაჭრიან, სანთელს დაანთებენ, ღმერთს ჯანის სიმრთელეს, ქვეყნის დალაგებას შესთხოვენ.

მთავარ ხატთან მისვლა ყველას ეკრძალება, განსაკუთრებით – ქალებს. ასეა ათადან-ბაბადან და მორწმუნეები გულმოდგინედ იცავენ ტაბუს.

იმ ღამეს „კარვის ქალაქს“ თვალი არ მოუხუჭავს – ასეთია წესი, მავედრებლებმა ღამე უნდა გატეხონ. თუ არა, სალოცავი შესაწირავს ვერ მიიღებს.

აქ ამოსულ ადამიანს მართლაც რაღაცნაირი მოწიწება ეუფლება – ხავსმოკიდებული სიპით ნაშენი ნიშები, სასანთლეები, თაღიანი სახატე დიდ საიდუმლოებას გვაზიარებენ. მერე გრძნობ, მოწიწება როგორ გადაიზრდება სიამაყეში, როგორ გიხარია, ამ მიწის შვილი რომ ხარ...

„გფარავდეთ წმინდა გიორგის მადლი და ძალა, გაგიძლიეროთ გვარჯილაგი და ქვეყანა“, – ხატიონნი ამ სიტყვებით გამოაღვიძა განთიადისას გოგოლაურთის ხევისბერმა ფილიპე ბალიაურმა. დიდი და ნათელი დღე იწყებოდა, სამჯერ გაიჟღრიალა სალოცავის ზარმა. მისი ხმა ნელნელა დაეშვა ფშავის არაგვის ხეობისაკენ, მერე კი ისევ უკან დაბრუნდა. უცებ გამოცოცხლდა ასწლოვანი კოპიტის ტევრში ჩამჯდარი „კარვის ქალაქი“. ათ საათზე ფილიპე ბალიაურმა დროშა შემართა და მოზომილი ნაბიჯით წაგვიძღვა მთის წვერზე წამომართული მთავარი ხატისაკენ. იქ მოხდება დამწყალობნება და შესაწირავის შეწირვა.

საოცარი ბედის კაცია ფილიპე ბალიაური. ხევისბერობაზე უარი უთქვამს. სიზმარში თეთრად მოსილი წმინდა გიორგი გამოსცხადებია, ხატის წინამძღოლობა უნდა ითავოო. არც ეს თხოვნა შეასრულა ბალიაურმა და... ჯერ მეუღლე გარდაეცვალა, მერე – ვაჟიშვილი, მაშინ ირწმუნა, ხატისთვის უარის თქმით მიუტევებელი ცოდვა რომ ჩაიდინა. თავისი ფეხით ეახლა, შენდობა მესთხოვა, ამიერიდან, როგორც გენებოს, ისე მიმსახურეო.

იმის მერე თხუთმეტი წელი გავიდა. თხუთმეტი წელია, ფილიპე ბალიაური აქაურობას პატრონობს. უიმისოდ ვერც სანთელი აინთება და ვერც კურატი დაიკვლება. მისი უანგარო სამსახური ხელს უწყობს ადამიანთა ზნეობრივ განწმენდას, მამა-პაპათა სალოცავების ირგვლივ გაერთიანება-შეკავშირებას.

და მეც ვფიქრობ: იქნებ დადგეს დრო და მთას ისევ მოაკითხოს აქ დამკვიდრების მსურველმა მთიელმა? აკი ასე მოიქცა ახმეტელი პაველ წოწკოლაური. იქნებ, სხვებმაც მიბაძონ მის მაგალითს და ჩაძინებული მიდამო გამოაღვიძონ?

3. „შე დალოცვილო, აქ რამ მოგიყვანა, ჰა?“

ვათვალიერებ გოგოლაურებისა და თურმანაულების ნასახლარებს. ქედზე ერთმანეთს მისდევენ კაცები, ქალები, მოზარდები, ბავშვები. მიჰყავთ ლენტშებმული ცხვარი და კურატი. უცებ, ნაცნობ ხმებში უცხო კილო დავიჭირე. ახალგაზრდა, მაღალი, კოვბოურქუდიანი მამაკაცი ყველაფერს კინოფირზე იღებს და დროდადრო თანამგზავრებს ემუსაიფება. ოფლით დაცვარვია შუბლი, ქერა წვერი, მაგრამ დაღლილობას არაფრად აგდებს. მომწონს მისი გამართული, ღრმა ქართული, ოღონდ, მაინც ეტყობა: ჩვენებური არ უნდა იყოს.

– ქევინ თუითი ვარ, კანადელი ეთნოლინგვისტი. კინოფირს მანიელას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ვიღებ...

სადღაც წამიკითხავს თუ მსმენია ამ ახალგაზრდა კაცზე. ქევინი, თურმე, მესამედ არის გოგოლაურთაში. ვინ დააინტერესა საქართველოთი? პროფესორმა ჰუვარდ არონსონმა, იმან ზიარა ქართული ენის ანაბანას, მერე კი თბილისისკენ დაულოცა გზა.

– ბედმა გამიღიმა – ჩემს სწავლა-განათლებას პროფესორმა შუქია აფრიდონიძემ მოჰკიდა ხელი. ის საოცრად განათლებული, ერუდირებული, კეთილმოსურნე ქალბატონია. ჩვენი ურთიერთობა მასწავლებლისა და მოწაფის ურთიერთობა კი არა, რაღაც უფრო მეტია, სახელად მეგობრობა რომ ჰქვია.

– მანიელაში არ გავიწყდებათ ქართული?

– არა. იქ თხუთმეტამდე ქართველი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანია ჟურნალისტი ელენე ბოჭორიშვილი. ოჯახებით ვმეგობრობთ. ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს. ასე ვთქვათ, საჭოროდ. ამით კიდევ უფრო გავიღრმავე ქართული ენის ცოდნა.

„ნეტავ საქართველოს ტელევიზიის ზოგიერთი არხის წამყვანი საუბრობდეს ასეთი წმინდა ქართულით“.

სანამ ხევისბერი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, მოვიარეთ და დავათვალიერეთ ირგვლივეთი. იქვე, სალოცავთან ახლო, ათი განძლიერი მუხა, ორი ჩემთვის უცხო ჯიშის ხე და ერთიც მაყალო დავთვალე. კორომს გარშემო იელის ბუჩქნარი შემოსჯარვია. ხეები ხელოვნურად გავაშენეთო, – მითხრეს. ზოგან ბაყილო ამოწვერილა, თიბვისას ცელს ვარიდებთო, – დაამატეს. ახალგაზრდა ნარგავებით ასე შემოსილა უწინ მოშიშვლებული ფერდობები. მაგრამ წლევანდელი წელი უმოწყალო გვალვით გამოირჩევა. თითქმის დაშრა ყველა წყარო, რითაც აქა-იქ მიმოფანტული ბინების მეცხვარეები სარგებლობენ. უწყლობის გამო, ალბათ, პირუტყვის გამოზამთრება ძალიან გაჭირდება. სხვათა შორის, მეცხვარეებში აზერბაიჯანელები სჭარბობენ. აქაურებმა მამა-პაპის ეს ხელობა ან დაივიწყეს, ან – თაკილობენ...

შესაწირავიც დაიკლა და ყველა წეს-ჩვეულებაც ზედმიწევნით შესრულდა. ხევისბერის წინამძღოლობით საღამოს ყველა „კარვის ქალაქში“ დაბრუნდა. ყველაფერს ისევ ჩვეული გულმოდგინებით იღებდა ქევინ თუითი. აი, ხატის დროშა თავის სამყოფელში შეაბრძანეს და ქევინმა მაშინღა ჩახარა მუხლი. იმ საღამოს ჩვენს სუფრაზე იყო, კაიკაი სადღეგრძელოებიც თქვა და ღვინოც მოწყურებულივით შესვა.

– ორშაბათს ლაშარის ჯვარში ავალ, მერე ხევსურეთს ვეწვევი, ოცდაშვიდში კი კანადაში გავფრინდები, აქაურ ამბებს ჩავიტან, – გვითხრა.

– საქართველოში დღეს ბევრი უცხოელი ჩამოდის. სამწუხაროდ, ზოგი ჩვენი გაჭირვებით ერთობა და მწარე-მწარე წერილებს აცხობს. თქვენი მადლობელი კი იმიტომ ვართ, რომ ღრმად ჩასწვდით ქართულ სულს, – ვეუბნები.

– საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, ყველა მათგანი თავისი ხალხივით ღარიბია, მაგრამ მატერიალურ ხელმოკლეობას გულითადობითა და კეთილმოსურნეობით ავსებენ. ეს საოცარი ხელოვნებაა და ამის დაუნახაობა არავის ეპატიება. მოხიბლული ვარ ქართული სულით. ტრადიციებს ჩვენთანაც პატივს სცემენ. მაგრამ თქვენთან ეს უფრო ღრმად ფესვგადგმულია. ამ მხრივ ბევრი რამ ვისწავლე...

სანამ მზე პირბადეს ჩაიხურავდა და მთები თვალს დახუჭავდნენ, ქევინმა ერთხელ კიდევ გააღიმა. ღმერთსა ვთხოვ, საქართველოსაც და ჩემს ისტორიულ სამშობლოს – ირლანდიასაც მიეღწიოს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვისო, – ასე ბრძანა ბატონმა ქევინმა. ეს სიტყვები ისეთ წმინდა ადგილზე და ისეთი სახოებით წარმოითქვა, ეჭვიც არ მეპარება, განგება უთუოდ შეეწევა ხელს ამ წადილს, თუ, რა თქმა უნდა, ამაში ჩვენც მივეხმარებით.

...ისევ ხმაურით მოგვეცილებოდა არაგვი, რათა გოგოლაურთის ორი დღის საოცრება ჩემი მკითხველისთვისაც გამეზიარებინა.

საოცრება კი უკვე მოხდა: ნონა ფეხზე დამხვდაო, – დამირეკა საღამოს გახარებულმა ზეზვა გოგოლაურმა.

ასეთი ყოფილა ხატის ძალა და ნება.

ელგუჯა ლებანიძე.

სურათებზე: გოგოლაურთის წმინდა გიორგის სალოცავი; მრევლს მიუძღვის ხევისბერი ფილიპე ბალიაური; კანადელი პროფესორი ქევინ თუითი.

პაატა მღებრიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2000 წელი.

მემუარები

კონსტანტინე სიმონოვი

ჩემი თაობის კაცის თვალით

როგორი უცნაურიც უნდა იყოს, უფრო სწორად, როგორ უცნაურადაც უნდა მეჩვენებოდეს ახლა, ჩემს მეხსიერებას არ შემორჩა, სახელდობრ როდის, სად, რა გარემოებაში, როგორ შევიტყვე სტალინის ავადმყოფობის ამბავი. ამ დღეების შთაბეჭდილებებს დავიწყებ 1953 წლის 16 მარტის ჩანაწერით.

„რამდენიმე სიტყვა ამ წლის მარტის სამგლოვიარო დღეების შესახებ. ძნელია ამაზე წერა, რადგან ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ, რომ სტალინი აღარ არის, რომ ის გარდაიცვალა. უფრო სწორად ვიცი, რომ ეს მოხდა, და ეს იცის ყველამ, მაგრამ, ამავე დროს, მიჭირს დაჯერება, რომ სტალინი აღარ არის. ასე მგონია, რომ არაფერი არ დამავიწყდება, ვერ შევძლებ დავიწყებას. ამ დღეებთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი სამუდამოდ ჩამრჩება მეხსიერებაში. ამიტომ, ძნელია წერო იმაზე, რაც, სულ ერთია, არასდროს არ დაგავიწყდება. მაგრამ მეხსიერების ნდობა არ შეიძლება. დეტალები, დროთა განმავლობაში შეიძლება წაიშალოს, ან იმ თანმიმდევრობით არ დალაგდეს, როგორც სინამდვილეში იყო, ამიტომ, უმჯობესია, ზოგი რამ ახლავე ჩავიწერო.

პირველი, რაც ვიგრძენი, ის იყო, რომ არაფრით არ მინდოდა ჩავწვდომოდი ბიულეტენების შინაარს, არ მინდოდა მცოდნოდა და გამეგო, რას ნიშნავს მედიცინის ენაზე დეტალები, რომლებსაც ისინი გვამცნობდნენ. უაზრობად მეჩვენებოდა მსჯელობა იმაზე, რა არის მაჯისცემა, წნევა, ტემპერატურა და სხვა წვრილმანები, რას ნიშნავს ეს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის, რომელიც 73 წლის არის. არ მინდოდა ამაზე ფიქრი და ამაზე სხვებთან ლაპარაკი, იმიტომ, რომ ჩემი აზრით, არ შეიძლებოდა ლაპარაკი სტალინზე, როგორც ხანდაზმულ ადამიანზე, რომელიც უცბად მძიმე ავადმყოფი გახდა. თითქოს, ყველაზე მთავარი იყო არა ეს სამედიცინო ტერმინები, ყველა ეს დეტალი სტალინის ავადმყოფობის შესახებ, არამედ სხვა რამ: მოვა გონს თუ არა. ყველაზე მეტად მაშინებდა ის, რომ იგი უგონოდ იყო და, მამასადამე, მისი ნება არ მონაწილეობდა ავადმყოფობასთან ბრძოლაში. მეგონა, თუ გონს მოეიდოდა, ისეთი ნებისყოფა ჰქონდა, რომ იცოცხლებდა.

ოთხ მარტს, საღამოს მივედი კრემლში, ოთახში, სადაც სტალინის სამდივნო იყო. სხვები, რომლებიც ჩემსავით გამოიძახეს ერთი პატარა საქმისთვის, ჩუმად შემოდიოდნენ, იხდიდნენ, ასევე უსიტყვოდ ასრულებდნენ 15-20 წუთის განმავლობაში იმ საქმეს, რისთვისაც იყვნენ გამოძახებული, და ასევე, სიტყვის უთქმელად მიდიოდნენ“.

აქ ცოტა ხნით მოვწყდები მაშინდელი ჩანაწერის ტექსტს. არ ვიცი, რატომ არ მივიჩნიე საჭიროდ, ჩამეწერა ის, თუ რატომ გამოგვიძახეს კრემლში, სტალინის სამდივნოში იმ საღამოს, რამდენიმე საათის განმავლობაში იხმობდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრებს და კანდიდატებს, შესაძლოა, კიდევ გარკვეულ პირებს, იმისათვის, რომ გასცნობოდნენ ბიულეტენებს სტალინის ჯანმრთელობის შესახებ. შეიძლება ამას ორმაგი მოტივი ჰქონოდა. ჯერ ერთი, უნდოდათ გარკვეული პირები გასცნობოდნენ ბიულეტენების დედნებს, მეორე ის, რომ დედნებში ინფორმაცია უფრო დეტალური იყო, ვიდრე ის ტექსტი, რომელიც პრესაში ქვეყნდებოდა:

მივუბრუნდები ჩემი მაშინდელი ჩანაწერის ტექსტს:

„ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, არაფერი არ შეცვლილა: იგივე გზა კრემლის კედლის გასწვრივ, იგივე ოფიცერი, რომელიც საბუთებს ამოწმებს შესასვლელში, იგივე კარი, იგივე კიბე, რომელზეც ექვსჯერ მომიწია ასვლა-ჩამოსვლა ბოლო წლების მანძილზე. მაგრამ ადამიანების დუმილი, კიბეებსა და დერეფნებში ჩამოწოლილი სიჩუმე გაგრძნობინებდა, რომ ამ სახლში უბედურებას დაესადგურებინა.

როცა კიბე ავათავე და დერეფანს გავყევი, სტალინის სამდივნოს იმ ოთახში კი არ შევედი, სადაც გამოძახებული ვიყავი, არამედ აღმოვჩნდი მეორეში, სწორედ იმ ოთახში, სადაც ორმოცდამეიდ წელს, მე, გორბატოვი და ფადეევი ვისხედით. და ათ წუთს ველოდით, როდის მიგვიღებდა სტალინი. მაშინ მე იგი პირველად ვნახე.

ოთახში ყველაფერს უწინდელი იერი ჰქონდა. მაგიდები ძველებურად იყო განლაგებული. ერთი ოთახის შუაგულში იდგა. ოთახში მყოფი კაცი წამოდგა და მითხრა: „მარცხნივ, შემდეგ ოთახში შებრძანდით“. როდესაც იმ შემდეგი ოთახის კარი შევაღე, გამახსენდა, რომ ორ-სამჯერ აქაც ვისხედით და ველოდით სტალინური პრემიების განხილვის წინ. მაშინ ვისხედით და ვსაუბრობდით. ახლა კი იმ ოთახში ჩქამიც არ ისმოდა, თუმცა ხალხით იყო სავსე. სრული სიჩუმე სუფევდა. მაგრამ თითქოს ამ სიჩუმის მიღმა, სადღაც აქვე, რამდენიმე ოთახის, დერეფნის, მერე კიდევ ოთახების შემდეგ, სადღაც თავისი ბინის რომელიღაც ოთახში წევს მომაკვდავი სტალინი. და ჩვენ, აქ მყოფთ დერეფნის რაღაც მონაკვეთი და რამდენიმე კარი გვაშორებს მისგან. სტალინი კი წევს ჩვენგან ასე ახლოს და ვერაფრით გონს ვერ მოსულა“.

აქ კვლავ მოვწყდები 53 წლის ამ ჩანაწერს. ახლა, უკვე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტალინი კრემლში, თავის ბინაში კი არ გარდაიცვალა, როგორც ეს ნათქვამი იყო მთავრობის ინფორმაციაში, არამედ ქალაქგარეთ, თავის ახლომდებარე აგარაკზე. გულისწყრომა, მით უმეტეს აღშფოთება გამომეთქვა მთავრობის იმ პირველ ცნობაში ინფორმაციის დამახინჯების გამო, აზრადაც არ მომსვლია. ალბათ, ადამიანები, რომლებიც ამ ბიულეტენებს უშვებდნენ, საფუძვლიანი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც სიმართლეს არ ამხელდნენ. მათ ადგილზე თუ წარმოიდგენ თავს, არ გაგიჭირდება იმის მიხვედრა, თუ რა რეზონი ჰქონდა მათ ორივე შესაძლო შემთხვევაში: იმ შემთხვევაში, თუ სტალინმა გონება დაკარგა და სიკვდილის პირას იყო ორ მარტს, ხუთში საღამოს კი გარდაიცვალა, ცნობებისა და სამედიცინო ბიულეტენებით, რომლებიც არსებითად მისი გამოჯანსაღების არანაირ იმედს არ ტოვებდნენ, ხალხს ამზადებდნენ ამ მოვლენისათვის, რომელიც უშუალოდ სტალინს ეხებოდა, მაგრამ ობიექტურად ნიშნავდა, რომ დასრულდა ჩვენი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდი, მის სახელს რომ უკავშირდება.

მართალი გითხრათ, ახლაც კი, მეოთხედი საუკუნის შემდეგაც არ მახრჩობს ცნობისმოყვარეობა, თუ როგორი იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. არ შემხვედრია ადამიანები, რომელთა ნაამბობი დამარწმუნებდა მათი ნათქვამის უტყუარობაში, არც ის მიცდია, იმ ადამიანებისთვის დამეცინცლა რაიმე, რომლებსაც უნდა სცოდნოდათ ეს, მაგრამ არ გამოუთქვამთ სურვილი, ჩემთან ესაუბრათ ამ თემაზე. შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო და ისეც. მაგრამ ყველაფერი ეს მეორეხარისხოვანია ისეთ ცნობებთან შედარებით, როგორიც არის ერთი ეპოქის დასასრული და მეორის დასაწყისი.

ისევ ვუბრუნდები ორმოცდაცამეტი წლის ჩანაწერს:

„ხუთი მარტი, საღამო. სვერდლოვის დარბაზში უნდა დაიწყოს ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა. მე ორმოცი წუთით ადრე მივედი, მაგრამ დარბაზში უკვე თავი მოეყარა სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტს, ათი წუთის შემდეგ კი ყველა მოვიდა. და აი ასობით ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ერთმანეთს შესანიშნავად იცნობდა, ჩუმად ელოდა დაწყებას. მომეჩვენა, რომ დარბაზში მყოფთაგან არავის არ გასჩენია სურვილი, ვინმეს გამოლაპარაკებოდა. დარბაზში თავიდანვე ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. თვალად რომ არ ვყოფილიყავი იმ დარბაზში, ვერასდროს ვერ დავიჯერებდი, რომ შეიძლება ერთმანეთის ახლოს მჯდომი სამასი ადამიანი, ორმოცი წუთის განმავლობაში ხმაგაკმენდილი იცდიდეს. კუბოს კარამდე არ დამავიწყდება ეს დუმილი“.

ახლა კი რამდენიმე სიტყვას დავამატებ მაშინდელ ჩანაწერს.

პირველი შთაბეჭდილება: სვერდლოვის დარბაზის უკანა კარიდან შემოვიდა და პრეზიდიუმის მაგიდას მიუჯდა არა სტალინის დროს პრეზიდიუმში არჩეული ოცდახუთი კაცი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც სტალინის დროს შევიდა პრეზიდიუმის ბიუროში, მალენკოვი, ბერია, კაგანოვიჩი, ბულგანინი, ხრუშჩოვი, ვოროშილოვი, საბუროვი, პერვუხინი. მათ გარდა, მოლოტოვი და მიქოიანი, რომლებიც სტალინს ამ ბიუროში არ შეუყვანია. ამრიგად, სტალინის ნება, ერთი მხრივ, თითქოს დაცული იყო იმით, რომ პრეზიდიუმის მაგიდასთან ისხდნენ საბუროვი და პერვუხინი, — მეორე მხრივ, უგულებელყოფილი იმიტომ, რომ პრეზიდიუმის მაგიდასთან მეცხრე და მეათე იყვნენ მოლოტოვი და მიქოიანი, რომლებიც სტალინს ბიუროში არ შეუყვანია. ახლა ასე ვაყალიბებ, თორემ მაშინ უფრო მარტივად აღვიქვი: მაგიდასთან დაჯდა უწინდელი პოლიტბიურო, რომელსაც შეემატნენ პერვუხინი და საბუროვი.

შესავალი სიტყვა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მალენკოვმა წაიკითხა. მან, დაახლოებით, თქვა: ამხანაგი სტალინი სიკვდილს ებრძვის, მაგრამ მისი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სიკვდილს თუ გადაურჩა, ძალიან დიდხანს ვერ შეძლებს მუშაობას. ამდენი ხნის განმავლობაში, კი დაუშვებელია, ქვეყანას არ ჰყავდეს სრულუფლებიანი ხელმძღვანელი. ვერ დავრჩებით გაურკვეველ მდგომარეობაში, ამის საშუალებას არც საერთაშორისო ვითარება არ გვაძლევს. ამიტომ ახლავე უნდა ჩამოვაყალიბოთ მთავრობა. ამის შემდეგ მალენკოვმა სიტყვა მისცა ბერიას. იგი ტრიბუნაზე ავიდა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაასახელა მალენკოვი. როდესაც ამ წინადადებას ვუყარეთ კენჭი, ბერია პრეზიდიუმის მაგიდისკენ გაემართა, მალენკოვი — კათედრისკენ. ვიწრო გასასვლელში ძლივს აუქციეს ერთმანეთს გვერდი.

მალენკოვმა წამოაყენა ის წინადადებები, რომლებიც მეორე დღეს ყველამ წაიკითხა გაზეთებში და უფრო ადრე, მოისმინა რადიოთი, უკვე მას შემდეგ, რაც სტალინის სიკვდილი აუწყეს ქვეყანას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთხ პირველ მოადგილეს შორის, მალენკოვმა პირველი დაასახელა ბერია და უკვე მერე მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი. შემდეგი წინადადებები გულისხმობდა იმას, რომ უნდა შემცირდეს იმათი რაოდენობა, ვისაც ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული სამინისტროების სადავეები უპყრიათ ხელთ. „ხელმძღვანელობაში მეტი ოპერატიულობის მიზნით“ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებისა და კანდიდატების შემადგენლობა ორნახევარჯერ შემცირდა. პრეზიდიუმის წევრებად დარჩნენ ისინი, ვინც სხდომის დაწყებისას შემოვიდნენ და მიუსხდნენ პრეზიდიუმის მაგიდას. არსებითად გაჩნდა ტენდენცია, რომ ხელისუფლების კონცენტრაცია მომხდარიყო მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ხელში, რომელშიც შევიდა ხუთი კაცი, ანუ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა ნახევარი. ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში დარჩა პრეზიდიუმის კიდევ ერთი წევრი — ხრუშჩოვი. ცკ-ის პრეზიდიუმის კიდევ ერთი წევრი — ვოროშილოვი — გახდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სამი სხვა წევრი — მიქოიანი, საბუროვი და პერვუხინი — გახდნენ მინისტრები, მაგრამ არ შედიოდნენ პრეზიდიუმში. ალბათ, ძალთა ასეთი განაწილებით, ნავარაუდევი იყო ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ძალაუფლებაში ცვლილებების შეტანა. შესაძლოა, ეს ბერიას ინიციატივა იყო, ყოველ შემთხვევაში, იგი მერე აქტიურად მოქმედებდა სწორედ ამ მიმართულებით და ცდილობდა, რესპუბლიკებშიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებად დაეყენებინა მთავარი, პირველი პირები, ცენტრალური კომიტეტის მდივნებად კი — მეორეხარისხოვანი პირები.

1979 წლის 7 აპრილი

სხდომის დამთავრების შემდეგ მოველაპარაკეთ შეპილოვს, რომელიც მაშინ „პრავდას“ რედაქტორობდა და მწერლები — ფადეევი, კორნეიჩუკი და მე, აღარ მახსოვს, იყვნენ თუ არა სურკოვი და ტვარდოვსკი, — „პრავდის“ რედაქციაში წავედით. გარდა იმისა, რომ თავი მისკდებოდა ბოლო საათებში მომხდარი მოვლენებისა და ცვლილებების გამო, თვალად სხდომის ხასიათი და მთავრობის პოსტების განაწილება კი მეტყველებდა, რომ სტალინი სადაცაა სულს დალევს, კიდევ ერთი გრძნობა დამეუფლა, რომელიც, როგორ არ ვცადე, მაგრამ არ გამინელდა: მომეჩვენა, თითქოს იქ, პრეზიდიუმში მსხდომი ადამიანები გარეგნულად არ იმჩნევდნენ, მაგრამ რაღაც ფარულ შვებას გრძნობდნენ. ამას როგორღაც მათი გამომეტყველება გამოხატავდა, რასაც ვერ იტყოდით მოლოტოვზე. იგი გაქვავებული სახით იჯდა. რაც შეეხება მალენკოვსა და ბერიას, რომლებმაც ტრიბუნიდან წარმოთქვეს სიტყვა, ლაპარაკობდნენ ცოცხლად, ენერგიულად, საქმიანად. რაღაც მათ ხმაში, ქცევაში, არ შეესაბამებოდა არც მათი გამოსვლის პრეამბულას, არც მათი სიტყვის სევდიან დასასრულს, რომელიც სტალინის ავადმყოფობასთან იყო დაკავშირებული. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იქ, პრეზიდიუმში ადამიანები გათავისუფლდნენ სიმძიმისაგან, რომელიც მათ ხელ-ფეხს უბორკავდა.

ოცი წუთის შემდეგ „პრავდაში“, შეპილოვის კაბინეტში ვისხედით. ლაპარაკის გუნებაზე არც ერთი არ ვიყავით. ვმსჯელობდით იმაზე, რომ ცნობილმა მწერლებმა სტატიები უნდა დაწერონ „პრავდისათვის“ სხვადასხვა თემაზე, და მოსაფიქრებელია ასეთი სტატიების გეგმა. ვლაპარაკობდით ისე, თითქოს საჭირო, მაგრამ ნაადრევიც იყო ამაზე ლაპარაკი, რადგან ცენტრალური კომიტეტისა და სამდივნოს ახალი შემადგენლობა კი განისაზღვრა, და მინისტრთა საბჭოც ჩამოყალიბდა მალენკოვის მეთაურობით. მაგრამ იმისათვის, რომ რაიმე დაიწეროს, საჭიროა გარკვეულობა, თუ რა უნდა დაწერონ მწერლებმა, და რას მოითხოვენ მათგან. არაფერი გარკვეული არ იყო, იმიტომ, რომ სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ან ითვლებოდა, რომ ცოცხალი იყო. ამ ლაპარაკში ორმოცი წუთი გავიდა, და კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გასტანდა იგი, ამ დროს დარეკა „ვერტუშკამ“. შეპილოვმა ყურმილი აიღო, რამდენჯერმე თქვა: „დიახ, დიახ“. — და მოგვიბრუნდა: „ამხანაგი სტალინი გარდაიცვალა“.

ყველაფერ იმის მიუხედავად, რაც მოხდა სხდომაზე, რა გადაწყვეტილებების მიღების მომსწრენი გავხდით, ამ წუთში რაღაცამ შეგვძრა. ცხოვრებაში რაღაც დამთავრდა. რაღაც სხვა, ჯერ კიდევ შეუცნობელი დაიწყო. დაიწყო არა მაშინ, როდესაც გარემოებათა გამო საჭირო გახდა სტალინის სიცოცხლეშივე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაენიშნათ მალენკოვი, არამედ, აი, ახლა, ამ ზარის შემდეგ.

აღარ მახსოვს, ვინ რა საქმის გაკეთება იკისრა, — მე ვთქვი, რომ ლექსებს დავწერ, თუმცა, არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ამ ლექსების დაწერას, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ ამ მომენტში სხვა არაფრის გაკეთების თავი არ მქონდა.

„ლიტერატურნაია გაზეტა“ მხოლოდ ზეგ უნდა გამოსულიყო, შვიდ მარტს. შინ დაბრუნებულმა დავურეკე ბორის სერგის ძე რიურიკოვს, და ვუთხარი, ორ საათში მოვალ-მეთქი. ჩავიკეტე ოთახში და დავიწყე ლექსის წერა. ორი სტროფი დავწერე და უცბად, ჩემთვის მოულოდნელად, ავქვითინდი. ეს არ იყო სენტიმენტალური ცრემლები, ეს არ იყო მწუხარების, შეცოდების ცრემლები. ეს იყო ელდანაკრავი ადამიანის ცრემლები. ცხოვრებაში რაღაც გადატრიალდა და ეს იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ, რაღაცნაირად ფიზიკურადაც უნდა გამოხატულიყო და მეც რამდენიმე წუთს გულამოსკვნილი ვქვითინებდი. შემდეგ დავამთავრე ლექსები, წავიღე „პრავდაში“ და წავედი „ლიტერატურნაია გაზეტაში“. მეორე დღეს გაზეთის ნომერი უნდა გაგვეკეთებინა.

ვათვალიერებ მაშინდელ მასალებსა და დოკუმენტებს, რომლებიც ერთ საქაღალდეშია თავმოყრილი: სამგლოვიარო ლენტი, რომლითაც ვიდექი საპატიო ყარაულში, საშვი წითელ მოედანზე შესასვლელად, მწერალთა ერთ-ერთი სამგლოვიარო კრების სტენოგრამა, მეორე კრების შესახებ გაზეთში დაბეჭდილი ანგარიში, რომელზეც მე ჩემი ცუდი ლექსები წავიკითხე; „პრავდის“, „იზვესტიის“, „ლიტერატურნაია გაზეტასა“ და სხვა გაზეთების იმ დღეებში გამოშვებული ნომრების დასტა.

გავიდა წლები, სტალინზე კვლავ ბევრი რამ იწერებოდა. ყველა თავისებურად ამუშავებდა ამ თემას, რაღას არ წერდნენ მასზე, კარგსაც და ცუდსაც. მაშინ კი, ორმოცდაცამეტი წლის მარტში ტიხონოვის, სურკოვისა თუ ერენბურგის გამონათქვამები წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს. ლექსებშიც გასაოცრად მსგავსი ნოტები ისმოდა. ეს ლექსები სხვადასხვა ბედისა და ბიოგრაფიის მქონე ადამიანებმა დაწერეს: ოლგა ბერგოლცმა, რომელიც ოცდაჩვიდმეტში იჯდა, ტვარდოვსკიმ — გაკულაკებულის შვილმა, სიმონოვმა — თავადთა ნაშიერმა, ძველმა კომუნისტმა მიხეილ ისაკოვსკიმ, და კიდევ მრავალმა, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ლექსების მსგავსება აიხსნება არა იმით, რომ მათმა ავტორებმა ვალი მოიხადეს, არამედ იმით, რომ სულით ხორცამდე იყვნენ შეძრული დანაკარგის, მომხდარის უზარმაზარი მნიშვნელობით. ჩვენ წინ გვქონდა მრავალი წელი, რათა გაგვერკვეულიყავით რა დანაკარგი იყო ეს, უკეთესი იქნებოდა თუ უარესი, ეს მაშინ კი არ მომხდარიყო, არამედ მოგვიანებით. ყველაფერ ამაში უნდა გავერკვეულიყავით, განსაკუთრებით XX ყრილობის შემდეგ, მაგრამ კაცმა რომ თქვას, მანამდეც.

თარგმნა
ლია გოგიჩაიშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 181-185;
187-201, 203, 211-213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლორა

რისხვის მტევნები

მცენარეები რეაგირებენ? რას ბრძანებთ! მათ ეშინიათ? ბრაზობენ? თავს იცავენ? ახსოვთ? უყვართ? განა ეს შესაძლებელია?!

1966 წლის 2 თებერვალს, დილით, ამერიკელმა კლივ ბაქსტერმა, რომელსაც ცნობისმოყვარეობამ წასძლია, სიცრუის დეტექტორის ელექტროდები ჩამოჰკიდა ფოთლებზე იქვე ამოსულ ყვავილს. რომ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა მის ამ უწყინარ ხუმრობას, ათჯერ გაზომავდა. ამ შემთხვევამ შეცვალა მისი ცხოვრება. თანაც, არცთუ სასიკეთოდ...

ბაქსტერი მუშაობდა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და დაზვერვის ფედერალური ბიუროსათვის. საქმე ჰქონდა პოლიგრაფებთან – ხელსაწყოებთან, რომლებიც იწერენ ადამიანების კანის საფართა ელექტროპოტენციალებს. მისი მეოხებით განსაზღვრავენ, ღელავს ადამიანი თუ არა. თუ ღელავს, მაშასადამე, ცრუობს.

იმ დღეს ბაქსტერმა ის-ის იყო მორწყა თავისი დეკორატიული ბუჩქი და გადაწყვიტა გამოერკვია, რამდენი დრო გავა, სანამ წყალი ფესვებიდან ფოთლებს მიაღწევს. უცბად ჩამწერმა მოწყობილობამ დაიწყო ნაცნობი, ძალზე ნაცნობი მრუდის გამოსახვა. რამდენჯერ უნახავს ბაქსტერს დაკითხვების დროს „სიხარულის ეს ფორმულა"! იგი გაჩნდა, როდესაც სიცრუის დეტექტორზე ჩართული ადამიანი რალაცამ სასიამოვნოდ გააკვირვა. უცნაურია, ნუთუ მცენარე წყალმა გაახარა? როგორ შეუძლია მას, საერთოდ, რამე უხაროდეს?! იქიდან მოყოლებული, თავდავიწყებით შეუდგა მცენარეებზე ცდების დაყენებას.

ოფიციალური მეცნიერების გარშემო ბაქსტერის გვარის ხსენება, მაღალ საზოგადოებაში დედის გინების ტოლფასია. მას ცრუმეცნიერად მიიჩნევენ და სერიოზულად არ აღიქვამენ. მართალია, ბაქსტერი არ არის მეცნიერი, იქნებ, მისი ექსპერიმენტების მეთოდოლოგიაც არ იყოს მაინცდამაინც კორექტული, მაგრამ 1968 წელს გამოშვებულმა მისმა წიგნმა დაუდო სათავე „მცენარეულ ბუმს", ოლონდაც, ბაქსტერი ამტკიცებდა, რომ მცენარეებს ახსოვთ, უყვართ, ეშინიათ, ხედავენ, განასხვავებენ ადამიანებს...

მიუხედავად იმისა, რომ წიგნს ხაზგასმით მოსაწყენი სათაური ჰქონდა, „დადასტურება იმისა, რომ მცენარეებს აქვთ პირველადი აღქმის უნარი", – ამერიკის საზოგადოება აფორიაქდა. მისი გამოქვეყნების შემდეგ, მოკრძალებული პროფესიის ადამიანები – ბოტანიკოსები – ტელევიზიის ხშირი სტუმრები გახდნენ. ბაქსტერი დღის გმირი გახდა. მალე იგი, უცნაური ჰიპოთეზის გამო აბუჩად აიგდეს და მეცნიერების ტაძრიდან ფეხი ამოაკვეთინეს. „რაიმე ანატომიური სუბსტრატის უქონლობა ბაქსტერის აზრს მიუღებელს ხდის. მთელ მცენარეულ სამყაროში არ არსებობს არანაირი, თუნდაც უხეში ანატომიური სტრუქტურა, რომელიც ოდნავ მაინც მიუახლოვდებოდა მწერის ან, თუ ნებავთ, მატლის რთულ ნერვულ სისტემას", – ასეთია ოფიციალური მეცნიერების ურყევი აზრი.

> შედარებით ცოტა ხნის წინათ ალიარა მეცნიერებამ, რომ ცხოველებს აქვთ ფსიქიკა და აზროვნება. გაჩნდა ზოოლოგიის განსაკუთრებული განაყოფებიც ეტოლოგი და ზოოფსიქოლოგია, რომლებიც სწავლობენ ჩვენი უმცროსი ძმების ქცევასა და ფსიქიკას. იქნებ, მალე, რალაც ამის მსგავსი გაჩნდეს ბოტანიკაშიც?

ბაქსტერს მძიმე დრო დაუდგა. მცენარეებს ხომ მართლაც არ გააჩნიათ ის ორგანოები, რომლებითაც შეეძლებოდათ, დაკვირვებოდნენ გარემოს. მათ არ აქვთ ნერვები, ტვინი, თვალები... მაშ როგორღა რეაგირებენ! არა, აქ ნამდვილად რალაც მაქინაციასთან უნდა გვქონდეს საქმე. ბაქსტერი რამდენჯერმე აიძულეს, განმარტება მიეცა სასამართლოს დარბაზში, სადაც ფიცს ადებინებდნენ, რომ გულახდილად ელიარებინა, როგორ აბითურებდა პუბლიკას. მას არ უსმენდნენ, მას მხოლოდ ადანაშაულებდნენ. ეს დღეს ზომავს იაპონელების მიერ გამოგონილი ხელსაწყო „Plant-one"-ი მცენარეთა „სულიერ სიმშვიდეს". სენსორებს ამაგრებენ ფოთლებზე და თვალს ადევნებენ მათს განწყობილებას, ნათურები კი გვაუწყებენ, თუ რა ხასიათზეა „პაციენტი". თუ აინთება წითელი შუქი, მაშასადამე, მცენარე ძალზე ღელავს... მაშინ კი, სამოციანი წლების დამლევს, კლივ ბაქსტერი მიივიწყეს.

მცენარეთა ენა

ბაქსტერის წიგნი იქით იყოს და, მეცნიერების გაოგნება უნდა გენახათ, როდესაც მათთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მცენარეები როგორღაც უკავშირდებიან ერთმანეთს და გადასცემენ ინფორმაციას. დიდხანს ამისა არ სჯეროდათ...

საქმე კი ასე იყო. ამერიკელი ქიმიკოსები დევით რუდესი და გორდონ ორიანსი ტყეებს აკვირდებოდნენ სიეტლის მიდამოებში. ათწელიწადში ერთხელ აქაური არყისა და ტირიფის ხეები მთლიანად დააზიანეს მავნებლებმა. მწერები ჯერ ხარბად ნთქავდნენ ფოთლებს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ილუპებოდნენ. მეცნიერებმა გადაწყვიტეს გამოერკვიათ, რა იყო მათი ასეთი გაჟუჟვის მიზეზი. ლაბორატორიული ცდების საფუძველზე დაადგინეს, რომ თურმე ხეები მტრებისაგან თავის დასაცავად იცვლიდნენ პროტეინების შემადგენლობას, რომლებსაც შეიცავენ ფოთლები. მწერები კი ილუპებოდნენ მათთვის საჭირო ნივთიერებათა ნაკლებობის გამო.

მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი იყო ასეთი ფაქტი: ფოთლეულის ქიმიური შემადგენლობა იმ ხეებსაც კი ეცვლებოდათ, რომლებიც იქ იზრდებოდნენ, სადაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მწერებმა. ცხადია, რომ ამის შესახებ შეიტყვეს მწერების მიერ გამოღრღნილი თანამოძმეებისაგან. მაგრამ როგორ?

როგორ?!

პირველი მოსაზრება იყო, რომ ფესვების მეშვეობით. ალბათ, ფესვების სისტემები ეხება ერთმანეთს? მაგრამ შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. მაშ, როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს?!

ხანგრძლივი ცდების შემდეგ მოულოდნელი პასუხი მიიღეს, რასაც სხვათა შორის, მანამდეც უნდა მიმხვდარიყვნენ. მცენარეები ერთმანეთს სუნის ენაზე ელაპარაკებიან. ხეები, რომლებსაც უტევენ მავნებლები, გამოჰყოფენ ეთილენს. ქარს მეზობელ ხეებზე გადააქვს გაზის თხელი ღრუბელი, რომელიც მოახლოებული საშიშროების სიგნალია. ისინიც საჩქაროდ ემზადებიან მტერთან შესახვედრად. აი, ასეთია მექანიზმი.

საინტერესო შემთხვევა მოხდა ოთხმოციანი წლების დამლევს სამხრეთ აფრიკაში, სადაც უსახურმა აკაციებმა ბრძოლა გაუმართეს მრავალრიცხოვან ანტილოპა კუდუს და დაამარცხეს ისინი. ამ ცხოველების ხორცზე დიდი მოთხოვნილებაა ქვეყანაში, დაგრეხილ რქებს კი დიდი სიამოვნებით ყიდულობენ ტურისტები. აქაურ ფერმებში სულ უფრო ხშირად აშენებდნენ კუდუს, რომლებიც შემოღობილ ვოლიერებში ჰყავდათ დამწყვდეული, და აი, სრულიად უმიზეზოდ ანტილოპები, ერთიმეორის მიყოლებით, თანდათან დაიხოცნენ. რა იყო ეს – მოწამვლა, ეპიდემია?

ზოოლოგი ვოუტერ ვან ხოვენი ჩიხში მოექცა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიხვდა, რამ გაწყვიტა ანტილოპები. მიზეზი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთმა შემთხვევამ აღმოაჩენინა. ვან ხოვენმა შენიშნა, რომ ჟირაფები არასდროს არ ჩერდებოდნენ ერთი და იგივე აკაციასთან – მოწიწკნიდნენ ცოტა ფოთოლს და მაშინვე გადადიოდნენ მეორე ხეზე, თანაც ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდნენ. მოწამვლის ეშინიათ, – მიხვდა მეცნიერი.

მოგვიანებით გამოირკვა, რომ ანტილოპებიც ისევე იქცევიან, როგორც ჟირაფები, მაგრამ ფერმებში გამომწყვდეული ცხოველები, ძალაუნებურად შეექცეოდნენ ერთსა და იმავე ხეებსა და ბუჩქებს, რომლებსაც მათ უყრიდნენ. უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდათ და ისინი იხოცებოდნენ.

ცხოველების გაკვეთამ ცხადყო, რომ დაღუპული ანტილოპების ორგანიზმში ძალზე ბევრი ტანინი იყო დაგროვილი. ეს ის ნივთიერებაა, რომელიც მცენარეებს იცავს ცხოველებისაგან, რომლებიც მათ ამის გამო არ ეკარებიან. იმ მიდამოების აკაციების ფოთლებმა, როდესაც საფრთხე იგრძნეს, დაიწყეს ტანინის მომაკვდინებელი დოზით გამოყოფა. ხეების ფოთლების რხევა შხამის გამოყოფის სიგნალია. როგორც კი ანტილოპა ჩამოწევს ტოტს ფოთლების შემოსაცლელად, შხამის გამოყოფის პროცესი უმალ იწყება. და თუ ცხოველი დროზე არ შეწყვეტს თავის ტრაპეზს, აუცილებლად მოიწამლება.

მათ სტკივათ!

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ კითხვა, გრძნობენ თუ არა მცენარეები ტკივილს, მეცნიერებში მხოლოდ სიცილს თუ გამოიწვევდა. მაგრამ ბოლო წლებში მცენარეთა ქსოვილებში მოულოდნელად აღმოაჩინეს პროსტგლანდინის მონათესავე ჰორმონი. პროსტგლანდინი ის ნივთიერებაა, რომელიც ადამიანებსა და ცხოველებში პასუხისმგებელია ტკივილის გრძნობისათვის. გარდა ამისა, ზოგიერთი მცენარე თუ დაავადდება ან ვინმე დააზიანებს, გაძლიერებით იწყებს სალიცინმჟავის – ასპირინის ძირითადი ელემენტის გამოყოფას. ასპირინი, როგორც ცნობილია, აყუჩებს ტკივილს, რადგან ქიმიურად ანეიტრალებს პროსტგლანდინს. ასე რომ, შესაძლოა, მცენარეები უფრო მგრძნობიარენი იყვნენ, ვიდრე აქამდე გვეგონა.

დროის ელექტროსტატიკური მანქანა

მეტად საინტერესო ცდები განახორციელეს შვეიცარიის კონცერნის „Giba Geigy"-ის თანამშრომლებმა. ჰაინც შურხმა და მისმა კოლეგებმა მცენარეები მოათავსეს ელექტროსტატიკურ ველებში, ანუ უძრავი მუხტებით შექმნილ ველებში. ცნობილია, რომ მილიონობით წლების განმავლობაში ატმოსფეროს ელექტროსტატიკური მუხტი ნიადაგ იცვლებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს ოდესღაც არსებული ველების იმიტაცია მოეხდინათ ლაბორატორიაში და თანამედროვე მცენარეები ვითომდა წარსულში მოეთავსებინათ. დაეტენათ ისინი ელექტრომაგნიტური ინფორმაციით წარსულიდან!

მეცნიერებმა მცენარეთა ემბრიონები მოათავსეს ალუმინის ორ ფირფიტას შორის, რომლებსაც მიუერთეს მუდმივი დენი, და როგორ გგონიათ, რა მოხდა?! მცენარეებმა ცვლილებები განიცადეს! სიმინდის ზოგიერთმა ჩანასახმა „გაიხსენა", რომ ეს მარცვლოვანი შვიდიდან თოთხმეტამდე წვრილ ტაროს ისხამდა ჩვენთვის ჩვეული ერთი-ორი მსხვილი ნაყოფის ნაცვლად. ამ ველში მოხვედრილი კულტურული ჯიშების ხორბალიც მორეულ წარსულში გადაბარგებას ამჯობინებდა. ზოგიერთი ნორჩი ყლორტი სწრაფად იწყებდა დამწიფებას. შურხმა მათში ზრდის განსაკუთრებული ჰორმონები აღმოაჩინა, რომლებიც არ აქვს თანამედროვე ხორბალს. კიდევ უფრო განცვიფრდნენ სწავლულები, როდესაც ელექტროსტატიკურ ველში მოათავსეს ფრთისებრფოთლებიანი ტყის გვიმრის სპორები.



ალერსიანი სიტყვა მუხასაც სიამოვნებს

პირველყოფილი ადამიანები უღიდესი მოწიწებით ექცეოდნენ იმ ადამიანებს – მისნებს, ჯადოქრებს, შამანებს, რომლებსაც მცენარეებთან ურთიერთობის უნარი ჰქონდათ, იცოდნენ მათი საიდუმლო ენა. ასეთი უნიკუმები, თუმცა, იშვიათად, მაგრამ ჩვენს დროშიც არიან. სამოციან წლებში სახელი გაითქვა კანადელმა ქალმა დოროთი მაკლინმა, რომელმაც დააარსა თემი დაბა ფინდჰორნში, შოტლანდიის ჩრდილოეთ სანაპიროზე. აქ გააშენა მან ცნობილი „ჯადოსნური ბაღი". მწირ, ქვიშიან ნიადაგზე შესანიშნავად ხარობდა არა მარტო სხვადასხვა სახეობის ბოსტნეული, არამედ ეგზოტიკური ყვავილებიც, რაც სპეციალისტების განცვიფრებას იწვევდა. როგორც დოროთი მაკლინმა თქვა, იგი „მცენარეთა სულს" უხმობდა და მისი რჩევების მიხედვით უვლიდა მათ. მაკლინი დღესაც კითხულობს ლექციებს და ირწმუნება, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ისწავლოს დიალოგი მცენარეებთან, თუ მათ გულწრფელად და სიყვარულით მიმართავს. მაკლინს ბევრი ეთანხმება. ზოგიერთი ინდუსის აზრით, ქოქოსის პალმა შეწყვეტს ნაყოფის გამოღებას, თუ მას სცემენ. გერმანიაში ზოგიერთი მოყვარული მებაღე ამბობს, რომ პამიდორი უკეთეს ნაყოფს გამოისხამს, თუ მის ჩითილებს დროდადრო ესაუბრები. პროფესორ მანფრედ ჰოფმანის მეთვალყურეობით მოწყობილმა ცდებმა, თითქოს დაადასტურა, რომ იმ პამიდორების მოსავლიანობა, რომლებმაც ასეთი „სითბოს მუხტი" მიიღეს, საშუალოდ 22,2 პროცენტით გაიზარდა. ნაყოფი მსხვილი და ლამაზი იყო. ცდები უნდა შემოწმდეს. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, ეს ცდები რუსეთში ჩაგვეტარებინა, სადაც უამრავი მოაგარაკეა, რომლებიც პირდაპირ ჭკუას კარგავენ თავიანთი კულტურებისათვის. ახლა კიდევ იმას თუ შეიტყობენ, რომ მცენარეებთან ლაპარაკიც შეიძლება (და საჭიროც არის!). საათობით ისაუბრებენ მათთან და თანაც ისე ალერსიანად, როგორც, ალბათ, ბავშვებთანაც კი არ ლაპარაკობენ.

ალექსანდრე ზაიცევი.
„ოგონიოკი" №26.

კალათბურთი

ქართველმა კადეტებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს

კადეტ კალათბურთელთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირს იტალიის, ბულგარეთის, საქართველოს, ისრაელისა და უნგრეთის გუნდების მონაწილეობით ბულგარეთის ქალაქ რაზგრადმა უმასპინძლა. ამ შეჯიბრების მთავარ ფავორიტად იტალიელები ითვლებოდნენ. პირველ მატჩში ქართველი კალათბურთელები სწორედ მათ შეხვდნენ და დიდი ანგარიშით – 95:68 დაამარცხეს. ამ წარმატებამ ჩვენს ბიჭებს ფრთები შეასხა და მათი შეჩერება ვერავინ შეძლო – ერთი-მეორის მიყოლებით, ოც ქულაზე მეტი სხვაობით, დაამარცხეს უნგრეთის (68:39), ისრაელის (84:61), ბულგარეთის (96:74) გუნდები და ჯგუფში დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

საქართველოს კადეტთა ნაკრები (ათუაშვილი, ჩაჩელეიშვილი, გამყრელიძე, მარხვაშვილი, მარკოიშვილი, მდივანი, ორდენიძე, სანიკიძე, საყვარელიძე, ვამაკიძე, ზანგურაშვილი, მწვრთნელები – ცირეკიძე, კობემაიძე, სამხარაძე) გაისად აპრილში შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს. ჩვენებთან ერთად მომდევნო ეტაპზე გააღწიეს ისრაელის და იტალიის კადეტებმაც, რომლებმაც გათამაშების ცხრილში მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

ნინო ვარდოსანიძე.

ფეხბურთი

„ლოკომოტივი" ბრატისლავაშია

„ბებერ კონტინენტს" საფეხბურთო ციებ-ცხელების კიდევ ერთი ტალღა გადაუვლის 10 აგვისტოს – ამ დღეს უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩები გაიმართება. ტურნირში საქართველოს ორი გუნდი მონაწილეობს – თბილისის „ლოკომოტივი" და „ვიტ ჯორჯია". რკინიგზელები სტუმრად სლოვაკეთის „სლოვანს" ეთამაშებიან, ხოლო ვეტერინარები ისრაელის „ბეითარს" მასპინძლობენ.

„ლოკომოტივი" უკვე ბრატისლავაშია. მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა „სლოვანთან" სათამაშოდ 20 ფეხბურთელი წაიყვანა: **მეკარეები** – გიორგი ლომაია, დავით ასლანაძე, **მცველები** – ლევან მიქაძე, სანდრო ბურნაძე, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე, გიორგი ბალაშვილი, დავით არჩვაძე, აქსენტი გილაური, **ნახევარმცველები** – კახა გოგიჩაიშვილი, გიეი კვარაცხელია, ლაშა სალუქვაძე, დიმიტრი პარამონოვი, გიორგი შენგელია, **თავდამსხმელები** – არმაზ ჯელაძე, ცეზარ ხუროძე, მერაბ ძოძუაშვილი, ბორის გონჩაროვი, სულიკო დავითაშვილი, მამუკა რუსია.

სლოვაკეთში გამგზავრებამდე ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილმა აღნიშნა, რომ „სლოვანის" შესახებ ძუნწი ინფორმაცია გააჩნია, მაგრამ მათი თამაშის სტილი მისთვის ნაცნობია – არაერთხელ მითამაშია მათ წინააღმდეგ, უფრო ძალისმიერი ფეხბურთის მომხრენი არიან; არა მგონია, რამდენიმე წელიწადში თამაშის სტილი შეეცვალოთ. ძნელი მატჩი გველის, მაგრამ უიმედო სულაც არა ვართო.

რაც შეეხება „სლოვანს", იგი სლოვაკეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში ჩინებული სტარტი აიღო – ოთხი ტურის შემდეგ 12 ქულით გათამაშებას ლიდერობს.

სულხან მეტრეველი.

ჭადრაკი

ნატალია ჟუკოვა:

ნოკაუტ-სისტემა ყველას უხსნის გზას

მოჭადრაკე ქალებისათვის მიმდინარე წელი ერთობ მნიშვნელოვანია – პირველად იმართება მსოფლიო პირველობა ნოკაუტ-სისტემით, ამიტომ ყველა დანარჩენ შეჯიბრებას, შეიძლება ითქვას, წამყვანი დიდოსტატები განიხილავენ, როგორც მოსამზადებელს.

უკრაინელმა ნატალია ჟუკოვამ, რომელიც წლეულს ბათუმში ევროპის ჩემპიონი გახდა, სხვა მრავალრიცხოვან ჯილდოსთან ერთად ერთი ასეთი უფლებაც მიიღო – ითამაშოს ევროპის პირველობაზე... ვაჟთა შორის. წუთითაც არ უფიქრია, ისე დათანხმდა.

– ვაჟები ხომ ჩვენზე გაცილებით უკეთ თამაშობენ, მათ შემდეგ ქალებთან უფრო იოლია ბრძოლა, რომლებიც, ჩემი აზრით, დაძაბულობას ვერ უძლებენ. თუმცა, არიან მაღალი კლასის მოჭადრაკე ქალები, ისეთები, როგორიც მაია ჩიბურდანიძეა, ისინი თოკავენ ემოციებს და „ციეი გონებით" აღწევენ წარმატებას.

როგორც ნატალია ჟუკოვა თვლის, არა აქვს დიდი მნიშვნელობა, როგორ ითამაშებს ქალი ვაჟების შეჯიბრებაში, მთავარია, პირველი იყოს ქალთა შორის. ამას მან კიდევაც მიაღწია ბათუმში, სადაც, როგორც მოსკოვის ჟურნალ „64"-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე იყო მოწყობილი.

კორესპონდენტმა ევროპის ჩემპიონს ერთი ასეთი კითხვაც მისცა:

–ჩვენი ჟურნალი ჯერ კიდევ შარშან წერდა, რომ ნატალია ჟუკოვას მიზანია მსოფლიო ჩემპიონობა...

– რატომაც არა. ნოკაუტ-სისტემა ყველას უხსნის გზას.

ჩვენ კი დავუმატებდით: მათ შორის – ქართველ მოჭადრაკეებსაც...

გივი თორელი.

დავალიანების დაფარვისათვის დედოფლისწყაროში იყიდება სახაზინო საწარმო „ხორნაბუჯის" ქონება.
ქვევრების განყოფილება, მასთან სასწორი-10000 ლარი, ავტოფარეხი 7000 ლარი.
აუქციონი დანიშნულია 16 აგვისტოს 12 საათზე ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე.

დრო და ადამიანები

ბოლო დროს „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ოთარ მიმინოშვილის გვარს: რამდენიმე დადებითი რეცენზია დაიბეჭდა მის საინტერესო წიგნზე – „ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში", რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილთა და მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას გვამცნობს; თავის კოლეგასთან – ვახტანგ გურულთან ერთად გამოაქვეყნა თემატური წერილების სერია: „ილია და აკაკი საუკუნეთა მიჯნაზე", „ვაჟა-ფშაველა და არჩილ ჯორჯაძე საუკუნეთა მიჯნაზე", დასაბეჭდად მზად არის სტატია „იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძე საუკუნეთა მიჯნაზე"...

თუმცა, უწინ – ორმოცდაათიანი წლების მიწურულსა და სამოციან წლებში უფრო ხშირად ხვდებოდა გაზეთების ფურცლებზე, რადგან „ქართული წყალბურთის ოდისევსის" (როგორც მას მოხდენილად უწოდა ცნობილმა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ) ყოველი გარღვევა გოლით მთავრდებოდა. იმ გუნდმა, რომელშიც ოთარ მიმინოშვილი გამოდიოდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე ორჯერ ვერცხლის მედალი, სამჯერ კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე – თითოჯერ „ვერცხლი" და „ბრინჯაო" დაიმსახურა.

ოთარ მიმინოშვილს, ცნობილ წყალბურთელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის დოცენტს, ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი ლაბორატორიის გამგეს, სპეციალიზებული მოსამზადებელი სასწავლო ცენტრის უფროსს, სპორტული კლუბის პრეზიდენტს, ღირსების ორდენის კავალერს, ამას წინათ დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

„ოდისევსის" ახალი ბილიკები

მისი სპორტული ბიოგრაფია ქუთაისში, კერძოდ, ბალახვანში დაიწყო. ბიჭებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს. ჯანმაგარი ყმაწვილი მეგობრებმა თავისუფალი ჭიდაობის ცნობილ მწვრთნელს ვალიკო გიგიაძეს წარუდგინეს და ოთარმაც საჭიდაო ხალიჩაზე რამდენიმე წელიწადი დაჰყო. პერსპექტიულ მოჭიდავედ ითვლებოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ძირფესვიანად შეცვალა მისი სპორტული გზა.

– ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, რიონზე წავედით საბანაოდ, – იგონებს ბატონი ოთარი, – გული რომ ვიჯერეთ ცურაობით, ქვიშიან ნაპირზე წავკოტრიალდით. უცხო კაცი წამოგვადგა თავზე. დიმიტრი ხორავა ვარო, გაგვეცნო და რამდენიმე ბიჭს გვთხოვა, ხვალ დილით იქნებ ლითოფონის ქარხანაში მოხვიდეთო.

დილაადრიან მიადგნენ ბიჭები ქარხნის ეზოს. იქ უკვე მათ თანატოლებსაც მოეყარათ თავი. მერე დიმიტრიც გამოჩნდა. შეკრებილთ აუწყა, წყალბურთის გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ გაისად სპარტაკიადაზე გამოვიდეთო. ყმაწვილებსაც მოეწონათ ეს იდეა და იმ დღიდანვე შეუდგნენ საქმეს. ლითოფონის ქარხანას ერთი უზარმაზარი წყლის ავზი ჰქონდა, რომელიც მხოლოდ დილაობით იყო სავსე, ამიტომ უთენია მიდიოდნენ, რომ ავზის დაცლამდე ევარჯიშათ. ეს იყო 1955 წელს.

მომდევნო წელს ქუთაისის წყალბურთელებმა პირველ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე იასპარეზეს. მართალია, ხორავას ბიჭებმა თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის გუნდებს ვერ გაუსწრეს, მაგრამ ქუთაისელთა ლიდერი გივი ჩიქვანაია თბილისის „დინამოს" დაიტოვა. საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ნოდარ გვახარია, როსტომ და ზურაბ ჩაჩავები, ვლადიმერ გოიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ვლადიმერ ბარტაევი, კონსტანტინე პოტაპოვი, გიორგი დარახველიძე, ბორის მეგელი და სხვები გამოდიოდნენ, მეორე ადგილი დაიკავა.

– 1957 წელს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ჩამრიცხეს, – მითხრა ბატონმა ოთარმა, – იმავე წელს რიგაში მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოვიგეთ, მომდევნო წელს კი თბილისში ჩემპიონობა შევინარჩუნეთ.

ოთარ მიმინოშვილისთვის 1958 წელი „უხვმოსავლიანი" გამოდგა: მოსწავლეთა საკავშირო პირველობის შემდეგ თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტიც გახდა. ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით ახერხებდა სწავლას და საკავშირო ჩემპიონატებში სხვადასხვა სინჯის მედლების მოპოვებას.

– არ გეძნელებოდათ „ორ ფრონტზე" ბრძოლა?

– ნუ მკითხავ, მთელი ხათაბალა გადამხდა. მახსოვს, უნივერსიტეტს რომ ვამთავრებდი, ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა შოთა მესხიამ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასთან წარმადგინა – ნიჭიერი ყმაწვილია, ასპირანტურაში შესასვლელად რეკომენდაცია გავუწიოთო. „ვიცი, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სპორტი ხელს ხომ არ შეგიშლისო", – მკითხა. არა-მეთქი, ვუპასუხე.

ასპირანტურაში რომ ჩავირიცხე, ბატონმა გიორგიმ დავალება მომცა. დროზე ვერ შევასრულე, რადგან საერთაშორისო ტურნირზე მომიწია გამგზავრება. რა მექნა, ვიცრუე – ავად ვიყავი, მაღალი ტემპერატურა მქონდა-მეთქი. მერე, ჩემს მწვრთნელს ჭკუა არ ეყო, სიცხიანს რომ გათამაშებდაო, ნიშნის მოგებით მითხრა ბატონმა გიორგიმ და წინ გაზეთი „ლელო" დამიდო...

მთელმა თბილისმა იცის, რომ ცნობილი წყალბურთელი, რომელიც 8 წელიწადს თბილისის „დინამოს" უცვლელი კაპიტანი გახლდათ, ხიკეთით სავსე ადამიანი, მეცნიერი და პედაგოგი ოთარ მიმინოშვილი განთქმული თამადა და აშუღია.

– ბატონო ოთარ, ვასილ კელენჯერიძესთან გაჯიბრების ფაქტსაც ხომ არ გაიხსენებთ?

– არა, კაცო, არავითარი შეჯიბრება არ ყოფილა. მე და ჯემალ ზეინკლიშვილი რუსთავში ჩავედით ავტომანქანის გადასაფორმებლად. იმ დაწესებულებას ერთი ღვთისნიერი კაცი ვასილ კელენჯერიძე ხელმძღვანელობდა. საბუთები რომ გაგვაფორმეთ, ბატონმა ვასილმა სადილად დაგვპატიჟა. 8-8 ბოთლი შემოგვესვა თითოეულს. მე და ჯემალს წამოსვლის თავი რომ არ გვქონდა, მანქანა სასადილოსთან ახლოს გავაჩერეთ და მკვდარივით დაგვეძინა. შუაღამისას მუსიკის ხმამ გამომაღვიძა. ვიფიქრე, ბორჯომს დავლევ-მეთქი და სასადილოში შევედი. ვხედავ, დიდი სუფრაა გაშლილი, ბატონი ვასილი ვეება თასით ხელში სადღეგრძელოებს ამბობდა. თურმე, დაბადების დღე ჰქონია და სუფრას თვითონ თამადობდა...

გული რაზე გწყდებათ-მეთქი, რომ ვკითხე, ბატონი ოთარი წამით ჩაფიქრდა.

– ჩვენნაირმა პატარა ერმა სპორტით, კულტურით, ხელოვნებით უნდა დაამახსოვროს თავი მსოფლიოს. ასე იყო წლების განმავლობაში – ჩვენი ფეხბურთელები, კალათბურთელები, წყალბურთელები, ხელბურთელები, მოჭიდავეები და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები სახელს იხვეჭდნენ საერთაშორისო სარბიელზე. დღეს, უსახსრობის გამო, ქართული სპორტი დაკნინდა, თითქოს უწინდელი ჯიგარიც დაიკარგა. თუმცა, მოგეხსენებათ, იმედით ვცოცხლობთ და მაინც მჯერა, მსოფლიოს კვლავ დავუმტკიცებთ ჩვენს ინტელექტს, ჩვენი მკლავისა და მუხლის ძალას...

ესაუბრა

ვაჟა დანელია.

სურათზე: ოთარ მიმინოშვილი.

რეფორმა

24 წელიწადში ერთხელ

ფიფას აღმასკომმა მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: 2010 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ჩემპიონატებს მორიგეობით გამართავს **ფიფას** შემადგენლობაში მყოფი ყველა ექვსივე კონფედერაცია. ერთი სიტყვით, ექვსივე მათგანს საშუალება მიეცემა, ყოველ 24 წელიწადში ერთხელ გამართოს მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ახალი მკაცრი წესების შემდეგ უკმაყოფილო უკვე არავინ აღარ უნდა დარჩეს. როცა, ვთქვათ, რიგი აფრიკის კონფედერაციას მიუწევს, მაშინ თავიანთი კანდიდატურები მხოლოდ აფრიკის ქვეყნებმა უნდა წამოაყენონ და საკითხიც მათ შორის გადაწყდება.

ჯერჯერობით მსოფლიო ჩემპიონატების გამართვის ოთხწლიანი ციკლი შენარჩუნებულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უახლოეს ხანებში კვლავ არ დაისმება საკითხი მისი ყოველ ორ წელიწადში გამართვის შესახებ. ამ იდეას **ფიფას** პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც ემხრობა.

ამავე დროს ფიფას აღმასკომმა დაადასტურა, რომ არავითარი პროტესტი გათვალისწინებული არ არის და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის გამართვის უფლება საბოლოოდ გერმანიას მიეკუთვნა.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

დაისვენეს, ორგანიზმი გაიკაჟეს

ჯაზმს ოლიმპიური ეკიპირების (გამგეული დაეცი სულიკე) განაცილების გამოფენაზე (ვაზე ალეკო ეგნარაშვილი), სპორტკომპლექსის (თავმჯდომარე გიორგი დარჩია) ერთობლივი ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიხსნა. თბილისში დარჩენილ ქმაწვილებსათვის ვაჯის პარკში წლეულს შეთხზულ გამანაკლისო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი (დირექტორი ანზორ კუპრეიშვილი) ერთკორნაღი კვეთილ 100-მდე მოზარდს დასასვენებლად გაემგზავრა ორჯანიშში. ფიზკულტურის მასწავლებლების შრომა უფიროსების ხელმძღვანელობით მიეწერა ორთვიანი ბანაკის დღეგრაფიკით გათვალისწინებულ ფიზიკურ ვარჯიშებს, ბანაკის ტერიტორიის ფართო ათვისებას, ბანაკის ტრადიციების მნიშვნელოვნად გამდიდრებას, ბავშვების ჯანმრთელობის, კაცადიერების, ბაიერის ვადაძაღლების, ჭაღარკის და მძლეოსნობას.

სპრაობა: მძლეოსანთა სტადიონი და ფინიში.

Sydney 2000

ათენიდან – სიდნეიმდე

ᲕᲔᲠᲘᲜᲘᲡ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზიას რამდენიმე ქალაქი აცხადებდა, ეერიდი, ლონდონი, პერლინი, რომი, მილანი. ოლიმპიურ ქალაქად რომი აირჩიეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიელებმა 1906 წელს უარი თქვეს შეკრებების გამართვაზე ეს უფლება ლონდონს გადაეცა. ინტელის ფედერაციის 31 ოქტომბრამდე 22 ქვეყნის 2034-მა სპორტსმენმა (მათ შორის, 36 ქალი იყო) ათასჯერ, ზომა ოლიმპიადეის ტრადიცია აქაც არ დარღვეულა – მასპინძლებმა ყველაზე მეტი მედალი (57 ოქროსი, 50 ვერცხლისა და 40 ბრინჯაოსი) მოიპოვეს, სამაგიეროდ, ყველაზე პრესტიჟულ მარათონულ რბოლაში ბრაგადიელი პრაქტიკულად მარტო დარჩა. ოლიმპიადის ისტორიაში პირველად ქალაქის ბურგომეისტერი ელენა პაპარიგუ ქმნიდა ოლიმპიადის ისტორიას. ბერძნული ტრადიციის მიხედვით, ოლიმპიადის ჩასრულის ცერემონიალს მუშლეც დედოფალმა ალექსანდრამ პაულრას დიდი ოქროს თასი გადასცა. ისეთივე, როგორიც ოლიმპიურ ჩემპიონს.

საეულისხმოა, რომ მეორე ოლიმპიადის პროგრამაში პირველად შეიტანეს ბანორის სპორტის სახეობა – ფინელმა ეოგენ სალმინენმა სპეციალური ბანორის აუზში, რომელსაც ოქროს ველალი რუქიდან ჩემპიონის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის პრაბიორმა ნაკლული პანინ-კოლიმპიონმა (ოლიმპიადების ისტორიაში რუსმა სპორტსმენმა ლონდონში პირველად აბანაობეს) მოიპოვა.

ᲨᲔᲜᲘᲜᲒ ოლიმპიური თამაშები 1912 წლის 5 მაისიდან 22 ივლისის ჩათვლით სტოკპოლმში (შვედეთი) გაიმართა. ბანაბარებზე 28 ქვეყნის 2541 სპორტსმენი ჩაეიღა. საეულისხმოა, რომ პირველი ეუნდერ ჩათვლაში ბანე მხოლოდ ორმოცდაათი ათასჯერ – 24 ოქროს, ამდენივე ვერცხლის და 17 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საეკვეთლო სპორტსმენად აღიარეს ამერიკელი ბრაველისული, ოდნელი ჯიმ ტორპი, რომელსაც დღეი უმორაგეთათვი მოიგო ხუთდღეში და ათდღიან (ათჯერეს მან 8415,955 ქულა მოაგროვა და ამ შედეგის გაუმჯობესება 15 წლის განმავლობაში ვერავინ შეძლო), მაგრამ რასაკვირველია „ფერადკანიანი“ ათლეტის წინააღმდეგ კამპანია წამოიწყეს. ამან ერიკეულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გორსი დადანაშაულა, რომ მან დაარღვია მოეყრილი სპორტსმენის სტატუსი და ამიტომაც ოლიმპიური ჩემპიონის შემდეგ იგასელეს ყველა ოლიმპიური ტიტული. ამ ბრალდების მოხსნას ათწლეულები დასჭირდა და მხოლოდ 1982 წელს, ჯიმ ტორპის გარდაცვალების შემდეგ, ოლიმპიურმა კომიტეტმა ის ოფიციალურად აღიარა.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ ოლიმპიური თამაშები 1968 წლის 12 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ მეხიკოში გაიმართა. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად შეიქმნა ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზაციული კომისია, რომელსაც ოქროს მედალოსანი ჩემპიონი ედუარდ ტეტემი ხელმძღვანელობდა. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი.

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ ოლიმპიური თამაშები 1976 წლის 17 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით მონრეალში (კანადა) გაიმართა. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ოლიმპიური თამაშები 1980 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით მოსკოვში (სსრკ) გაიმართა. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი.

ᲡᲘᲓᲜᲔᲘ ოლიმპიური თამაშები 2000 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით სიდნეიში (ავსტრალია) გაიმართა. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი. ოლიმპიურ ისტორიაში პირველად ჩატარდა ანტიდოპინგური კონტროლი.

ᲙᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲕᲔᲚᲐᲠ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲜᲔᲖ

ᲕᲔᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲜᲔᲖᲔ, მე-16 კილომეტრის გაეწინარე, რომელიც გრანდიოზი საჭადრაკო ფესტივალის პრორგრამაში შეღიოდა, ველოსიპედისტებმა რომ ჩაიაეო ხელი, შემდეგ ველოტრასის დაეწია და „ეინიშის ხაზთან“ 10 შესაძლებელიდან 7.5 კილომეტრი სულიერ დიდოსტატი ეიქრე ხელაქრი მიეყო. 5.5-5.5 კილომეტრიეთ ეიქრეს ეიქრეს ველოსიპედისტმა დაიწყო ეიქრეს ველოსიპედისტმა დაიწყო ეიქრეს ეიქრეს ეიქრეს

საქართველოს რესპუბლიკა
№ 214. ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 2000 წელი.

ალბომი

ქუჩას რაიმე აქვს სახსოვარი

1926 წელს, აწყურის სკოლის (თელავის რაიონი) მერვე კლასის გამოშვება (დირექტორი გრიგოლ ავშნიშვილი). ამ სკოლაში ასწავლიდნენ ქეთევანეში ნოე მარამძიე, დავით გეგელიე, ლიგია ჭუმბურიძე, სანაია კრავენსკაია და სხვ.

სურათზეა: მარცხნიდან, პირველ რიგში ნოე მარამძიე, შუაში სანაია კრავენსკაია (დავით თუთლისპირელის შვილიშვილი), მეორე რიგში მარცხნიდან მესამე ლიგია ჭუმბურიძეა თავის ქალიშვილთან, ქეთევანთან.

სურათი მოგვაწოდა ბიძინ ჯუმბერიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

შეგონებულებს, ვინც მოწოლებული ფიცისგებე დაიბეჭდა წვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოგვაბოდნენ დეფექებს.

ლექსი

ვაჟა ეგრისელი

ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში

ელგუჯა ამაშუკელს, ვასტანგ დავითაიას ნუშგარ ნაღარაიას

სურთ,
რომ დმერთმა გაიტაცოს,
ვით განიმეჯე.
ჰოსტის მწუხარე ზღვაში ნარწეკი,
რადგან ქართველთა ის არს იმედი,
რადგან ქცეულა საქართველო —
შურის მეწერად.
ვეჯერეს: მხარზე ჯადარი —
ბედისწერის ლეკვ არწეკი,
მარადისობის მაღალ ციხეს —
როგორ ეწვევა...

ფოთი,
ქრისტეშობიობასა 2000 წლის
30 ივნისს.

იყიდება ჯოტეჯის ტიპის ახლად აშენებული ორსართულიანი სახლი და 25 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ჯოჯორში. ფასი 400 000 ლარი.
ტ. 99-84-20;
8 77 42-20-03

საქართველოს რკინიგზის სალანგაზო სამსახურს ესაჭიროება მთის მაგარი ქანების — ბაზალტისა და გრანიტის ღორღის ფრაქცია, ზომით 30X65 მმ.

ინტერესებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
შპს „საქართველოს რკინიგზა“ სალიანგაზო სამსახური თამარ მეფის გამზირი — №15.
ტელეფონები: 95-07-54 99-44-02.



მეუღლე ღიდი ხნის ვანაია, შეილები ლევანი, ნანო, რძალი ნატო, შვილიშვილი მარიამი, და მანანა, ძმა ანზორი, ძმისწულები ზაზა, ირაკლი, დისწულები ჯაბა, გეგა, მამიდა გაგანია, ბიძაშვილი მარკო, ცოლისძმა გიგი ჩიქვანაია, რძალი თამარ ენგაძე, სიძე რომან ჭინ ჩაროდაანი, შვილიქალი ირა, ბიძელ ლუარსიებრი, პაპაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით თუ ვეგიან, რომ გარდაიცვალა რუსლან ლეკაძის ძე ბაგრატიონი პაპანაქედ II, 12 VIII, 5 ხალ. აგვისტოს 11, 12 VIII. 24 გამოსვლება 13 VIII 3 სთ. სახ. ბერილების სასაფლაოს ეკლესიასთან.

ორაკლი ტურტელიც ოჯახით, ლრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდებული მამულიშვილის და მეგობრის ჯემალ ბაჟიაშვილის.

გარდაცვალების გამო და სამძიმოს უახლეს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა სოფ. აყალთოში (თელავის რაიონი) 10 აგვისტოს.

„საქართველოს ჯამის კრანსპორტირების კომპანია“ ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა
ჯემალ არჩილის ძე ბაჟიაშვილის და თანაუგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ხარისთის სამინისტრო ეუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ვეტერანისთვის მეშაკი ჯემალ ბაჟიაშვილის და თანაუგრძნობას განსვენებულის ოჯახს.

თურანის ეროვნული ცენტრის აღმინისტრაცია და თანამშრომლები ეუწყებიან, რომ გარდაცვალა ცნობილი ეკონომისტი, ბანკირი და მეცნიერი თანამშრომელი
ოთარ ლეკაძის ძე
ანზორიძის
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS REPUBLIKA
გამომცემელი — შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი ბარმაზ სანებელიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ ბოგობაშვილი, ბერდია ბუღუბაშვილი, ბიძინა ლალიაშვილი, გიორგი მაისარაშვილი, რუსუდან რუსაძე, სალიბაკა ქობულია, ბეჟან ჭელია, ომარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, ვ. კოტეტიას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა - PRESS-98@CAUCASUS.NET

ტელევიზია

1 08.00, 13.00 ალიონი 09.30 ვერონიკა 09.45, 21.00 „შავი პანტერები“ 10.30 ვიდეოპატრული 02. 10.40 ჩვენი მხატვრობა 11.10 „ფეხბოლშეიარაღი“ 11.40 „ტბა-მობილი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.50, 21.50 უ-თუ-ოდ 14.30 ჯემი 15.15 „ლოლაჩი“ 18.15 „50/50“ 18.45 სატ. სპექტაკლი 19.40 „პატი-ბუტე“ 20.50 „ვიდეოპატრული - 02“ 22.00 ვერტიკეი 22.20 საქმე 22.45 არატელაჩი 23.20 „კოშკინკატარინა“ 01.10 „შიშით მთამოდრიალე“.

2 19.00 იმედისთვის 19.30 „სინტარიუმი“ 20.20 მულტფილმები 20.40 „ახალმაზრდა მარმელადები“ 22.25 სათესლე და სამაღები ხელოვნების ოსტატები 22.50 ოსტატისტები 23.10 „პრიმეთრების ამოხსნა მოსათრთმობით“.

3 07.00 მუსიკა 07.30 მულტფილმები 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 „ლაბირინთი“ 09.50 „სასხრაფო“ 10.40 „ალეთი“ 11.10 „სიმვაკეული სახლითი“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მს. 18.00, 21.00, 22.50, 02.00 კურიერი 18.20 „ლუნი და ალისი“ 19.00 „მოდელთა სააგენთო“ 19.30 „ალეთი“ 19.55 „სიმვაკეულის სახლითი“ 21.50 „საიდუმლო მასალები“ 23.50 „გზა ვეღვილისაკენ“ 02.10 კლასიკა.

ოთხშაბათი, 9 აგვისტო

ორბიტა 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალაგალი“ 09.15 დოკ. ფ. 09.40 მედ-ინფო 10.00, 19.20 „კასპიელი“ 10.25 „ქართული პანტები“ 10.35, 21.10 „ვეფხვს ჩემი ვეფხვი“ 11.20 მს. ფ. 19.00, 19.45, 22.00 მუს. ტაქტით 20.25 სტუდია დიალოგი 22.30 მს. ფ. 00.15 „ნოსტალგია“ 00.20 მს. ფ. „ოვაცია“.

ირემია 14.00, 21.30 „ვილელი“ 14.45 „ნარატული ზაფხული“ 15.55 „პირველი მეინარე“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 17.15, 23.40 მუსიკა 17.30 „კრონის ავარია“ 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 21.00 „ფარკვლებები“ 22.15 „სასიკვდილო რეისი“ 00.20 „ვიშილი“ 01.05 „ვიწვიანებული ცხოვრება“.

ეგრისი 09.00, 10.00, 12.00, 21.00 „ეკუტი“ - სარეორმაციო გამოშვება 09.30, 19.00 მულტფილმები 10.15, 12.30 „გაააააზეზე ეს“ 19.30 „დაძირავები ვიშვილი“ 21.30 „თინეიჯერი“ 22.00 „ხალონი“ (განმეორებით) 23.30 „ალეთ“.

1ST 08.00 „ტონიკი“ 10.30 „ტარიზანი“ 12.55, 18.55, 20.50, 22.55, 00.55 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 დოკ. ფ. 19.20 „დოკუმენტი - რომის ძალაი“ 21.05 „ვიწვიანებული ვიშვილი“ 23.15 „ტარიზანი“ 01.10 „ვიწ ვილელი“ 02.45 ნონ-სტოპი.

ვაბშე გვაქვს, თქვენ გაგვთან — „საქართველოს რესპუბლიკას“ სამუალებით მაგლობა გადგეუხადოთ ყველას, ვინც თანადგომა გამოგვიხატა ოჯახს ვღადიმერ ბაბაშვილის ღრჩობ.

ხსოვნა

გივი ყუფარაძე



მეცნიერებების დარგში ღიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა სანაშენე საქმის დეპარტამენტის საწარმოო სამმართველის უფროსი **გივი პროკოფის ძე ყუფარაძე.**

მან მთელი თავისი შეეწირებული ცხოვრება მოახმარა დარგის განვითარებას, განსაკუთრებული პიქტელობით ამარულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, იყო ნამდვილი პროფესიონალი, არაჩვეულებრივი მეცნიერი, დამშინ ოჯახის მამა და ბაბუა.

ოღნავ წინ წახრილი, დაფიქრებული, მოკლე ნაბიჯებით ცხადლებოდა ღილით სამსახურში, ჩვეულ ღიმილით ესალმებოდა ყველას. წაეიდა ჩვენგან განათლებული, ჭკვიანი კაცი. მარადიული ცხოვრების გზას დაადგა პიროვნება, რომლისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა.

მსუბუქი იყოს, ბატონო გივი, შენთვის შენი მშობლიური მიწა.

მეფუნეველეების სანაშენე საქმის დეპარტამენტის კოლექტივი.



კომშორებმულობა და ფიქრის მეღამხელეების სამსახურის ღრმა მწუხარების გამოთქვამს თანამშრომლის
ჯემა ბაჟიაშვილის
ბრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცენტრების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ქარსულიძეს შვილის
ჯემა ბაჟიაშვილის
ბრაგიკულად დაღუპვის გამო.

ვაინო და ვალერი ვახტანგიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მალვა, მარანა და ვანო ჩხარტიშვილების მამიდის
ჯემა (ხარება) ბაჟიაშვილის
ბრაგიკულად დაღუპვის გამო.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!